



არსენალი



№13 (160). 22 ივნისი - 5 ივლისი, 2012 წ. საავტორ-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 2 ლარი

**ქართული სა ავიაციული
რადიოლოკატორების
მოლოდინები?!**

**ГРУ-ს სპეცდანიშნულების
ბრიგადა ლაგოდეხიდან**



**„ფაზისი“ —
ქველი კატარის
ახალი სივოსხლა**

**ახალი რუბრიკა:
500 საინტეჩესო ფაქტი
მეომრების ისტორიიდან**



ახალი
ლოკუპენგური
ფილმი —
„უინდისის
გვირაბი“

12



ინფორმაცია
ჩინეთის
1962 წლის
სასაზღვრო
კონფლიქტი

42



თანაპედროვა ბრიგანული
გორგლებიანი
ჯავუანგეჰნიკა

34

EUROSATORY
2012

14



ელეარდ გეუა —
„შავი პრინცი“

44

გალულად საგარეგანი
„პერგოკა“



54



სარჩევი

- 4 სამხედრო სიხსნავეზი **კალიფორნია**
- 7 პარტული ან ავერიალი რაიონოვსაგორაგის მილოლინი? **პერსპექტივა**
- 12 „შინდისი გიჩევი“ – ერთი დღის დაგაგაველი 17 პარტული გიჩევი **ოჩის გამოგახილი**
- 14 EUROSATORY 2012 **ჟასკოვსი**
- 9 გველი კაგარაგის ახალი სისოცლა **სანაირო დავა**
- 19 რუსული „სავერიარა“: გლევი თუ რაელოვა? **საფრთხე**
- 22 კავასსიური მილევეგის მიფოსილა **რევიონი**
- 24 გრან-ჩაიონ მიი – ზესლა-ვეფოსლა აგრესაგელი ნავთოგის გავო **კრიზსიანი, კონსულიგავეი, მივაი**
- 30 500 ფაგი მიფორაგის ისტორიონან **ვეფორაგი**
- 34 გრიგანული ჯავგანგანენსა – გორგლეგინი ჯავგანგანსაგორგორიანი და ჯავგანგანგორგორიანი **განგვეგელი ქვეგანი**
- 39 თავგანგა მივერის სამხედრო-სავერო გეგანა **საედაგაეოვეი**
- 42 ინფონი-ჩინეთის 1962 წლის სასაგვარო კონსულიგტი **ლოკალური მივაი**
- 44 ეღვარღ ვეგე – „გვი პრინსი“ **100 დიღი გვეღრთმიტავარი**
- 46 ГРУ-ს საგანგინგელები გრიგან ლეგონსინან **სამხედრო ისტორიანი**
- 51 პარაგეგე მიფრა მსოფლიო მივაი **ინოვაციური გველოვიანი**
- 54 გელულად საგარეგელი „გერგორა“ **„არსენალს“ იარაღის გელაზი**

რეკლამისგან

ამ ნომრიდან „არსენალის“ ფასი 50 თეთრით გაიზარდა და 2 ლარი გახდა. ქართული მასმედიის ისტორიაში „არსენალი“ დღემდე ერთ-ერთი უნიკალური გამოწვევის გახლდათ, რომელსაც გამოცემის დაწყებიდან (2004 წლის 26 მაისი) 8 წლის განმავლობაში ეურნალის ფასი არ გაუზრდია მასობრივი გადგილების (საბეჭდი ქაღალდისა თუ სტამბაში ბეჭდვის) ფონზე. გამოცემიდან მე-9 წლის დასაწყისში, თვითდაფინანსებაზე მიფო „არსენალიც“ მიცირედი მიცირდება, თუმცა ჩვენ დიდ იმედე ვიტოვებთ, რომ „არსენალის“ ერთგული მკითხველი კვლავ ჩვენ გვერდით იქნება! მათ ეურნალის ამ ნომრიდან ახალ რუბრიკას – 500 საინტერესო ფაქტი მიფორების ისტორიიდან, ვიგავზობი და მიგვეღვივი ვიცირედი სიახლეგებს.

მიგარი რედაქტორი
ირაკლი ალადაგვილი
პასუხისგვეელი რედაქტორი
თეფურ ჩანანიკი
კომპიუტერული უზრუველოფა
დატიო მილსიაგვილი

ფორალგვა!
გამიფირეტი „არსენალი“
და მიიღვი მი,
ორ კვირაში მიტხევი!
ტელ: 238-26-74; 238-26-73

რედაქციის დაგვიტხვანდა
გასაგეგის გადგამტგვა
პარალგვილი

გადგეგვილი დასაგამტგად
18.06.2012

გაგვი „კვირის პალიტრის“
დაგატგვა ©

რედაქციის მისაგართის:
თგიღისი, იოსეგისი ქ. N49
ტელ: 238-83-07 (121)

სარეკლამო განყოფილება:
ტელ: 237-78-07; 238-78-70
email: arsenal@kvispalitra.com
ფორალი გამიღის
ორ კვირაში მიტხევი
პარასგეგს

გერმანია კიბეროქსის გზაზე



გერმანული გაზეთი The Financial Times Deutschland-ი ავრცელებს ცნობას, რომ ბუნდესვერი კიბეროქსის დასაწყებად ემზადება. გამოცემის მიერ მოპოვებული მასალებით არმიის შესაბამისი ქვედანაყოფი „საწყისი შხადიფონის“ მდგომარეობაშია. ასევე ირკვევა, რომ გელსდორფში ბაზირებული „ჰაკერული ჯარი“ სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობისთვის შხადიფონას 2011 წლის ბოლოდან ინარჩუნებს.

გერმანიის თავდაცვის სამინისტრომ „ჰაკერული ჯარის“ ფორმირება 2006 წლიდან დაიწყო, რომელსაც ჰაკერული თავდასხმის მოგერიებასთან ერთად თავდასხმაც შეუძლია. ამ სტრუქტურაში, როგორც წესი, გერმანიის სამხედრო უნივერსიტეტების კურსდამთავრებულ პროგრამისტებს ასაქმებენ.

გერმანული სამხედროები იმედოვნებენ, რომ აშშ-ისა და ისრაელის კიბერმხადიფონის დონეს მალე მიაღწევენ.

საინტერესოა ტერორიზმთან ბრძოლაში აშშ-ის პრეზიდენტის ყოფილი მრჩევლის, რიჩარდ კლარკის მონაცემები, რომლის თანახმად, დღეს მსოფლიოში კიბეროქსის საწარმოებლად ყველა საშუალება 20-30 ქვეყანას აქვს. მათ შორის დასახელდნენ ჩრდილოეთი კორეა, ჩინეთი და რუსეთი.

აერიკალური ავანთოქი „ჯაშუხი ქვევს“ შიშობაწვეს

აშშ ავანთიდან ჯარების გამოკრების 2014 წლისთვის კი აპირებს, თუმცა ავანთებს კონფლიქტის ოფიციალურად დასრულებიდან კიდევ მრავალი წლის შემდეგაც გააქონტოლებს. ამისთვის ამერიკელები ქვეყანაში მიმობნეულ სპეციალურ გადამცემებს გამოიყენებენ, რომლებიც თვალთვალისა და კავშირის უნიკალური სისტემებით იქნება აღჭურვილი.

კომპანია Lockheed Martin-ი პენტაგონის დაკვეთით სხვადასხვა სახეობის გადამცემებს უკვე ქმნის, ზოგიერთი ჩვეულებრივი რივის ქეივისგან არაფრით განსხვავდება. მზის პანელებით, მინიატიურული კომპიუტრით, სეისმური

სენსორით, ვიდეოკამერითა და მიკროფონით აღჭურვილი „ჯაშუხი-ქვე“ პოტენციურ ტერორისტებზე თვალთვალს ოცე წელი შეძლებს.

გადამცემები თანამგზავრით იქნებიან დაკავშირებული, ხოლო მიმობნევა კი უბილოლო საფრენი აპარატებიდან მოხდება. გამოიცხადება, რომ არაა „ჯაშუხი ქვევს“ ნაგებობსა და საგზაო ინფრასტრუქტურის ობიექტებშიც ჩაატარონ. მართალია, ითხოვს ახალი გადამცემი აშშ-ის საკმაოდ ძვირი დაუჯდება, სამაგიეროდ პენტაგონის დირექტივი ინფორმაციის მოპოვება სპეცდანიშნულების რაზმისა თუ ადგილობრივი აგენტების რისკის ფასად არ მოუწევს.




სამხრეთკავკასიაში მინიაილოვონ სელით აუფრენე

კომპანია AeroVironment-მა ორიგინალური უბილოლო საფრენი აპარატი Wasp AE წარმოადგინა, რომელიც სპეცდანიშნულების რაზმისთვისაა განკუთვნილი და ნებისმიერ ზედაპირზე დაშვებას ახერხებს.

1,3 კგ-იანი აპარატის რამდენიმე ნაწილად დაშლა მარტივია და მისი გაშვება ხელითაც შეიძლება. ის კომპაქტური და მსუბუქი ოპტიკური სისტემა Mantis I22-ითაა აღჭურვილი, რომელიც საკმაოდ მაღალი ხარისხის გამოსახულებას იძლევა როგორც ზილკად გარემოში, ისე ინფრარითულ დიაპაზონში. ყველა სიკეთესთან ერთად, Wasp AE ჰაერში 50 წუთს ძლებს და 83 კმ/სთ სიჩქარეს აეითარებს.

უბილოლო საფრენი აპარატი უკვე ჩართულია აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების პროგრამაში, რომელიც მინიატიურული უბილოლოების შესყიდვას ითვალისწინებს. მწარმოებელი კომპანია იმედოვნებს, რომ Wasp AE-ის მიწოდებაზე 2,5 მლნ დოლარს გამოიმუშავებს.



აეპიკაელი ხსილი პოლიციევი გაკმელი წვერის გემო არ მიიღვს



ნადო განათლება, არამედ წვერის სიგრძე გაზდა.

პოლიციელოთაის დადგენილი წესის თანახმად, სამართლდამცველს წვერი ან მილად სუფთად გაპარსული უნდა ჰქონდეს, ან გარკვეული სტილით გაკრეჭილ-გაპარსული, მაქსიმუმ 1 მმ წვერს უნდა ატარებდეს. აი, ლიცმანს კი, რომელიც ორიოდიოქსული იუდაიზმის მიმდევარია, სარწმუნოება გრძელი წვერის ტარებას აუღლებს და მანაც გამონაკლისის დამკვეთა მოითხოვა, რაზეც უარი მიიღო. ხასიდიზმის მიმდევარმა რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციისთვის უმაღლესი სამართლოში იჩივლა და მხარხარ ერთ-ერთი საუკეთესო ადვოკატიც ამოიყენა. თავის მხრივ, ნიუ-იორკის პოლიცია აცხადებს, რომ რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია არაფერ შუაშია და ლიცმანმა ვერ კიდევ აკადემიაში ჩაბარების დროს იცოდო, რომ პოლიციაში დასაქმების შემთხვევაში გრძელ წვერთან გამომწვევითება დასჭირებოდა.

ნიუ-იორკის პოლიციის აკადემიის წარჩინებულ კურსანტს, ებრაული წარმომავლობის ფიშელ ლიცმანს არ გაუმართლა, - ქალაქის პოლიციაში არ მიიღეს. ამის მიზეზი კი, რადღუნ უცნაურიც უნდა იყოს, არა რომელიმე ნორმატივის შეუსრულებლობა ან არასათა-

გერმანიის შეიარაღებულ ქალაქი ქალაქი მოგაკვლავიან



გერმანიაში შეიარაღებული ძალების სამსახურში მყოფი ქალების რიცხვის გაზრდაზე დაფიქრდნენ. ბუნდესვერში უკვე გათვლებივც გააკეთეს და იმედოვნებენ, რომ პირად შემადგენლობაში სუსტი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობას, რომელიც ამჟამად 9 პროცენტს შეადგენს, 15%-მდე გაზარდონ.

წინასწარი ვარაუდით, მატება უმეტესად საბრძოლო ქვედანაყოფებს შეეება. სხვათა შორის, გერმანიის შეიარაღებულ ძალებში ქალების რიცხვის მატებასთან ერთად, სამხედრო ნაწილების ტერიტორიებზე საბავშვო ბაღების რაოდენობის გაზრდაც მოუწევთ ზრუნვა, რათა სამხედრო მოსამსახურეებმა უფრო მეტი დრო გაატარონ სამსახურებში.

გერმანიაში საბრძოლო ქვედანაყოფებში ქალების მთელა 2001 წლიდან დაიწყო. სუსტი სქესის წარმომადგენელთა შეიარაღებულ ძალებში გამოჩენა კი გულზე ვეწლას არ ჰქაბება. მაგალითად, ცოტა ხნის წინ ალბერსროდის სახელმწიფო პოლიტიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა ვერიკ ლანერტმა სახალხოდ გაილაშქრა ამ ტენდენციის ფინანსდამდგ და ვანცხადა, რომ ქალების ფიზიკური მონაცემები სამხედრო კრიტერიუმებს არ შეესაბამება. ამ ვეწლაფერს კი წინ გერმანიის სამხედრო-სახლავო ძალების სასწავლო იალქნთან გეშე კურსანტი გოგონას დაღუპვა უძლოდა.

წლის უსაკიდან ივიით ნახისგრა გოგლაგუნის ამოიღვენ

გერმანელი სამხედროები ბალტიის ზღვის ფსკერიდან ნაციტურნი ბომბდამშენის JU 88-ის ნარჩენების ამოღებას აპირებენ.

ამჟამად მსოფლიოში ამ თვითმფრინავის თამდევ უკუმეღარია შემოტრეწილი მსოფლიოს სხვადასხვა სამხედრო მუზეუმებში.

მეორე მსოფლიო ომისდროინდელი JU 88 ბალტიის ზღვაში 1990-იან წლებში აღმოჩინეს. ექსპერტთა მონაცემებით, თვითმფრინავი კარგადაა შენახული, მიუხედავად იმისა, რომ ზღვის

ფსკერზე თითქმის 70 წელი გაატარა. წელი ზედაპირზე ბომბდამშენის ამოტანა ნაწილ-ნაწილ იგეგმება და რესტავრაციის შემდეგ ერთ-ერთ საეაიაციო მუზეუმში მიუქნენ ადგილს. თვითმფრინავის ისტორიის რაც შეეება, ჯერჯერობით მასზე არაფერია ცნობილი, ვინ მართავდა ბომბდამშენს და რა გაზდა მისი დაღუპვის მიზეზი, მკვლევრები ამას ნათელს კორპუსის წყლიდან ამოტანის შემდეგ, მასზე სერიული ნომრის ხილვის შემდეგ მოპოვენ.



1/31/18

პოლიტიკის ნიღაბი AKM-ის გზიან არ აზარებს



ამერიკულმა კომპანია MTeK Weapon Systems-მა შექმნა პოლიტიკის ნიღაბი FAST G3A, რომელიც 400 გრამს იწონის და განკუთვნილია აფეთქების ტაღლივგან თავისა და სახის დაცვადად. თუმცა, ნიღბის შემქმნელები სასაბჭოთაო დაკვირვებელი დარბაზი, როცა აღმოაჩინეს, რომ ის მფლობელს 2 კილოჯოულის ენერჯის მქონე AKM-ის ტყვიას განაცდევს.

როგორც ირკვევა, ამ ნიღაბმა, მიუხედავად იმისა, რომ შეიარაღებაში არ მიუღიათ, პოპულარობა უკვე მოიპოვა აფიანეთში ამერიკელ საზღვაო ქვეითთა შორის და ეს უკანასკნელნი მას თურმე თავად ვიდულობენ. ნიღაბზე განსაკუთრებული მოთხოვნა იმ მებრძოლებში ყოფილა, რომლებიც ასაფეთქებელი მიწობილობების გაუქმებლებზე მუშაობენ.


შწარმოებელს დავკვირვებოდა აქვს ნიღბის უფრო გასწავლილი ვერსიის შექმნა, რომელსაც უკეთესი ხედვის არეალი და სმინალობა ექნება. ახალი მოდიფიკაციის ფასი 375 დოლარი იქნება, თუმცა ამერიკელ მებრძოლებს მისი შექმნაც კვლავაც საკუთარი სახსრებით მოუწევთ, ვიდრე შემთხვევაში, ჯერჯერობით მინც.

სირიაში განაჯაჯე „მოსხალ უაკაღ გაჯუჯეოს იყენაჯე

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ სირია იმ ქვეყნების სიაში შეყენა, რომლებიც ბავშვების წინაშე დანაშაულს სწადიან. გაეროს მოხსენებაში ნათქვამია, რომ ქვეყანაში მიმდინარე კონფლიქტის გამო იღუპება, სხულის დაზიანებას იღებს და ძალადობის მსხვერპლი ხდება არაერთი ბავშვი, მათ შორის 9 წელზე პატარა ასაკის.

ლოკუმენტის ავტორების რწმუნებით, სირიაში ბავშვებს ცოცხალ ფარადც იყენებენ. გაეროს წარმომადგენლები პირადად შეზღუდენ ბავშვებს, რომლებსაც ხელისუფლების მხარდამჭერი მეომრები ტანკებზე სვამდნენ, რათა ოპოზიციურ ძალებს მათთვის ცეცხლი არ გატხნათ.

საუბედუროდ, როგორც ირკვევა, საბრძოლო მოქმედებებში ბავშვების ჩართვას არც სირიის ოპოზიცია ერიდება. აღმოჩნდა, რომ „თავისუფალი სირიის არმია“ ფრონტზე პატარებს სანიტრებად და მათ დამხმარებად არტუო იშვიათად გზავნის.



აკეულოგაიოს ღკროს აჯაიანთა ჯგუჯეოს აკაეომაკვიდნეაელ ყუბაგასაგუოკხსს ესკიან

ამერიკულმა კომპანია Moog Inc-მა ახალი ყუმბარსატორცი EAGLS-ი წარმოადგინა, რომელიც არამომაკვიდნეულია და ადამიანთა მასის დასაშლელადაა გაოსასყენებელი.

სატორცი ორი გამშვები დანადგარისგან შედგება და თითოეულს ექვსი 66-მმ-იანი ტორეი


აკვს. იარაღიდან საკამლე, ბერთ-მანათობელი ან ტრეამატული ტორეების 100 მეტრამდე მანძილზე სწორა შეიძლება.

პენტაგონი არამომაკვიდნეული იარაღის მთელი საექტრის შექმნაზე არგა ხანია აქტიურად მუშაობს, მათ შორის — ელექტრომაგნიტურ ქვემტხეც.

იარაღის გარეგან ვერაჟინ დაჟიოლის!

მიხიგანის შტატის ქალაქ ბირმინგემში (აშშ) უჩვეულო აქცია გაიმართა 19-წლის შონ-მაიკლ კომბის მხარდასატყარად. ამ გავაფხულზე ეს გაუბატონი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის, ცეცხლსასროლი იარაღის სხვისთვის დამინებისა და პოლიციის ოფიცირისთვის დაუშორილობისთვის დააკვს და ორთოვანი პატიმრობაც მიუსატყეს. სწორედ ამ განაჩენის ორიგინალურად გაპროტესტება გადამწვიტეს ბირმინგემელეებმა, რომლებმაც ქალაქის ქუჩებში კბილეამდე შეიარაღებულეებმა მოაწვეეს მსეულეობა. პისტოლეტა და სანადირო თოფო რა მოსატანია, იყენენ ისეთობეც, ხელი საკმაოდ შამამბეკდვი ავტომატური იარაღი და სნაიპერიული შამხანეები რომ ეჭრაო.

აკციის მთოარი გზავნილი ხელისუფლებისადმი იყო ის, რომ არავის შეუძლია მათთვის კანონით მინიჭებული, წესის დაცვით დარღვისტრირებული იარაღის ტარების უფლების ხელყოფა.



ქართული ხა აპერიკული რადიოლოკაციური პოლონიუმი?

**თუკი ვაჟინგზონი პართლას ღახხაპარვა თგილის სპაპარო სივრცის
კონგროლის ერთიანი სიზგეის ჩაოყალიბებაში,
პაჟინ ქართული სის უსაუტისოვაა პიოპნელოვნად გიოზღვაა**

14 თენის აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა გაავრცელა ოფიციალური განცხადება, რომელიც მიემღენა 5 თენისს ბათუმში აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის კომისის მესამე ყოველწლიურ სხდომას, რომელიც საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა აშშ-ის სახელმწიფო მდიანმა, პილარი კლინტონმა გახსნა.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადების თანახმად, ამ სხდომაზე განხილვობდა ვარიანტები, თუ როგორ შეიძლება საქართველოს საჰაერო თავდაცვის დაკვირვების საშუალებებისა და სანაპირო წყლების გაკონტროლების საშუალებების განვითარება, თავდაცვითი საინჟინრო შესაძლებლობების გაძლიერება, სურფანტთა შემადგენლობის მოწზადების, ბრიგადის შტატების მართვისა და კონტროლის შესაძლებლობების გაუმჯობესება, სატრანსპორტო შეკუდმფრენების პარკის გაახლება.

თითოეული ზემოჩამოთვლილი საკითხი ძალზე მნიშვნელოვანია საქართველოს შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობის ასამაღლებლად. თუმცა, მათ შორისაც შეიძლება გამოიყოს სასიცოცხლო მნიშვნელოვანი თემები, რომელთა მოგვარება დაგვიანებულიც არის.

ლაპარაკია საქართველოს საჰაერო სივრცის გაკონტროლების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებაზე, რომლის არქონამ 2008 წლის აგვისტოს ომში

რუსეთთან სავალალო როლი ითამაშა საქართველოსთვის. 5 თენისს აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის კომისის სხდომაზე განხილული საკითხი ქართული საჰაერო თავდაცვის დაკვირვების საშუალებების განვითარებაზე სხვა არაფერია, თუ არა სურვილი, უკეთესად გაკონტროლდე საქართველოს საჰაერო სივრცე. საჰაერო სივრცის გაკონტროლება

კი, ძირითადად, აქტიურ და პასიურ რეჟიმში მოქმედი რადიოლოკატორებით ხდება. მთავარია შეიქმნას ერთიანი რადიოლოკაციური ველი, რომელიც გაკონტროლებს საჰაერო სივრცის უდიდეს ნაწილს და განსაკუთრებით იმ საშუამთავრებებს, საიდანაც ყველაზე მეტად არის მოსალოდნელი საფარაული მონინააღმდეგვის საჰაერო თავდასხმის ობიექტების (მათ შორის

რუსული „პაერი-რადიოლოკატორის“ კლასის რაკეტით აფეთქებული ქართული 36D6 ტიპის რადიოლოკატორი შვეშებში (გორთან)





ამერიკულ სამკორდინატან მობილურ რადიოლოკატორ TPS-117-ს საპაერო სამიზნეების აღმოჩენა 450 კმ სიშორეზე და 30 კმ სიმაღლეზე შეუძლია

— თვითმფრინავების, შტურმოვანი რაკეტების, ფრთოსანი და ბალისტიკური რაკეტების) შემოჭრა.

საპაერო სფეროს კონტროლის ერთიანი სისტემა კი ნიშნავს, რომ სხვადასხვა რადიოლოკატორის მიერ მოპოვებული ინფორმაცია აპერატიულად მიწოდოს ცენტრალური მართვის პუნქტს, სადაც მეთაურობას შესაძლებლობა ექნება, წარმოიდგინოს სურათი, თუ რა ხდება ქვეყნის საპაერო სფეროში, ასევე მის მოსაზღვრე რაიონებში.

2008 წლის აგვისტოს ომის დროს საქართველოს შეიარაღებული ძალები ამუშაებდნენ რამდენიმე რადიოლოკატორს ქვეყნის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებში. მათ შორის იყო უკრაინაში შექმნილი შედარებით თანამედროვე სამკორდინატანი რადიოლოკატორებიც. მიუხედავად იმისა, რომ ისინი მთლიანად ვერ ფარაუდნენ საქართველოს საპაერო სფეროს, მაინც პოულობდნენ საშუალო და მაღალ სიმაღლეებზე მფრენ რუსულ საბრძოლო თვითმფრინავებს.

ომის მეორე-მესამე დღეს რუსეთის ავიაციამ „პაერო-რადიოლოკატორის“ ტიპის მართავი რაკეტებით რამდენიმე ქართული რადიოლოკატორი გამოიყვანა მუქობრიდან, მათ შორის თბილისის ახლოს, შვეშეებში (გორთან), სენაკში და ფოთთან.

ამ დიდი დანაკარგის შემდეგ საქართველოს საპაერო სფეროს გაკონტროლების ხარისხი უფრო დაეცა და ბოლო ოთხი წელია აქტუალურობას არ კარგავს ქართული ცის რადიოლოკაციური კონტროლის აღდგენა-გაუმჯობესების საკითხი.

უმცა, რადიოლოკატორი არც



ნორვეგიული თანამედროვე საზენიტო-სარაკეტო სისტემა NASAMS-ის მოქმედებაში



ამერიკული რადიოლოკატორების განთავსება ქართულ შუიბზე გადავიღებს რუსული საბრძოლო ავიაციის დროულ აღმოჩენას...

„დიდგორია“ და არც „ლაზიკა“, რომელთა აწეობა საზღვარგარეთ ნაყიდი ჯგუშანფლებითა თუ ჯგუშანმინებით ტანკსარემონტო ქარხანაში შეიძლება. სამწუხაროდ, საქართველოს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს არ ძალუძს ტექნიკურად ისეთი რთული მოწყობილობის შექმნა, რომელსაც რადიოლოკატორი ჰქვია.

ერთადერთი გზა საზღვარგარეთ თანამედროვე რადიოლოკატორების შექმნაა, მაგრამ აკვისტოს ომის შემდეგ დასავლეთის ქვეყნები თავს იკავებენ საქართველოსთვის რადიოლოკატორების მიყიდვისგან, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს არავითარი საერთაშორისო სანქცია არა აქვს დაწესებული.

გამოუცხადებელი „პოლიტიკური ემბარგოს“ მიზეზი რუსეთის ფაქტორია, — კერძოდ, ზოგიერთი ქვეყანა, რომლებიც სიამოვნებით გვიყიდან რადიოლოკატორებს, არ რისკებენ, მოსკოვთან ურთიერთობის გაფუჭებას ეწიფებოდნენ.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს აკვისტოს ომიდან მალე აშშ-ის საარეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვადემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა ბარაკ ობამამ, რომელმაც „გადატვირთვის“ პროცესი დაიწყო,

რომლის მიზანი აშშ-რუსეთის ფედერაციის ურთიერთობის დათბობა და განაიარაღების გაგრძელება გახლდათ. „გადატვირთვის“ პოლიტიკას ნაკლებად შეესაბამებოდა სტრატეგიული პარტნიორის — საქართველოს თვდაცვისუნარიანობის აღდგენაში დახმარება, რადგან ეს კრემლს საბაბს მისცემდა თვითი სახლისთვის ახალი ბრალდებები წაყენებინა.

ალბათ, ამით აიხსნება, რომ 2008 წლის აკვისტოს ომის შემდეგ სამი წლის განმავლობაში აშშ-ის ხელი-სუფლება მხოლოდ პოლიტიკურ და სიტყვიერ მხარდაჭერას უცხადებდა მჭობარ საქართველოს, რომლის ტერიტორიის 20% მუზობელ რუსეთს აქვს ოკუპირებული.

თუმცა, 2012 წლის 30 იანვარს გაშინგტონში აშშ-ისა და საქართველოს პრეზიდენტების ოფიციალური შეხვედრის შემდგომ გაცხადდა, რომ აშშ დაეხმარება საქართველოს თვდაცვისუნარიანობის გაზრდაში, რაც უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯია ორი ქვეყნის ურთიერთობაში.

თუკი აშშ-ის სახელმწიფო მდიენი პილარი კომენტარის საქართველოში ვიზიტის შემდგომ მართლაც დაიწყო საქართველოს საპაერო სერვის კონტროლის ამაღლება, მაშინ ეს ვიზიტ

შეიძლება ისტორიულადაც კი შეფასდეს.

რთი და როგორ შეიძლება დაქმნაროს აშშ საქართველოს საპაერო სერვის კონტროლის ერთიანი სისტემის შექმნაში? პირველ ეტაპზე ეს იქნებოდა აქტიურ და პასიურ რეჟიმში მოქმედი რამდენიმე მობილური რადიოლოკაციური სადგურის განთავსება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, რომელთა მეშვეობით გეოტერიტორლებდით ჩრდილოეთისა და ჩრდილოეთ-დასავლეთის მიმართულებებს.

მაგალითად იმისა, თუ როგორ იქმნება საპაერო სერვის კონტროლის სისტემა, ბალტიისპირეთის ქვეყნებიც პროცესებშიც გამოდგება. 1998-2000 წლებში, ჯერ კიდევ NATO-ში გაწევრებამდე, ბალტიისპირეთის სამა ქვეყანამ — ლატვამ, ლიტვამ და ესტონეთმა დაიწყეს საპაერო სერვის კონტროლისა და დანერვის სისტემა BALTNET-ის ჩამოყალიბება. 2004 წელს, ბალტიისპირეთის ამ ქვეყნების NATO-ში მიღების შემდეგ მათ ტერიტორიაზე ამოქმედდა თანამედროვე ამერიკული TPS-117 ტიპის სამკორდინატორ რადიოლოკაციური სადგურები, რომლებსაც საპაერო სერვისის გაკონტროლება 450 კმ რადიუსში და 30 კმ სი-

მალე მდგე შეუძლია. მოგვიანებით, BALTNET-ის სისტემა ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა NATO-ს საჰაერო დაკვირვებასა და ადრეული აღმოჩენის გაერთიანებულ სისტემას შეერთა, რითაც დიდი სტრატეგიული უპირატესობა მოიპოვა, — ბალტიისპირეთიდან რადარებს რუსეთის დასავლეთი ნაწილისა და თითქმის მთელი ბელორუსიის საჰაერო სივრცის გაკონტროლება შეუძლიათ საშუალო და მაღალ სიმაღლეებზე, რაც NATO-ს სარდლობას საშუალებას აძლევს, დროულად აღმოაჩინოს დასავლეთისკენ მიმავალი რუსეთისა და ბელორუსიის ყველა თვითმფრინავი.

ამერიკული TPS-117-ები, რა თქმა უნდა, არც საქართველოს საჰაერო სივრცის გაკონტროლებისთვის იქნებოდა ცუდი, თუმცა, მათი ეფექტურობა ისეთი მაღალი ვერ იქნებოდა, როგორც ბალტიისპირეთში.

საქმე ის არის, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოს რუსეთისგან კავკასიის ქედი ჰყოფს, რომელიც ერთგვარად შემაკავებელი „კედელია“ რადიოლოკატორებისთვის. რუსეთიდან საქართველოსკენ დაბალ სიმაღლეზე გამოფრენილი თვითმფრინავისა თუ შეუღლმფრენის რადიოლოკატორებით აღმოჩენა მანამდე შეუძლებელია, ვიდრე კავკასიის ქედს არ გადმოუფრენენ. ამიტომაც რა-

დიოლოკატორის მიერ საჰაერო ობიექტის აღმოჩენიდან გადაწყვეტილების მიღებამდე (მაგალითად, საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის გათვლისთვის საზენიტო რაკეტის გაშვებაზე ბრძანების გაცემა) რვაკვირების დრო მცირეა, რაც დიდ პროფესიონალებს მთითხოვს მენეჯიტებისგან.

მიუხედავად ამისა, შუმაღლეზე ადგენებზე (მთის კალთები) დაყენებული მიზილური TPS-117-ების ჯგუფი მნიშვნელოვნად გააძლიერებდა საქართველოს საჰაერო თავდაცვის შესაძლებლობებს, თუკი ერთი-ორი მათგანი ოკუპირებული აფხაზეთისა და ასევე ბათუმი-ანაკლიის სანაპირო ზოლის მიმართულებაზე იმუშავებდა, სხვები კი ჩრდილოეთი საზღვრის გაფოლებაზე.

ოკუპირებულ აფხაზეთში, გუდაუთის სამხედრო-საჰაერო ბაზაში ითიქის ყველა ტიპის საბრძოლო თვითმფრინავის ბაზირება შეიძლება, ხოლო ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში დამტკმელი შეუღლმფრენების განთავსება.

ამ რუსულ საჰაერო თავდასხმის საშუალებებს ადარ სჭირდებათ კავკასიონის ქედის გადმოღაბა, რაც უფრო ამკვირებს მათი რადიოლოკატორი აღმოჩენიდან გადაწყვეტილების მიღებამდე საჭირო დროის მონაკვეთს. ყოველფე ეს უფრო აქტუალურს ხდის რადიოლოკატორი სადგურების გან-

თავსების აუცილებლობას საქართველოში ზოგიერთი, სამხედრო საქმეში შეტ-ნაკლებად გაითვითცნობიერებული პირი თელის, რომ საჰაერო თავდაცვის მოდერნიზაციის შემდგომ მომკვლელები რუსული ავიაცია ვერ მიაღწევს 2008 წლის დროინდელ შედეგს.

სინამდვილეში ეს მთლად ასე არ არის, რადგან 2008 წლის ომის შედეგების გაანალიზების შემდგომ რუსეთის ხელმძღვანელობამ თავისი საბრძოლო ავიაციის მოდერნიზება დაიწყო, რათა რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში, ასევე დღისა და ღამის ნებისმიერ დროს საბრძოლო ამოცანის შესრულება შეძლოს. ამისთვის რუსული მოიეროშე თვითმფრინავების მოდერნიზება მიმდინარეობს Cy-25CM-ის, ხოლო შეუღლმფრენებისა კი Ми-8AMTШ, Ми-28H და Ми-35M-ის დონეზე.

ათობით მოდერნიზებული მოიერიშეები და შეუღლმფრენები რუსეთის შეიარაღებული ძალების სარდლობამ უკვე განათავსა სამხრეთ სამხედრო ოლქის აეროდრომებზე ჩრდილო კავკასიაში, საქართველოს საზღვრებთან, ასევე ოკუპირებულ ტერიტორიებზე — აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში.

ასე რომ, აშშ-ის დახმარებით თუკი მოხერხდა საქართველოს საჰაერო სივრცის გაკონტროლების გაუმჯობესება

ისრაელის წარმოების საზენიტო-სარაკეტო სისტემის Spyder-SR/MR-ის მოქმედების ტაქტიკა საჰაერო საფრთხის მოგერიების დროს. „საჰაიდროს“ რამდენიმე საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი ქართველმა მეზენიტებმა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს რუსეთის ავიაციის წინააღმდეგ წარმატებულად გამოიყენეს



პოლონურებმა Pz-91-ის (T-72-ის პოლონური მოდიფიკაცია) ბაზაზე თვითმავალი საზენიტო დანადგარი შექმნეს საბორტე რადიოლოკატორითა და ორი 35 მმ-იანი ავტომატური ქვემუხითი



(იმეუ TPS-117-ების საშუალებით), ეს მაინც ვერ იქნება პანაცეა, რადგან რადიოლოკატორით აღმოჩენილი საპაერო სივრცის დამრღვევი საფრენი აპარატი უნდა ჩამოგდებულ იქნეს.

ამისთვის მხოლოდ ორი ზერხი არსებობს — გამანადგურებელ-გზაგადამჭრელი თვითმფრინავებისა და საზენიტო საშუალებების გამოყენება. ქართული არმიის შეიარაღებაში ვაგანადგურებელი თვითმფრინავები არ არის და ეტეობა, დიდხანს არც იქნება. რაც შეეხება საზენიტო საშუალებებს, ის შეიძლება იყოს წარმოდგენილი როგორც საზენიტო ტყვიამფრეკვევებისა და ქვემუხთის, ისე საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების სახით.

ასეთი შეიარაღება ქართული არმიის არსენალში არის, მაგრამ არასაკმარისი რაოდენობით ამიტომაც კარგი იქნებოდა, თუკი აშშ საქართველოს საპაერო სივრცის გაკონტროლების გაძლიერებაში შესაძლო დახმარების აღმოჩენის შემდეგ, ამ საკითხზე გაამახვილებდა ყურადღებას, **წინააღმდეგ შემთხვევაში, აზრს კარგავს შეტყუაზე გადმოსული მოწინააღმდეგის ბო-**

ბღამშენის რადიოლოკატორით აღმოჩენა, თუკი ის ამ საპაერო თავდასხმის ობიექტს არ გაანადგურებს.

თითოეული TPS-117 დაახლოებით 13 მლნ დოლარი ღირს, თუმცა, ეს არ არის ის თანხა, რომ რამდენიმე ასეთი მძლავრი და მობილური რადიოლოკატორი სადგურის შექმნა საქართველომ სტრატეგიული პარტნიორის — აშშ-ის დახმარებით ვერ შეძლოს. მით უფრო, რომ ეს NATO-ის ინტერესებშიც შედის.

აშშ-ის ინტერესი კი ის არის, რომ საქართველოში ამუშავებული თანამედროვე რადიოლოკატორება (იმეუ TPS-117-ებს) საქართველოს საპაერო სივრცის გარდა, მუზობელი ქვეყნების ცაშიც „შეიჭვიბებინან“, მათ შორის — სომხეთსა და ირანშიც, რაც არანაკლებ აინტერესებთ ვაშინგტონში.

სომხეთის ცა იმითომ არის აშშ-ისა და მთლიანად NATO-ს (განსაკუთრებით კი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის) წვერი თურქეთისა და მისი სტრატეგიული პარტნიორის — აზერბაიჯანის) დაინტერესების საგანი, რომ იქ რუსული MiG-29 ტიპის გამანადგურებელი თვითმფრინავები დაფრ-

იანენ და საერთოდ, სომხეთი სამხრეთ კავკასიაში რუსეთის დასაყრდენი ფორპოსტია.

ირანის ფაქტორის დასაბუთებას, ალბათ, ახსნაც არ სჭირდება, რადგან სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ კი, საქართველოში, მძლავრი და თანაც მობილური ფაზირებულანტიენანი რადიოლოკატორების განთავსებით NATO-ს ვეროპული ანტისარაკეტო თავდაცვის სისტემა ძალზე მნიშვნელოვან კომპლექსს შეიძენს, რომელსაც ირანში გაშვებულ ბალისტიკურ რაკეტებს სტარტიდან 2-3 წი-ში აღმოაჩენს.

ასე რომ, საქართველოს საპაერო სივრცეში კონტროლის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებით საქართველოზე მეტად შეიძლება NATO-ს (და უპირველესად აშშ-ს) სტრატეგიული ინტერესები მოგებული დარჩეს და ეს მოგება უფრო მნიშვნელოვანი გახდება, თუკი NATO თავის საპაერო თავდაცვის ავტომატოზებული მართვის სისტემა „ნეიფში“ ჩართვს საქართველოს საპაერო სივრცის კონტროლის რადიოლოკატორებს.

იოაკიმი ალადაშვილი



„შინდისის გვირგვინი“

ერთ დღეს დაგადაბული 17 ქართველი გვირი

სამხედრო თემის პათეტიზმი არ უხდება, მაგრამ არიან ადამიანები, რომელთა გმირულ დასასრულს უემოციოდ ვერ მოიგონებ... 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს, 11 აგვისტოს, გორის რაიონის სოფელ შინდისთან 17 გმირი დაიბადა. ის დღე უანასწორი ბრძოლაში ერთ-ერთ ტრაგიკულ ეპიზოდად დარჩება. რუსეთის არმიის სიამაყის — საპაერო შედეგანტეთა ჯავშანკოლინის პირისპირ ქართული საინჟინრო ასეული მარტო აღმოჩნდა, რუსების 76-ე საპაერო-სადესანტო დივიზიის გაძლიერებული ბატალიონი, სადაც ჩვენთვის ომებგამოილი შედეგანტეები იყვნენ, საქართველოს სიღრმისკენ მომართებოდა. შედეგანტეთა საბრძოლო მანქანებს რამდენიმე ტანკი მოაცილებდა. მჭინავე საბრძოლო მანქანებზე სადაც ნაპოენი საქართველოს დროშა ჰქონდათ აღმართული. ამ დროისთვის ქართული არმიის მართვა და გაკვიბო მიშლილი იყო და ქვედანაყოფთა გადაადგილებაც არაროგანზებულად ხდებოდა. სოფელ შინდისთან ქართველმა სამხედროებმა ქართული დროშა შეინძნეს, მიწინააღმდეგის ემპაობამ საბდისსწერო როლი ითამაშა, — ქართველები ჯავშანკოლინებისკენ გაემართნენ და აგრესორმა ცხცლები გახსნა.

ამ ტრაგიკულმა ეპიზოდმა მთელი საქართველო (და არა მარტო) შერბა,

— ამ შეტაკებას 17 ქართველი შექწირა. ახალგაზრდა მსახიობმა და დამწვებმა კინორეჟისორმა ედმონდ მინაშვილმა ამ შეტაკებაში ბავშვობის მეგობარი დაკარგა და გმირად აღიარებული მეგობრის საფლავზე დაიფიცა, რომ ჩვიდმეტეუ მთავანის სახელებს საქართველოს ისტორიის ფურცლები შემოინახუდა, რათა შთამომავლობას გაეგო, ვინ იყვნენ ისინი.

ახალგაზრდა მსახიობმა კათილიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით შინდისის გმირებზე დოკუმენტური ფილმი უკვე გადაიღო. რუხო ჩხეიძის თანხმობით დაგეგმილია მხატვრული ფილმის გადაღებაც, რომელსაც „დიმილის ბიჭები“ ერქმევა. „ჩემი დიმილის ბიჭები გამოკონილი იყო, შენი ნამდივლია“, — უთქაშბ დიდ რეჟისორს.

უცნაური განცდა გეუფლება, როცა ერთსა და იმავე დღეს დაბადებული 17 გმირის ოჯახის წევრებს, ახლობლებსა და ნათესავებს კადრებად აკონშულ მოგონებებს უსმენ. „უბეღერი ვარ, რომ ერთადერთი გაჟი დავკარგე, მაგრამ ამეღეროულად ბედნიერი, არ მეგონა, თუ ასეთი ძლიერი შვილი მეგუდა. ვამაობ მისიო“, — ამბობს ერთ-ერთი გმირის მამა დოკუმენტურ ფილმში და ცრემლს შეუშწნეულად დაკოებოლი ხელებით იშენდს. იმ ბიჭებთან ზოგს ოჯახი დარჩა, ზოგს საციოლე..

თუ როგორ გადაწვიბა დოკუმენტური ფილმის გადაღება, ამის შესახებ

თავად ედმონდ მინაშვილი, რუსთაველის თეატრის მსახიობი გვიამბობს:

— 2008 წლის აგვისტოს ვანის რაიონში ვიყავი, როცა სოფელში ერთი დაღუბული ჯარისკაცი ჩამოასვენეს. შემდეგ მთორე და შესამე... მამონ გავცინობიერე ის უბედურება, რაც საქართველოში ტრიალებდა. ამ ომში ჩემი ბავშვობის მეგობარი მამიკო დვლიშვილი დაიღუბა. როცა მიშკო ჩამოასვენეს, მთორე დღევანდელ დასაფლავებს, რადგან ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო. მიშკოც შინდისში იყო, იმ ბიჭებთან ერთად. შეტაკების შემდეგ იმ 17 ბიჭებს ცხედარი აგვისტოს ცხელ დღეებში 4 დღე მინდორზე ყვარა. მიშკოს დასაფლავების დღეს მის საფლავზე დავიფიცე, რომ მე ვიზრუნებდი, რომ მათი სახელები საქართველოს არასოდეს დავიწყებდა.

— როგორ მუშაობდით ფილმზე?

— ფილმზე მუშაობა ძალიან მძიმე, მაგრამ საინტერესო იყო. ჩემი საოცრებო გმირები უფრო ახლოს გავიცანი. მათ ერთნაირი ცხოვრების წესი, აზრები, მისწრაფებები ჰქონდათ საოცრად ჰკავებენ ერთმანეთს.....

ვევლავ რთული იყო დაღუბული ჯარისკაცების ოჯახებში შესვლა და მათ შრომლებთან, და-ძმასთან, ცოლ-შვილთან საუბარი. განსაკუთრებით ბიჭების მშობლებთან საუბარი გამძჭირდა, რადგან შვილების დაღუპვით გამორეულ ტყვიოს ვახსენებდი და

დელტურ მყოლას ვიხივდი. წინასწარ ვფიქრობდი, როგორ მესულიყოფი მათთან, რა მეთქვა და როგორ დამქეყო საუბარი. ყველაზე მძიმე იყო ჩემთვის, როცა ერთ-ერთი ბიჭის დედამ სასუთარი შეიღოვით ჩამაკრა მჭიდრმა და მიმეფერა. მიჭირს ამ განცდის გადმოცემა. ჩვიდმეტყვე მათთან საფლავზე მივედი და ყველა ბიჭის სახელი აუწიეთ. ეს ძალიან დიდი პატივია ჩემთვის.

ამ ბიჭებიდან ჩემი მგობარია მხოლოდ მიხილ დავალიშვილი იყო, მაგრამ დღეს მგონია, რომ ყველანი ჩემი მგობრები იყვნენ. ასე მგონია, მათი ცხოვრების თანამონაწილე ვიყავი და ძალზე ახლოს გავიცანი ისინი. ამ ინფორმაციის მოსაგროვებლად რამდენიმე კილომეტრის გარეშა მოგვიხმა, თითქმის მთელი საქართველო მოვიარეთ მათგან ზოგი აჭარელი იყო, ზოგიც სვანი, იმერელი, კახელი...

— ფილმზე მუშაობის დროს ახალი ინფორმაციაც მიმოივით?

— დიახ, როგორც გვარკვიეთ, რუსულ ასეულს 12 კი არა, 17 ბაჭი ებრძოდა. იმ გმირებს შორის თიმურაზ ბერიძე, ფელიქს კაკაურიძე, გუზარ წილოსანი, მიხეილ დელიძეშვილი, ზვიად ცაიციძე, ვეფხია გვიშკარიანი, ილია გაბუნია, რუსლან წულაბე, ალექსანდრე ონიანი, კახა კოშბაძე, რომან მჭედრი, ილია შველაშვილი, ირაკლი ვანელიძე, ნიკოლოზ ფორჩხაძე, მარლენ ბა-

რამია, ლევან მელქაძე, შმაგი კუკაბაძეც დაიღუპნენ. ერთ-ერთი მეტრბოლი ოთარ კალმახელიძე, ისეა გადარჩა. ადგილობრივმა მოსახლემ, ბადრი ხუციშვილმა, მეტსახელად „ახიშკამ“, რამდენიმე გამოცევივანა სამშვიდობოს, მაღენიშე დღე საკუთარ სახლში მალავდა, შემდეგ კი მდებარეობას ჩააბარა. ოთარის რამდენიმე ჭრილობა ჰქონდა. მას ოპერაცია ისრაელში გაუკეთეს და ლეთის წყალობით ახლა კარგად არის. მას ქუთაისში ვესტუმრეთ თავიდან საუბარზე უარი თქვა, მერე დავიფიქროეთ.

ოთარმა თავად ნახა, როგორ აიფიქრა თავი ალექსანდრე ონიანმა. როგორც გვიაბობ, დაჭრილი იყო, უძირბად იწევა. მისგან 10 მეტრში მუხლებზე დაჩიქილ ალექსანდრე ონიანს თავისი ნათილული, რომან ზოიძე გულში მყოლია ჩაკრული და ღრიალებდა. მის ნაამბობს სიტყვასიტყვით მოგიყვებთ: „ონიანი ამ იყო დაჭრილი. რომანმა ეხვეწებოდა, წადი, მაინც ვედარაფერს მიშეკლი, თავი გადარჩინეთ. ის კი ხელს არ უშეკვდა. მერე დაწყვიტარა და დიამახა, ბიჭებო, მაშაოსთან დავრეკეთ, ზიარებას მოგვცემს. ვერაფრით დაუკავშირდა. მერე კი ისეა გვითხრა, ვისაც ჩემი ხმა გულისთ, ჩემთან ერთად, „მამაო ჩემო“ თქვით, მერე კი მტერს ცოცხალი ნუ ჩააბარებდითო! ლოცვა დაიწყო... მიეხედი, რასაც აპირებდა, ხელში ერთადერთი „ლიმიტკა“ ჰქონდა.“

უკვე რუსები გვაახლოვდებოდნენ.

ძალია მივიკრიბე და ონიანს დავუყვარებო ბიჭო, წადი, გაიქცე, ჩვენს საფლავზე მაინც მოხვალ და ჭიკა ლეონის ასწევ-მეთქი. ერთი დაიდრღია, არაო, და რუსებს შეგავინა, ტყვედ არ ჩაგაბარდებოთ, არც ჩემს ნათელეს დაგვიტყობითო! — და „ლიმიტკა“ „გახსნა“. თვლები დევხუჭებო. რომ გავიხილე, ვერც ერთი ევლარ დავინახე. მერე რუსული ტანკის ლულაც გამოინდა. რუსმა ჯარისკაცებმა დახოცილებსა და დაჭრილებს საკონტროლო ტყვია ესროლეს. მეც გადამატარეს ტყეზე ავტომატის ჯვარი და გონება დაკარგა.“

— ედმონდ, რამდენ ხანს გრძელდება ფილმი?

— სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი ციფერულ ფორმატით 80 წუთს გრძელდება. პროექტი კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით განხორციელდა, რაც ძალიან მემამყებუდა. ეს ფილმი, უკვე თვლადვაციის სამინისტროშიც ნახეს. ამ ფილმის მიზანია ქართველ საზოგადოებას დაანახოს, რომ გმირები დღესაც არსებობენ. ისინი მუდამ უნდა გვახსოვდეს.

— ფილმ „ლიმიტის ბიჭებზე“ გვიამბოთ.

— უკვე დავიწყეთ მუშაობა. ბატონ-მა რუზო ჩხეიძემ მოგვცა უფლება უფ-დებოდა, რომ ფილმს „ლიმიტის ბიჭები“ დავუბრუნო ბატონმა რუზომ მიიხრა, ჩემი ღიმილის ბიჭები შეიზნული ისტორიაა, ეს ფილმი კი სინამდვილეზე აგებული იქნებოდა.

ფილმს რეჟისორი გელა ბაბლუანი გადაიღებს, ფილმის სცენარზე კი აკა მორჩილაძე და ირაკლი სოლომონაშვილი მუშაობენ. რუზო ჩხეიძის ინიციატივით სცენარს გურამ დიჩანაშვილი ჩაასწორებს. მუსიკას კი ბატონი გია ყანწილი შექმნის.

— ეს იქნება მასშტაბური კინოროლიტები. როგორ ვითარდება ფილმის სცენარი?

— ამ ფილმში იქნებიან თანამედროვე ღიმილის ბიჭები, — 5 მოვარი გმირი თვითნათი სასიყვარულო ისტორიებით, დანარჩენებს კი ომში გაიცნობენ.

ერთ ფაქტზე ვაიბობთ, — ერთ-ერთი 20 წლის ბიჭი, რომელიც ამ შტაკებისას დაიღუპა, მორგში საშინლად დასახინებულად იყვნენ და მხოლოდ ბუჭზე მისატყული თეთრი არწივით ამოიცნეს. ამ ისტორიის მოსმენისთანავე ის დეჟიმი გაბახსნება. „ლიმიტის ბიჭი ვიყავი, ბუჭხედ დარწიე მჭახა. 19 წლისა შეესრულდა, ოცი არ გადამჭახა...“

ლალა პაპასხილი



EUROSATORY



ფრანგული ექსპოზიციის
მოთვარი სიახლე —
ჯეჟმანჩანა CRAB

მოდიფიკაცია — CRAB
 წონა კომპლექტაციიდან გამომდინარე — 8-10 ტ
 თვლების ფორმულა — 4x4
 სიჩქარე — 110 კმ/სთ-ში
 ბალისტიკური დაცვა — STANAG 2 (7.62X39 მმ-ის კალიბრის ჯეჟმანგამტანი ვაზნა 30 მ-ის დისტანციიდან) ან 4 (14.5X114 მმ-ის კალიბრის ჯეჟმანგამტანი ვაზნა 200 მ-ის დისტანციიდან)
 დაცვა ნაღმებისგან — STANAG 2/3.
 6/8 კვ-ის ასაფეთქებელი ნივთიერება შესაბამისად
 ეკიპაჟი — 3 კაცი
 შეიარაღება — დისტანციურად მართვადი მოდული 25 მმ-იანი ქვეშეხით

დამოუკიდებლად მოქმედება შეუძლია. შედარებით კომპაქტური ვაპარიტეტის ხარჯზე მანქანა ძალიან მოხილვადია, ხოლო ძლიერი შეიარაღება კი, მას სრულყოფილ საბრძოლო ერთეულად აქცევს. მწარმოებლები CRAB-ს დიდი

2012

მიმდინარე წლის 11 მაისს საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში თავდაკციით შეიარაღების შორივი საერთაშორისო გამოფენა EUROSATORY გაიხსნა. ის დასაბამს 1967 წლიდან იღებს და ყოველ 2 წელიწადში ერთხელ ტარდება.

EUROSATORY შეიარაღებისა და თავდაცვითი ტექნოლოგიების მსოფლიოში ერთ-ერთ მსხველ საერთაშორისო გამოფენად ითვლება და ამიტომაც იქ საკუთარ პროდუქციას სამხედრო ტექნიკის მწარმოებელი მსოფლიოს წამყვანი ფირმები წარადგენენ.

წლევანდელი გამოფენა მართლაც მასშტაბური იყო. მასში მსოფლიოს 60-ზე მეტი ქვეყნის 1400 კომპანია მო-

ნაწილეობდა. მიეძღვნა თუ დამთვალიერებელს ნებისმიერი სახის იარაღისა და ტექნიკის ნახვა შეუძლია: იარაღისა და ტყვია-წამლის, საზენიტო და სარაკეტო სისტემების, საარტილერიო და საზენიტო კომპლექსების, ტანკებისა და ქვეითთა საბრძოლო მანქანების, თვითმავალი საარტილერიო დანადგარების, ჯეჟმანმანქანებისა და ა.შ.

გამოფენაზე წარმოდგენილი მთავარი ფრანგული სიახლე ფირმა Panther-ის CRAB-ის ტიპის ჯეჟმანჩანა იყო. მანქანა სრულად ახალი კონცეფციით არის შექმნილი და მას როგორც ტანკების მხარდაჭერა, ასევე

იმედით უყურებენ და მსოფლიო ბაზარზე 1000-მდე მანქანის გაყიდვას გეგმავენ.

EUROSATORY 2012-ზე წარმოდგენილ მანქანას 25 მმ-იანი ქვეშეხით აღჭურვილი ბელგური დისტანციური მოდული ჰქონდა.

კიდევ ერთი ფრანგული სიახლე ფირმა Renault-მა წარმოადგინა. კომპანია უკვე წლებია ფრანგული არმიისთვის ორღერძიან VAB-ის ტიპის ჯეჟმანტრანსპორტიორებს აწარმოებს. წლევანდელ გამოფენაზე მისი მოდერნიზებული ვარიანტი VAB Ultima წარმოადგინეს.

წინამორბედიგან ახალ მოდიფიკა-

ციას გაძლიერებული დაცვა განასხეუებს. შარშან საფრანგეთის არმიამ უკვე შეიძინა 290 Ultima, მაგრამ მისი დემონსტრაცია მხოლოდ ახლა მოხდა. საფრანგეთი ამ მანქანებს აფლანეთში აქტიურად იყენებს. მსოფლიოს ცხელ წერტილში გაგზავნის წინ ხელის PPIG-ებისგან დასაცავად Ultima-ს დამატებით დაიცვის სახით ცხაურებს უკეთებენ.

მოდერნიზაციის შედეგად მანქანის წინა 8 სრულად ეკიპირებული ჯანისკაცისა და ორკაციანი ეკიპაჟის ჩათვლით 15,8 ტ-მდე გაიზარდა.

გამოყენაზე VAB Mark III-იც იყო წარმოდგენილი. საექსპორტოდ განკუთვნილი (თიუმების ფორმულა 6X6) შიდაელის გაუმჯობესებული ვარიანტი. 20 ტ-იანი სრული საბრძოლო მასისას, მას 7.5 ტ-იანი სასარგებლო დატვირთვა აქვს. დამკვეთის სურვილისამებრ, მანქანაზე სხვადასხვა სიმძლავრის ძრავები ყენდება. საბაზო კონფიგურაციაში მანქანა 25 მმ-იანი ქვეშეხიანი დისტანციურად მართვადი შიდაელით არიჭკურება.

სიახლე გერმანელებსაც აქონდათ. Rheinmetall-მა Marder-ის ტაბის ქვეითთა საბრძოლო მანქანის რამდენიმე ვარიანტი აწეუნა. ამ მანქანის შექმნა გერმანელებმა ჯერ კიდევ 1966 წელს დაიწყეს. სამი წლის შემდეგ ის შეიარაღებაში მიიღეს და სერიული წარმოება 3000 ერთეულის გამოშვებით 1975-ში დაასრულეს.

იმ დროისთვის ის საუკეთესო ქვეითთა საბრძოლო მანქანა იყო და დღესაც თანამედროვე მანქანებს არ ჩამოუვარდება. მიუხედავად ამისა, ბუნდესვერი შეიარაღებიდან ეტაობრივად ხსნის და უფრო სრულყოფილი Puma-



აფლანეთში გამგზავრების წინ VAB Ultima-ს დაიცვას ცხაურებით გააძლიერებენ

თი და TH-495-ით ანაცვლებს. ჩამოწერილი ტექნიკის გაყიდვა კი მოდერნიზაციის შემდეგ ექსპორტზე იგეგმება. გამოყენაზე კომანიაბ Marder-ის ორი მოდერნიზებული ვარიანტი – საშუალო ტანკი და მუხლუხა ჯეშმანტრანსპორტიორი წარმოადგინა.

პირველს, 43 ტ-იან ტანკს, 105 მმ-იანი ქვეშეხით აღჭურვილი დისტანციურად მართვადი შიდაელი აქვს. მისი ბალისტიკური დაცვა STANAG 4-ის, ნაღმწინააღმდეგო კი STANAG 3a/3b-ს სტანდარტებს შეესაბამება.

ბალისტიკური დაცვა – STANAG 4, უძლებს 200 მ-დან ნასროლი 14.5x114 მმ-ის კალიბრის ჯეშმანტრან ვაზნას; ნაღმწინააღმდეგო დაცვა – STANAG 3a/3b საბურავების ან უშუალოდ კორპუსის ქვეშ 8 კგ-იანი ასაფეთქებელი მიწყობილობის მაღალვა გათვლილი.

გამოყენაზე რუსებმა ახალი ტანკი T-90MC, ტანკების მხარდამჭერი მანქანა

ბმპტ და „პრაპი“ Тайфун Урал-63095 ჩაიტანეს. რუსების დევეგაციას გენწმტაბის ხელმძღვანელი, არმიის გენერალი ნიკოლაი მაკაროვი ხელმძღვანელობდა. მისი დაცხადებით, რუსებმა თვალის ფინურ ჯეშმანტრანსპორტიორ Patria AMV-ს დაადგეს. მაკაროვის თქმით, მისი უწყება „პატრიას“ საკუთარ პოლიგონებზე სიმონებში გამოცდოდა, კარგი შედეგის შემთხვევაში კი მათ შექმნაზეც არ იტყოდა უარს.

ევროპული ტექნიკით დაინტერესების ტენდენცია უკვე დიდი ხანია შეიმჩნევა. იტალიელებსგან „ოეკოს“ ჯეშმანქანის წარმოებაც ლიეცენზიის შესყიდვის შემდეგ, საკუთარ პოლიგონებზე გამოსაცდოლად იტალიელებმა რუსებს თვლიანი ტანკი „კენტური“ და თვლიანი ქვეითთა საბრძოლო მანქანა VBM Freccia გადასცეს.

ალექსანდრე ავაშიძე



პოტენციურ მყიდველებს, გერმანელები ქვეითთა საბრძოლო მანქანის ბაზაზე 105 მმ ქვეშეხიანი ტანკს სთავაზობენ



ქველი კატარღების ახალი სისოსხლა

ახლხან საქართველოში ვიზიტით მყოფი აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის მონაწილეობით 5 ივნისს ბათუმში საქართველოს ზინაგან საქმეთა სამინისტროს სასახლეო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტს აშშ-ის ფინანსური დანხარებით გარემონტებული სპატირული კატარღა P102 „გენერალი მაზნიაშვილი“ და მოდერნიზებული P109 „ფაზისი“ გადაეცა.

ამერიკული კატარღები ქართული დროებით

დინისძებვაში ამერიკის სახელმწიფო მდივნის მონაწილეობა შეიხბევიით არ იყო, მეგობარი სახელმწიფო საქართველოს სანაპირო დაცვას თითქმის შექმნის დიდან საზღვაო საზღვრების დაცვისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის განვითარება-სრულყოფაში დანხარებას უწყეს.

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის დაფინანსებით 1998 წლიდან დაიწყო საქართველოს სანაპირო დაცვის დანხარების პირველი პროგრამა „საზღვრის დაცვა და კანონგამტკიცება“.

პროგრამამ ჩამოყალიბების სტადიაში მყოფ საქართველოს სანაპირო დაცვას დიდი დანხარება გაუწია: გაიმართა და მწეობრში შევიდა ზღვაზე რადიო-დაკვირვების ინფრასტრუქტურა და რაც განსაკუთრებით გამოსაყოფია, მცურავ საშუალებათა ნაკლებობის პირობებში ჩვენმა ქვეყანამ რამდენიმე საპატრულო კატარღა უსასყიდლოდ მიიღო.

პირველი საწყარი Dauntless-ის

ტიპის ორი კატარღა ფოთში ქართველმა საზღვაო შესაზღვრებმა 1999 წელს ჩაბარეს.

მომდევნო კატარღა — აშშ-ის სანაპირო დაცვის WPB-82335 Point Countess-ი 2000 წლის 29 ივნისიდან საქართველოს დროებით, P101 „კოტენე დადიანის“ სახელით დაცურავს.

კიდევ ერთი ამერიკული საწყარი — კატარღა WPB-82342 Point Baker-ი 2002 წლიდან P102 „გენერალ მაზნიაშვილის“ სახელით ქვეყნის საზღვაო საზღვრების დაცვის სამსახურში ჩადა.

ამ კატარღას 2005 წლიდან **სამხედრო-ანალიტიკური ფუნქციის** „არსენალი“ შეუფობს და იმედა, რომ თანამშრომლობის ეს ფორმა უფრო სინტერესო სახეს შეიძენს.

ორივე კატარღას სინტერესო წარსული აქვს და „ახალგაზრდობის“ ასაკში ვიეტნამის ომში მონაწილეობაც მოასწერეს.

„დადიანის“ და „მაზნიაშვილის“ დაზღვრებით 50 წლისანი არიან და ეს ის ასაკია, როცა მცურავ საშუალებას განახლება-რემონტი სჭირდება.

2009 წლიდან ახალი პროგრამის — „ექსპორტის კონტროლისა და საზღვრის უსაფრთხოების“ ერთ-ერთი მიმართულება კატარღებისთვის აუცილებელ რემონტზე იყო გათვლილი.

რემონტი შეჭო კატარღების კორპუსების გარსამოსს, ძრავებს, დამხმარე მექანიზმებს და ა.შ.

ახლა „კოტენე დადიანის“ და „გენერალ მაზნიაშვილის“ სასიცოცხლო ციკლი გახანგრძლივდა და ისინი კიდევ დიდხანს შეძლებენ საქართველოს საზღვაო საზღვრების დაცვას.

ამვე პროგრამის ფარგლებში განახლდა კაპიტრის, ზღვაზე დაკვირვების და ინფორმაციის სისტემები, ეკიპაჟებმა კვალიფიკაციის ასამაღლებლად სხვადასხვა სახის კურსები გაიარეს და სხვ.

ამერიკული დანხარების პროგრამის მეორე მხარე სანაპირო დაცვის მოძველებული „კრიფების“ მოდერნიზაციას შეჭო და ამ გზით კატარღის ეფექტურობის ამაღლების ეკონომიურად გამართლებული ზრბი მოიძებნა.

სანაპირო დაცვის სფეროში აშშ-საქართველოს თანამშრომლობის წარმატებულ განვითარებაში წვლილი შეიტანა აშშ-ის საზღვაო საკითხებში მძრეველმა კაპიტან-ლეიტენანტმა დენისო ოუენმა, რომელიც „ექსპორტის კონტროლისა და საზღვრის უსაფრთხოების“ პროგრამაში 2009 წლიდან მონაწილეობდა.

ამერიკული დანხარების პროგრამები

გრძელდება და როგორც აშშ-ის სახელმწიფო მდიანმა გამოსვლისას აღნიშნა, საქართველო მალე მიიღებს კატარლების სარემონტო ქარხანას, სადაც საპატრულო მცურავ საშუალებებს რემონტი-მოდერნიზაცია თანამედროვე მოთხოვნების დონეზე ჩატარდება.

ამ ნაბიჯით საფუძველი ვერება ეროვნული გემთშენებლობის მომავალ სწარმის, სადაც სამხედრო კატარლებთან ერთად სამოქალაქო დანიშნულების მცურავი საშუალებების აგებაც იქნება შესაძლებელი.

განახლებული „გრიფი“

აშშ-ის ფინანსური დახმარებით 2006 წელს ბათუმის გემთსაშენ ქარხანაში მოდერნიზაცია გაიწარმა „გრიფის“ ტიპის კატარა P-205-მა, რომელიც სანაპირო დაცვის შემადგენლობაში „ორბის“ სახელით შევიდა. უახლესი სანავიგაციო-კავშირის საშუალებებითა და „კატერპილერის“ პატარა ზომებისა და ეკონომიური დიზელის ძრავებით აღჭურვილი კატარის შესასაღებლობე ბეჭად ამაღლდა და ექსპლუატაციის ეტაპზე შესაბამისად მოიმატა.

თუმცა, როგორც ვეჟელ ახალ საქმეს, პროექტს რიგი ტექნიკური ხარვეზები აღმოჩნდა, რის გამოც 2008 წლის აგვისტოში „ორბის“ ფოთიდან გაყვანა ვერ მოხერხდა და რუსმა დღევანდელმა გემთსაღმომან ააფეთქეს.

2011 წელს დაიწყო კიდევ ერთი და საკმარის საინტერესო ბიზნესის მქონე „გრიფის“ მოდერნიზაცია.

80-იანი წლების ბოლოს ბათუმის გემთსაშენ ქარხანაში აგებული „გრიფის“ დასრულებს მაკომპლექტებული აგრეგატების უქონლობის გამო ყვრა და ვერ ხერხდებოდა. ნაპირზე ამოტანილი



აშშ-ის სახელმწიფო მდიანი პილარი კლინტონი, პრემიერ-მინისტრი ნიკა გელაური და სასაზღვაო პოლიციის უფროსი გენერალ-მაიორი ზზა გოგავა

კატარის კორპუსი კარგ მდგომარეობაში იყო და ამერიკული დახმარებით ის მშვიდობაში შევიდა.

მოდერნიზებული „გრიფი“ — P109 „ფაზის“ მრავალფუნქციონალურია, ანუ პატრულირებასთან ერთად მას შეუძლია ავარიულ მდგომარეობაში მყოფი გემის ძებნა-გადარჩენა, საჭიროების შემთხვევაში მისი ბუქსირება, სააბორდაჟო ოპერაციების ჩატარება და სხვ.

კატარის ელექტრომექანიკური ნაწილი და სანავიგაციო კავშირის სისტემები თანამედროვეა, ეკიპაჟისთვისაც საუკეთესო საფეხიც ხორციელს პირობებია შექმნილი. უახლესი აპარატურის ხარჯზე ეკიპაჟი მხოლოდ 6 კაცისგან შედგება, როცა ძველი „გრიფები“ 10-14 კაცზეა გათვლილი.

ახალ ძრავას პატარა გაბარბეტები აქვს, ეკონომიურია და კატარლისთვის 32-კანტიან სინქარეს უზრუნველყოფს.

სააბორდაჟო გუნდისთვის კატარის ბორტზე სპეციალური რეზინის ნაფა და მსხვილკალიბრანი ტყვიამურევეები არის აღჭურვილი.

ბათუმის გემთსაშენი მარხანა

გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ლენინგრადის ცენტრალური სახელმწიფო-საკონსტრუქტორ ბაურო „ალმასი“ საპატრულო დანიშნულების კატარა „გრიფის“ (პროექტი 1400) შექმნა დაეკლა.

1967 წელს ლენინგრადში პრიორის გემთსაშენი ქარხანა „გრიფების“ მშენებლობას შეუდგა და პირველი ოთხი კატარა ააგო, ხოლო სერიალი წარმოება 1969 წლიდან უკრაინაში ფეოლოსის ქარხანა „მოტუს“ გადაეცა. მშენებლობის ტემპი საკმაოდ მაღალი იყო და ერთხანს „მოტუს“ წელიწადში 11 „გრიფს“ აგებდა.

80-იანი წლების მეორე ნახევრიდან „გრიფების“ (პროექტი 1400M) სერიალ მშენებლობას ბათუმის გემთსაშენი ქარხანა შეუდგა.

ბათუმელი გემთშენებლები კატარლებისთვის საჭირო ლითონის ფურცლებს და არმატურას, ძალიან დანადგარებს, შეიარაღებს, სანავიგაციო ხელსაწყოებს, კაბელებსა და სხვა საჭირო მასალებს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქიდან იღებდნენ.

ფეოლოსის „გრიფებისგან“ განსხვავებით ბათუმური კატარლები ზომით ოდნავ პატარა იყო.

ბათუმში აგებული კატარლების ტექნიკური პარამეტრებია: წყალწვევა 40,7 ტონა, სიგრძე 23,8 მეტრი, სიჩქარე 29

მოდერნიზებული P109 „ფაზის“ 2012 წლის 5 თვის ბათუმის პორტში



კანძი, საზღვაოსნო უნარი 3 ბალი, ეკიპაჟი 13 კაცი, ცურვის სიშორე ეკონომიური 13-კვანძიანი სელით 450 მილი, ავტონომიურობა 5 დღე, შეიარაღება — შეწყველებული 12,7 მმ-იანი დანადგარი Ytec-M-ი.

ძალოანი დანადგარი ორი M-4015 ტიპის 1100-ცხ.ძალიანი დიზელის ძრავისგან შედგებოდა.

ქარხანაში ათამდე კორპუსის აგება მოესწრო, საიდანაც 6-7 დასრულებული კატარა საპლუთა სასაზღვრო ვარების საზღვაო ქვედანაყოფებს გადაეცა, ხოლო დანარჩენები მშენებლობის სტადიაში იყვნენ.

აფხაზეთში დაწყებული ომის გამო 1992 წლის სექტემბერში რუსეთმა საქართველოსათვის ყოველგვარი შეიარაღებისა და საბრძოლო ტექნიკის გადმო-

საპატრულო კატარა P102 „გენერალი მანიაშვილი“



ამერიკელების პირველი საწყობი — Dauntless-ის ტიპის კატარა



შესაქმნა „გრიფი“ — „ფაზისი“ კი ახლა ქვეყნის საზღვაო საზღვრების დაცვის სამსახურში ჩადგა.

„გრიფების“ გარდა, ბათუმის გემთსაშენი ქარხანა აგებდა სხვადასხვა დანიშნულების კატარებს — „აისტს“ (პროექტი 13985), „სტრიფს“ (პროექტი 13901), „ტორნადოს“ (პროექტი 18629), „მიკე ზეიგენს“ და სხვ.

1958 წელს ბათუმში თბილისის ზღვისთვის აიგო ორი სამდინარო ტრამაის ტიპის ორი კატარა „მოსკვიჩი“ და „აჭარა“. თითოეული 50-60 მგზავრზე იყო გათვლილი.

გარდა ამისა თბილისის 1500 წელიდან დაკავშირებით აიგო ბათუმელმა გემთმშენებლებმა მდინარე მტკვარზე მამის-ვლისთვის ააგეს სამგზავრო კატარა „თბილისის 1500 წელი“.

თემურ ჩაჩანიძე

ცემა აკრძალა და ბათუმში სამი „გრიფი“ დაუთმურებელი დარჩა.

1992 წელს საქართველოს თვდაცვის სამინისტრომ ბათუმის გემთსაშენი ქარხანას ორი „გრიფის“ დასრულება შეუკვეთა და გრაფიკით პირველი მზად 1993 წლის მაისში, ხოლო მეორე კი დეკემბერში უნდა ყოფილიყო.

პირველი „გრიფის“ მწყობრივ შეყვანა 1995 წელს დასრულდა და ასლან აბაშიძის ბრძანებით მისი თვდაცვის სამინისტროსთვის გადმოცემა შეჩერდა და კატარა აჭარის უშიშროების სამინისტროს განკარგულებაში გადავიდა.

მეორე „გრიფი“ 1998 წელს ასევე ბათუმში დარჩა და ადგილობრივი უშიშროების დაქვემდებარებაში მყოფი საზღვაო რაზმის შემადგენლობაში ჩაირიცხა.



ფოტოში 2008 წლის აგვისტოში რუსი დფერსანტების მიერ ჩაძირული „ორბი“

რუსული „სუპერიარალი“: ბლაფი თუ რეალობა?

2012 წლის მარტის ბოლოს რუსეთის თავდაცვის მინისტრმა ანატოლი სერდუკოვმა ძალზე მწიფელოვანი განცხადება გააკეთა, რომელსაც დასაულებლო დიდი რეზონანსი ჰქონდა. მისი თქმით, 2012 წლის მიწურულს რუსეთს მზად ექნება სხეური, ტალღისებური, გენური და ფსიქოფიზიკური იარაღის წარმოების პროგრამა, რომელიც 2020 წელს დასრულდება. თუმცა, დასაულებლო თავდაცვის მინისტრზე ადრე ვლადიმერ პუტინმა გააოცა, რომელმაც თავის ერთ-ერთ საპრეზიდენტო საპროგრამო სტატიაში ისეთი რამდენიმე ჩაწერა, ვეროპასა და ამერიკაში თმა ვალზე დაუდგოთ მამის ჩვენი მშობელი ქვეყნის მოძავალი პრეზიდენტი წერდა:

„სამხედრო დაპირისპირებაში დიდი, თუ არა გადამწყვეტი, მნიშვნელობა ექნება ქვეყნის სამხედრო შესაძლებლობას კოსმოსურ სფეროში, საინფორმაციო დაპირისპირების სფეროში, უპირველესად – კიბერსფეროში. ხოლო უფრო შორეულ პერსპექტივაში – ახალი ფიზიკური პრინციპების (სხეური, გეოფიზიკური, ტალღისებური, გენური, ფსიქოფიზიკური და ა.შ.) საფუძველზე იარაღის შექმნას.

ბიოთექნოლოგიური იარაღი, ეს ყველაფერი საუბრებს მოგვცემს მი-

ვილით პოლიტიკური და სტრატეგიული მიზნების მიღწევის ხარისხობრივად ახალი ინსტრუმენტები. შეიარაღების ამგვარი სისტემები ბირთვული იარაღის გამოყენების შედეგების ადეკვატურია, თუმცა უფრო „მისაღებია“ პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით“.

პუტინის ეს სკანდალური და საშიში აზრები დააკონკრეტა შემდეგ სერდუკოვმა. საინტერესოა, რამდენად რეალურია ეს შეფარული მუქარა?

აქვს კი დღეს რუსეთს იმდენი ფინანსური და ინტელექტუალური რესურსი, რომ მსგავსი, ბევრის აზრით, ფანტასტიკური, იარაღი შექმნას? ან საერთოდ, რეალურია ამგვარი იარაღის შექმნა? დღეს შევეცდებით ამ კითხვებზე პასუხი გავცეთ.

ფანტასტიკა თუ რეალობა?

მსოფლიოს ბევრ ფანტასტ მწერალს აქვს შექმნილი ნაწარმოები, სადაც სიუჟეტი თითქმის იდენტურია: რომელიღაც ქვეყანაში ერთ დიქტატორს სურს მოაიღოს აბსოლუტური ძალაუფლება ხალხის მასების ზომბირებისათვის და ერთგულ ხელქვეითებს უახლესი იარაღის (ლაზერის სხევი, პიკერბოლოდი და ა.შ.) შექმნას აუ-

ღებს. კითხველი დაგვეთანხმება, რომ ძალზე ბევრი მსგავსებია დიდი რუსეთის „აატარა იმპერატორსა“ და მწერლის ფანტაზიით შექმნილ დიქტატორებს შორის. პუტინის მსოფლიოს და მსხვერპლს სურს და ამიტომ ცინიკურად აცხადებს: „ამგვარი იარაღის გამოყენება ატომური ბომბის გამოყენების შედეგების იდენტური იქნება, რაც უფრო მისაღებია პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით“, რაც შემდეგ გულისხმობს: დასახულ მიზნებს ხალხის ზომბირებით უფრო „მსუბუქად“ მოვლწეო და ნგრევა ნაკლები იქნება, ხოლო ადამიანთა მსხვერპლი უმნიშვნელო.

რუსეთის პრეზიდენტის აზრების შეფასება მისი „ფანტასტიკის“ მიკვნივით, ჩვენთვის კი საინტერესოა, ტექნიკურად შესაძლებელია თუ არა ამგვარი იარაღის შექმნა.

საიდუმლო არ არის, რომ ბიო – და ნანოტექნოლოგიების გამოყენებით უახლესი იარაღის შექმნაზე უკვე მრავალი წელია, რაც სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები მუშაობენ. ეს სისტემებია:

- სხვადასხვა დიაპაზონის ლაზერული იარაღი;
- გეოფიზიკური იარაღის მიწისძვრების პროვოცირებისთვის;



პუტინმა ხელშეწყობებს ლაზერული იარაღის შექმნა დაავალა

- რადიოელექტრონული სხივები;
 - ე.წ. კლიმატური იარაღი, რომელიც შეიძლება ამინდზე ზემოქმედება;
 - ფსიქოტრონული იარაღი (ამ დროს ელექტრომაგნიტური და ბკერითი ტალღისებური რხევებით ადამიანის ფსიქიკაზე ზემოქმედება ხდება, რაც მათში შიშისა და პანიკის გრძნობას იწვევს);
- ცალკე უნდა შევჩერდეთ ბიოლოგიურ და გენურ იარაღზე.

ბაკატმრია ივარცხმვას ტანას

ბიოლოგიური, იგივე ბაქტერიოლოგიური იარაღი არის საეციალურად „გაწერონილი“ ბაქტერიების, ვირუსების, სოკოების და მათი გავრცელების ტექნოლოგიების ერთობლიობა. ის გაცილებით სამიშია, ვიდრე დღემდე არსებული მასობრივი განადგურების სხვა საშუალებები — ბირთვული და ქიმიური იარაღი.

მისი გავრცელება ფაქტობრივად ნებისმიერი გზით არის შესაძლებელი: სასუნთქი ორგანოებიდან, კანიდან, მწერების და მღრღნელების ნაკენიდან და ა.შ.

ამ უხილავ, უსუნო და ყოველმხრივ ფარულ იარაღს შეუძლია ეპიდემიის გამოწვევა და მილიონობით ადამიანის დაავადება.

სასიკვდილო ბაქტერიების და ვირუსების ფარულად გავრცელებისთვის სხვადასხვა მეთოდი გამოიყენება: თვითმფრინავებიდან გადმოსახურებენ, ან აგდებენ კონტეინერს, სადაც ვირუსები და დაავადებელი მღრღნელებია.

მიწაზე კონტეინერი იმსხვრევა, თავველი და ვირთხები გარბან და სასიკვდილო ვირუსებს ავრცელებენ.

ამჟღად დროს არსებობს ბიოიარაღის გავრცელების უფრო თანამედროვე საბრძოლო ტექნოლოგიებიც, კერძოდ ბაქტერიოლოგიური რაკეტები, სააეციო და საარტილერიო ჭურვები და სხვ.

საეცამსახურების და ტერორისტებისთვის განსაკუთრებით მიზნიდგელი ხალხმრავალი ადგილებია (მეტრო, ბაზარი და ა.შ.), სადაც იოლია სასიკვდილო ვირუსის ფარულად გავრცელება.

მიუხედავად იმისა, რომ გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1972 წელს მიიღო ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგი-

ური) და ტოქსიკური იარაღის განადგურებისა და წარმოების აკრძალვის კონვენცია (რომელიც 1975 წლიდან შევიდა ძალაში), დღესაც ბევრი ქვეყანა არა მარტო ავრცელებს სამეცნიერო კვლევებს ამ მიმართულებით, არამედ საიმედოდ ინახავს ძველ და ფარულად ქმნის ახალ ბიოიარაღს.

მათი მიზანია მოწინააღმდეგის არა მარტო ცოცხალი ძალის მწყობრიდან გამოყვანა, არამედ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, პირუტყვის და ნათესების განადგურებაც. ჩვენ ზელი არსებული ინფორმაციით რუსეთში, ვლადიმირის ოლქის ერთ-ერთ ქალაქში მუშაობს საიდუმლო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც მოწინააღმდეგის პირუტყვის (ძირითადად ძროხების და ღორების) დაავადების გამოწვევ ბიოიარაღის შექმნაზე მუშაობს.

რუსი მეცნიერები ცდილობენ ისე „გამოზარდონ“ ბაქტერიები, რომ აცერის მიუხედავად, ნებისმიერ ორგანიზმში შეიჭრენ და იმუნური სისტემა დაარდნა. ამასთან, ამ მიმართულებით სამეცნიერო კვლევების სპექტრში ძალზე გაფართოვდა.

მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის, ნათესების და პირუტყვის განადგურების „პროზაული“ მიზნების მიღწევის შემდეგ, რუსმა სამხედროებმა მეცნიერებს უფრო რთული ამოცანები დაუსახეს. ამჟამად რუსეთში განსაკუთრებით გასაიდუმლოებულია კვლევები, რომლებიც მოწინააღმდეგის საბრძოლო ტექნიკის ან საწვავის „შემქმნელი“ ბაქტერიებისა და ვირუსების გამოყვანას ისახავს მიზნად.

წარმიდგინეთ, უხილავი „დამ-

talizi
თმის გალანაგავის სანაზარი

შეული“ ბაქტერიები ნოქავენ ტანკის ელექტროზოლაციას და მომენტალურად მოკლე ჩართვას მწვობრიდან გამოპყვებს საბრძოლო მანქანის მთელი ელექტრობა და ხანძარი წნდება. ან კიდევ აუზი, რომელშიც საწვავი იყო, უცბად წვლით აღმოჩნდება სახეზე. ნუ გაგიკვირდებათ, ესეც ბაქტერიების დამასხურება შეიძლება იყოს.

ეს სტანისლე ლემის არ აზრებდა აზი-მოის ფანტასტიკური ნოველიდან ნა-სესხები სიუჟეტი არ გვეონოთ, ამ მიმართულებით სხვადასხვა ქვეყანაში ძვირად ღირებული საიდუმლო სამეცნიერო კვლევები დღესაც მიმდინარეობს.

კუბინის

„გენური იარაღი“

სამერთაშორისო

სპანდალის მიჯნაზე გახდა

მსოფლიო მასშედიის ყურადღება განსაკუთრებით ერთმა გარემოებამ მიიპყრო. რუსეთის პრეზიდენტის ახალი იარაღის სისტემების ჩამონათვალში „გენური იარაღის“ დასახელება, რომელიც რუსეთმა უნდა შექმნას (რაც მოგვიანებით, 22 მარტს, მოავრობის სხდომაზე ამ ქვეყნის თავდაცვის მინისტრმა სერაიუკოვმა კიდევ ერთხელ გაიმეორა), საერთაშორისო სპანდალის მიზეზი გახდა.

ჯერ მითხველს უნდა განვუმარტოთ, თუ რა იგულისხმება „გენური იარაღი“. ვფელა ადამიანის დნმ-ში ცალკეული გენები კონკრეტულ სფეროებზე ააგებენ პასუხს“ (კანის ფერი, თვალის ჭრილი, იმუნური სისტემა, გარკვეულ დაავადებათა მიმართ წინააღმდეგობა და ა.შ.). გენური იარაღი კი მიმართული იქნება იმ რასის ადამიანთა ლეკვიდაცვისკენ, რომლებიც იდენტური გენეტიკური ინფორმაციის მატარებელი არიან, ხოლო სხვა გენეტიკური კოდის ადამიანები უწყვეტლი რჩებიან.

თავის დროზე ადოლფ ჰიტლერის დაჯილბებით გერმანული მეცნიერები ამ მიმართულებით ძალზე ინტენსიურად მუშაობდნენ, თუმცა საბედნიეროდ ამგვარი იარაღის შექმნა არ დასცალდა.

1975 წლიდან ძალაშია ბაქტერიოლოგიური და ტოქსიკური იარაღის დამუშავების, წარმოებისა და დავროების ამერძალავი საერთაშორისო კონვენცია, რომლის რატიფიცირება რუსეთის ხელისუფლებამ 1997 წელს მოახდინა. **ვლადიმირ პუტინის ეს გეგმა კი ამ კონვენციას წინააღმდეგობა.**

რუსეთის სამხედრო კვლევების ერთი მიმართულება „გენური იარაღის“ შექმნასთან არის დაკავშირებული



**„კუბინის იარაღი“
უკვე მოქმედებს?**

ბრიტანული პრესის ცნობით, 2010 წლის 7 მარტს შოტლანდიის ქალაქ გლასგოში მეთხუთმეტე საერთაშორისო გამდოარდა რუსეთის სამი ვოფილი მოქალაქე: 43 წლის ეფუ-ს-ბეს ვოფილი მაიორი სერგეი სერიზი, მისი ცოლი ტატიანა და 20 წლის ვაფი. მაიორი მას შემდეგ დაიღუპა, რაც ბრიტანულ დაზვერვას მიაწოდა ინფორმაცია ფსიქოტრონული იარაღის შესახებ, რომელსაც რუსეთში პუტინის უზამბუდეველობით იქმნება.

მანში ელექტრონულ მედაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბრიტანული პოლიცია ამ საქმეს განიხილავდა არა როგორც თვითმკვლელობას, არამედ როგორც გადმოდარდნის გამო დაღუპვას. სერიზის ოჯახი ძალადობის მსხვერპლი გახდა თუ სუიციდი ჩაიდინა, ორი წლის შემდეგაც უცნობია.

**კუბინის
მორიგე პიარაქცია**

როგორც იტყვიან, „ტყულის მოკლე ფეხები აქვსო“. პუტინის ტრაბახ-

საც ორი „მოკლე ფეხი“ აქვს. ჯერ ერთი, თავად რუსი ექსპერტების აზრით, რუსეთის მეცნიერების მდგომარეობა იმდენად საუბალია, რომ შეუძლებელია მათ უახლეს მეცნიერულ მიღწევებზე დაფუძნებული სუპერარაღის შექმნის გეგმა ბოლომდე მიიყვანონ. მეორე გარემოება კი ისაა, რომ რუსეთის ფინანსური რესურსები მთლიანად ნედლეულის (უპირველესად ნავთობისა და ბუნებრივი გაზის) ექსპორტიდან მიღებულ შემოსავლებზეა დამოკიდებული. რუსეთის ვოფილი ფინანსთა მინისტრ კუდრინის განცხადებით, თუ მსოფლიო ბაზრებზე ერთი ბარული ნავთობის ფასი 90 დოლარზე ნაკლები გახდება, რუსეთის სახელმწიფო ბუჯეტი დეფიციტური იქნება და ხელი-სუფლებლა ხარჯების დაფინანსებას ვერ შეძლებს. ამ ორი ფაქტორის გამო პუტინის სუპერარაღი მორიგე პიარაქციად უნდა ჩავთვალოთ.

გამსიკ ალადაშვილი

ექსპერტი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, უშიშროების გადაამდგარი პოლიკოვნიკი

კავკასიური მოვლენები



აზერბაიჯანის არმიის სპეცდანაყოფი 2011 წლის 26 თვის ალღუმე

აზერბაიჯანი

● 4 თვის ბელაგანის რაიონში დისლოცირებულ სამხედრო ნაწილში 21 წლის ჯარისკაცმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

● 4 თვის აზერბაიჯან-სომხეთის საზღვართან სოფლების, ჩინარასა და ბერდუაის (სომხეთის თაუშის რაიონი) მახლობლად აზერბაიჯანელმა სამხედროებმა სომხების პროვოკაციული ჯგუფი (აზერბაიჯანელი ტერმინოლოგიით) შეამჩნიეს, მათგან 3 მოკლეს და 5 დაჭრეს. აზერბაიჯანელი მონაცემებით წლის დასაწყისიდან 20-ზე მეტი სომხი ჯარისკაცი მოკლული;

● 5 თვის დღით სოფელ აშაგი-ესკაპარასთან (აზერბაიჯანის ყაზახის რაიონი) სომხების დივერსიულ ჯგუფთან ბრძოლაში აზერბაიჯანელებს 5 სამხედრო დაეღუპათ.

● 5 თვის აღსტაფის რაიონში დისლოცირებულ ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში სამშენებლო სამუშაოების დროს 17-00 სთ-ზე უბედურე შემთხვევა მოხდა, — ბეტონის ფილების ჩამოვარდნის გამო 2 სამხედრო დაღუპა და 1 დაშავდა.

● 8 თვის აზერბაიჯან-სომხეთის შტების ხაზზე თაუშის რაიონში 19 წლის აზერბაიჯანელი ჯარისკაცი ნაღმზე აფეთქდა და დაიღუპა.

● 10 თვის ფორნის გერანბოის მონაკვეთზე ორი ოფიცერი ნაღმზე აფეთქდა. 14 თვის ერთ-ერთი მთიანი, ოღარ ვერდიფი, ჭრიალებებისგან გარდაიცვალა.

სომხეთი

● გერცელეხული ინფორმაციით, 4 თვის ინციდენტის დროს აზერბაიჯანელების დივერსიულ რაზმიან ბრძოლის სომხეთა დანაკარგმა 3 მოკლული და 6 დაჭრილი შეადგინა.

● სომხეთის ინფორმაციით, 5 თვის სოფელ ვოსკუპართან (სომხეთის თაუშის რაიონი) სომხმა გუმატემა სოფხისლის წვალობით დროულად შეამჩნიეს აზერბაიჯანელთა 15-20-კაციანი დივერსიული ჯგუფი და ცეცხლი გაუხსნეს. ბრძოლაში აზერბაიჯანელებმა 5 კაცი დაკარგეს და ბერიც დაიჭრა. სომხების მხრიდან მოკლულ-დაჭრილები არ არიან.

● სომხეთის საზოგადოებრივი ტელევიზიით გერცელეხული ინფორმაციით, 5 თვის სოფელ ვოსკუპართან ბრძოლის სომხმა სამხედროებმა 10 აზერბაიჯანელი და კიდევ 4 ფორთხის სხვა უბანზე მოკლეს.

● თაღდაცვის მინისტრმა სეირან ოვანიანმა და შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის უფროსმა, გენერალ-პოლკოვნიკმა ოური ხაჩატუროვმა 13 თვის დათავალიერეს მარშალ ბაგრამიანის სახელობის პოლიგონი, სადაც 3-8 სექტემბერს კოლექტიური უშიშროების ზელშეკრულების ორგანიზაციის ოპერატიული რეაგირების ძალებმა სწავლება „ურთიერთქმედება-2012“ უნდა ჩატარონ. მინისტრმა და მთავარი შტაბის უფროსმა დათავალიერეს მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები, სასწავლო პუნქტების აღჭურვილობა, ქვედანაყოფთა სადისლოკაციო ადგილები და ტერიტორია, სადაც სწავლება უნდა ჩატარდეს. სწავლების თემა კი იქნება „კავკასიის რეგიონის კოლექტიური უშიშროების ზელშეკრულების ორგანიზაციის ძალებისა და სამუშაოებათა გამოყენება“.

● თაღდაცვის მინისტრ სეირან ოვანიანის თქმით, სომხეთში ჩატარდება საციცალუმი სწავლებები, სადაც ომის პირობებში ქვეყნის სახელმწიფო სისტემის გამართულობა შემოწმდება. სწავლების დროს ქვეყანა საბრძოლო მზადყოფნის მაღალ ხარისხში იქნება

სომხი სნაიპერი აზერბაიჯანელთა პოზიციებს ათავლიერებს



გეგმვა

საოკუპაციო ჯარების მე-7 ბაზის მოტომსროლელთა მომზადება



მოქვანილი. სწავლება 25-27 თვისისთვის არის დაგეგმილი და მისი თემაა „სამხედრო პირობებში სამხედრო-სახელმწიფო სისტემის გაშლა და აგრესიის მოგერიების დროს ძირითადი ორგანიზაციული ღონისძიებები“. ამასთან დაკავშირებით გათვალისწინებულია სამხედრო მდგომარეობის ამსახველი საპრეზიდენტო ბრძანებულებებისა და კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულების ორგანიზაციის ხელმძღვანელობისადმი გასაცემი მმართველის მომზადება, სამხედრო შეკრებების ჩატარება და აგრესიის შესაკავებელ ღონისძიებათა დამუშავება.

ჩრდილო კავკასია

● ჩრდილო კავკასიაში რუსეთის პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ალექსანდრ ზლოვანის განცხადებით, რეგიონში მოქმედი შეიარაღებული წინააღმდეგობა საექსპერტო შეფასებით საზღვარგარეთიდან 20-30 მლნ დოლარს იღებს. მისივე აზრით, დაფინანსებაში დიდ როლს თამაშობს „ჩრდილოეთი“ ეკონომიკა, რადგან მისი საურთაურო მოცულობა დაახლოებით 600-620 მლნ დოლარია.

კონფლიქტური რეგიონები

ოკუპირებული აფხაზეთი

● საოკუპაციო ჯარების გუდაუსთის მე-7 ბაზის მოტომსროლელი ქვედანაყოფები მოლკინოს (რუსეთი, კრას-

ნოდარის მხარე), წებელდისა და ნავალიუს სასწავლო-საწვრთნელ კომპლექსებში აგრძელებენ საველე გასვლებს, რომელიც მოიცავს საცეცხლე, ტაქტიკურ, საინჟინრო და სამედიცინო მომზადებას. მასში 700 სამხედრო და შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის 50 ერთეული მონაწილეობს. მეცადინეობა 22 თვისამდე გასტანს და ყოველდღე 10 სი გრძელდება.

● თვის ბოლომდე გაგრძელდება საოკუპაციო ჯარების გუდაუსთის მე-7 ბაზის სნაიპერთა და ყუმბარმტყორცნელთა შეკრება. პირველ ეტაპზე ჯარისკაცები აითვისებენ სამსატრო შეიარაღებას, შეისწავლიან ფარული გადაადგილების, ადგილდებარებისა და მოწინააღმდე-

გის დახვეწის ზრუნებს, სამინერო კლასიფიკაციას, მანძილის განსაზღვრასა და სხვ. ბოლოს კი წებელდის პოლიგონზე CB-98-ის ტიპის მსხვილკალიბრიათა შაშხანიდან 1200 მ მანძილზე საკონტროლო სროლებში იფარვიშებიან.

ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი

● 7 თვის საოკუპაციო ჯარების მე-4 ბაზის ჯავის რაიონში გადაეცა 450-ადგილიანი სასადილო. ასევე ჯავის რაიონში დასასრულს უახლოვდება ოფიცრებისთვის განკუთვნილი 16-მინიანი საცხოვრებელი სახლი, სასახლეო პუნქტებში მოდულური ტიპის 4 სადარაჯო პოსტის მშენებლობა და სხვ.

თვითღიარებული ყარაბაღი

● ყარაბაღის არმიის ინფორმაციისა და პროპაგანდის განყოფილების განცხადებით, 6 თვის დღით გორადინის მიმართულებაზე ყარაბაღელმა სამხედროებმა აზერბაიჯანელთა დივერსიულ ჯგუფს ბრძოლა გაუმართეს, დიდი დანაკარგი მიაყენეს და უკუაგდეს. ბრძოლაში ყარაბაღის არმიის 1 ჯარისკაცი დაიღუპა.

● ყარაბაღის სამხედრო უწყების მონაცემებით, თვისის პირველ ნახევარში აზერბაიჯანელთა 4 დივერსიული ოპერაცია აღიკვეთა.

● თვითღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტის, ბაკო სააკიანის ბრძანებულებით, არმიამში გაწვევა-დემობილიზაციის პროცესი თვისის მაკურად ივლისში დასრულდება.

თემატა ჩაჩანიძე



საოკუპაციო ჯარების მე-7 ბაზის ჯავის ახალი სასადილო გადაეცა



გრან-ჩაკოს ომი – უხლ-უემოსლა პრარსებული ნავთობის გეგმა

1932-35 წლების ბოლივი-პარაგვაის ომი გრან-ჩაკოს ოლქის გამო სამართლიანად ითვლება ერთ-ერთ სისხლისმღვრელ კონფლიქტად ლათინური ამერიკის ახალ ისტორიაში.

ომის წამოწყების მიზეზი ის იყო, რომ ამერიკულ მენავთობეთა ვარაუდით, გრან-ჩაკოს ოლქში დიდი რაოდენობით ნავთობსახადოები უნდა ყოფილიყო. არადა, ეს რეგიონი იმგამად მთელ ლათინურ ამერიკაში ყველაზე მივარდნილ, თითქმის დაუსახლებელ და განსაკუთრებით მკაცრი ჰავით გამოირჩეულ მხარედ ითვლებოდა.

გრან-ჩაკოს ომი საინტერესოა იმიტომ, რომ როგორც ბოლივი-პარაგვაის, ისე პარაგვაის მხარს ამერიკელები უჭერდნენ, – ბოლივიელებს ზურგს „სტანდარდ ოილ კომპანი“ უმაგრებდა, ხოლო პარაგვაელებს კი – „მულ ოილ კომპანი“.

ბოლივიელებსა და პარაგვაის შორის სასაზღვრო შეტაკებები ომში არ გადაიზარდებოდა, რომ არა ამერიკელთა ინტერესები – ლათინური ამერიკის ამ ორ მეზობელ ქვეყანას შორის არსებული დავა მენავთობებზე სათავისოდ გამოიყენეს.

გრან-ჩაკოს ომის დეტალები იმითაც არის საინტერესო, რომ პარაგვაელთა მხარეს იბრძოდა ჩვენი თანამემამულე, მეორე რანგის კაპიტანი იასონ თუმანიშვილი, რომელმაც პარაგვაის სამდინარო ფლოტილის განვითარებას დიდი ამაგი დასდო.

კონფლიქტის დასაწყისი: სასაზღვრო შეტაკებებიდან სისხლისმღვრელ ომამდე

გრან-ჩაკოს ოლქი ლათინური ამერიკის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს. ის XIX საუკუნის ბოლომდე აბსოლუტურად შეუსწავლელი და თითქმის დაუსახლებელი იყო, იქ მხოლოდ ინდიელთა ტომები მომთაბარეობდნენ.

ხრიკი მწიწე არაფერი ხარობდა, ეკალბარდებისა და პარაგვაული ველური ჩაის ბუჩქების გარდა. მიუხედავად ამისა, ამ მიწაზე იკეთებოდა სამი ლათინურამერიკული სახელმწიფოს – ბოლივიის, პრაიზიის და პარაგვაის საზღვრები, რომლებიც რუკაზე პაიპარად იყო დატანილი. დემაკრაციის ჩასტარებლად თავს აღარაგინ იწყებდა, – გრან-ჩაკოს ოლქი უმკაცრესი პკვით გამოირჩეოდა და იქ შესაზღვრეთა კონტინენტის ჩაყენება ჭირდა.

საზღვრის დემაკრაციისთვის პირველად გრან-ჩაკოში 1905 წელს ბოლივიელ სპეციალისტთა დიდი ჯგუფი ჩავიდა, რომელსაც თან ჯარისკაცები ახლდა. აქ მათ ფორტი ააგეს და სასაზღვრო მონიშნეს, თუმცადა როგორც გაირკვა, ეს მეზობელ პარაგვაისთან შეთანხმებული არ ყოფილა და ამ ქვეყნის მესვეურებმა ბოლივიის დედაქალაქში მაშინვე საპროტესტო ნოტა აფრინეს: ფორტი მოშალეთ და გარნიზონიც უკან გაიყვანეთ.

სწორედ ამ დროს პარაგვაიში ვითარება აირია და 1905-22 წლებში ქვეყანა სამოქალაქო ომის ასაპურხად იქცა. საომარი მოქმედებები ხანმოკლე პაუზებით მიმდინარეობდა და ტერიტორიული დავის მოსაგვარებლად არავის ეცალა. 17 წლის განმავლობაში პარაგვაის მთავრობა და პრეზიდენტი 27-ჯერ შეიცვალა და თანაც, ყოველ ჯერზე სამხედრო გადატრიალებით ამასთან, პარაგვაის პოლიტიკურ პარტიებს მხარს უჭერდნენ ბრაზილიის და არგენტინის, ასევე აშშ-ის ხელისუფლება და სწორედ მათი „მონდომებით“ ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირება არ წყდებოდა.

1922 წელს პარაგვაიში ვითარება რჩავ განიმთხვავდა და ქვეყანაში გრან-ჩაკოს ოლქისთვისაც მოიცალა, – სასაზღვრო ძალებმა მოშალეს ბოლივიელთა ფორტი სან-კრისტობალი, რომლის გარნიზონიც ოციოდე ჯა-



გრან-ჩაკოს სადავო ტერიტორია

გაამდიერა სასახლერო ძაღვები და მათი რაკაგაის დემარკირებულ საზღვარზე ფორტები ჩადგა. მდ. პარაგვაის სანაპიროზე ერთ-ერთი ასეთი ფორტი იყო ვანგუარდა, რომელიც სხვებთან შედარებით ყველაზე გამაგრებულ წერტილად ითვლებოდა.

1928 წელს პარაგვაის კეპლერობამ ბოლშეური ფორტი ვანგუარდა აიღო, რასაც მასშეუ მოჰყვა ბოლივიელთა პასუხი, მათ პარაგვაის ფორტი ბოკერინი დაარბიეს.

სიტუაცია უკიდურესად გამწვავდა, თუმცადა კონფლიქტში ერთა ლეგა დროზე ჩაერთა და მხარეები დააშორებინა, — 1929 წლის 16 სექტემბერს ბოლივიამ და პარაგვაიმ ხელი მოაწერეს სამშვიდობო შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც ორეუ მხარემ დაკავებული ფორტიებიდან ჯარების გაყვანა იკისრა.

1930 წელს კი, კელაგეც ერთა ლეგის შუამდგომლობით, ლა-პასსა და ასუნსიონს შორის 1928 წელს შეწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობაც აღდგა და მხარეები მონაპარაკების მაგიდას კიდევ ერთხელ მიუსხდნენ, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია.

1932 წლის 15 ივნისს, დილის 4 საათზე, ბოლივიის არმიამ საზღვარი გადალახა და თავს დაესხა პარაგვაის ქალაქ პიტაინტურს. ასე დაიწყო გრან-ჩაკოს ომი, რომელიც ოფიციალურად მხოლოდ მომდევნო წლის 10 მაისს გამოცხადდა.

საომარი მოქმედება თავიდან ბოლივიელთა უპირატესობით მიმდინარეობდა, თუმცა პარაგვაელებმა სწრაფად შეძლეს მობილიზება და უცხოელი სამხედრო სპეციალისტების წყალობით გამარჯვება მოიპოვეს, — 1935 წლის 12 ივნისს აქტიური საბრძოლო მოქმედება შეწყდა. ბოლივიის ჯარებმა უკან დაიხიეს, ხოლო პარაგვაელებმა საბოლოოდ დაამტკიცეს გრან-ჩაკოს მიწული ოლქი. ზაგს ხელი სამი წლის შემდეგ — 1938 წლის 21 ივლისს მოეწერა და ამის შემდეგ ბოლივიელებს გრან-ჩაკოზე პრეტენზია აღარ წამოუყენებიათ.

რისკაცია იყო დარჩენილი, და საზღვრის დემარკაციაც თავიანთ სასარგებლოდ მოახდინეს. პრეზიდენტმა უსუხიბი აიალამ ამ აქტს „ისტორიული სამართლიანობის აღდგენა“ უწოდა. გრან-ჩაკოს ოლქის ტერიტორიის ის ნაწილი, რომელიც სადავო იყო, ოფიციალურად პარაგვაის შემადგენლობაში შედიოდა, რადგან ამ ქვეყანამ ესპანეთის სამეფოსგან დამოუკიდებლობა 1811 წელს მოიპოვა და ესპანელთა განდევნაში გრან-ჩაკოს ინდიელებიც მონაწილეობდნენ.

ბოლივია კი 1825 წელს გახდა დამოუკიდებელი და გრან-ჩაკოზე პრეტენზიის საბაზი, ფაქტობრივად, არც კი ჰქონდა. ასე რომ, მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობა სადავო ოლქს პარაგვაის ტერიტორიად ითვლიდა.


ამგვარ ფონზე პარაგვაის ხელი-სუფლებამ არაერთი ღონისძიება გაატარა იმ მიზნით, რომ გრან-ჩაკოს ოლქში ბინადარი მოსახლეობა გაჩენილიყო, მომთაბარეებს პარაგვაის მოქალაქეობა მიანიჭეს, ხოლო ფორტების მახლობლად მიწები გულუხვად ჩამოურიგეს კრეოლ პლანტატორებს. პოლიტიკური თავშესაფარი მისცეს რუს თეთრგვარდიელებს, გერმანულ ბარონებსა და სხვა ვეროპულ ემიგრანტებს, რომელთა უმეტესობა გრან-ჩაკოს ტე-

რიტორიაზე ჩაასახლეს და გადასახლებისგან გაათავისუფლეს.

გრან-ჩაკოს ტერიტორია პარაგვაის მიწული ტერიტორიის 45%-ის მიიცვავდა, ამიტომაც მისი ბოლივიისთვის დათმობა წარმოუდგენელი იყო. სხვათა შორის, პარაგვაის პრეზიდენტი უსუხიბი აიალა ბოლივიელებს ტერიტორიის გაყოფასაც სთავაზობდა, მაგრამ ლა-პასში მტკიცედ იდგნენ თავისაზე, „ან მიწული გრან-ჩაკო, ან არაფერი!“.

პარაგვაის საპასუხოდ ბოლივიამაც





ბოლოფიელთა 6 ტონიანი „ვიკრისის“ ტიპის ტანკი

**უცხოელები
გრან-ჩაკოს ომში:
საინფორმაციო
ტერორი
„ველური ბატალი“**

გრან-ჩაკის ომი გამორჩეული იყო იმიტომ, რომ მასში ორთვე მხარეს ძალიან ბევრი უცხოელი იბრძოდა. თვით ბოლიევის არმიის სარდალიც გერმანელი იყო — გენერალი პანს კუნდტი; იგი პირველი მსოფლიო ომის გმირი გახლდათ და ბოლოფიელებმა თავიანთ ქვეყანაში საგანგებოდ მიიწვიეს ჯერ კიდევ 1920 წელს, რათა არმია „პრუსიულ მოდელს“ მიხედვით გაეწვრინა.

პანს კუნდტი ცნობილი იყო პუნქტუალობითა და წრფედასულად სალდაფონურ ხასიათით. ის ხშირად ამბობდა: „ის, ვინც პლაცზე დროზე ადრე ცხადდება, უკარგისი სამხედროა; ის, ვინც აგვიანებს — არაფერად ვარჯ; ნამდვილი სამხედრო პლაცზე მხოლოდ დანაშნულ დროს უნდა გამოცხადდეს!“ — მისი ეს გამართლებები ცხადყოფს, თუ რა მკაცრი უნდა ყოფილიყო კუნდტი ბოლოფიელ ვარისკაცებთან. კუნდტის გარდა, ბოლიევის არმიაში 120-ზე მეტი გერმანელი ოფიცერიც იბრძოდა. მართალია რომ ვიქჟაო, ოფიცრობა იქ მილიანად გერმანული იყო, მაგრამ ბოლოფიურმა არმიამ მათი წყალობითაც იქ ვერ შეუძლო გამარჯვების მოპოვება: „რიგითების დიდი ნაწილი ინდიელი იყო და წარმოდგენაც არ ჰქონდა სამხედრო დისციპლინაზე... ჩვენ არ გვესმოდა მათი შობილური ენა, ესპანურად კი, რომელიც თავადაც ცუდად

ვიციოდით, ვერაფერს ვაგებინებდით“, — წერდა პანს კუნდტი შემჯერებში.

პანს კუნდტის მხარდამხარ ბოლიევის არმიაში იბრძოდა იმ დროისათვის უცნობი ლეიტენანტი ერნსტ რემი, რომელიც 1938 წელს გერმანიაში დაბრუნდა და პიტლერის მარჯვენა ხელად იქცა, მას ფიურერმა გესტაპოს ჩამოვადილება ანდო. რემი 1945 წელს ისევ ბოლიეიაში გაიქცა და იქ, ყველასაგან მთავრეული და უთვისტომი ღარიბთა თავშესაფარში გარდაიცვალა.

პარაკვაის არმიაშიც იყვნენ გერმანელები, მაგალითად, კაუაურების გენერალი ალფრედ შვაიცი, რომელიც თავის ათ გერმანულ მეტრიქონთან ერთად ბოლიევის მხარეს გადავიდა. პარაკვაის პრესაში მოღალატე დაქირავებულები „ველურ ბატვბლ“ მოიხსენიეს. მას შემდეგ ეს ტერმინი თითქმის მთელ მსოფლიოში გავრცეულდა და დაქირავებულ მეტრიქონთა კნინობით სახელადაც კი იქცა.

გერმანელებზე მეტი დაფასება პარაკვაის მაშინდელ არმიაში ყოფილი რუსეთის იმპერიიდან ჩასულ დაქირავებულებს ხედათ წილად, — განსაკუთრებით ჩვენს თანამემამულეს, მეორე რანგის კაპიტანს იასონ ოუმანიშვილს, რომელიც პარაკვაის სამდინარო ფლოტის (ამ ქვეყანას ზღვაზე გასასვლელი არა აქვს) ერთ-ერთი ჩამომყალიბებლად ითვლება.

თუმიანშიელი პირველი მსოფლიო ომის მონაწილე იყო, მოგვიანებით კი გერმანიის შვიი ხლვის ფლოტის სარდლობასთან საქართველოს პირველი რესპუბლიკის წარმომადგენელი, „ეთო-

რი მოძრაობის“ ერთ-ერთი ცნობილი მონაწილე. ის პარაკვაიაში 1923 წელს ჩავიდა და სათავეს ჩაუდგა ნაოსნობის სამინისტროს, თან კალეტრებსაც ასწავლიდა. გრან-ჩაკის ომში სამდინარო-სამხედრო ფლოტის აქტიურად მონაწილეობის გამო იასონ თუმიანშიელი რამდენჯერმე დაავიღილოეს კიდევ, იგი 1955 წელს, 72 წლისა გარდაიცვალა და ასუნისონთან დაკრძალული.

გრან-ჩაკის ომში მონაწილეობდა აგრეთვე მეორე თეთრი ემიგრანტიც, 1879 წელს თბილისში დაბადებული ნიკოლაი ფრანცის ძე ერნი, რომელიც პირველ მსოფლიო ომში, 1915 წლიდან, პირველ კავკასიურ დღეობის სარდლობდა, ხოლო 1916 წლიდან — ჩრდილოეთის მე-18 დრავანთა პოლკს.

ერნი რუსეთის სამოქალაქო ომში დენიკინის მხარდამხარ იბრძოდა „სამხრეთ რუსეთის არმიაში“ და შტაბის მორიგე გენერალი იყო. 1923 წელს იასონ თუმიანშიელსა და სხვა ემიგრანტებთან ერთად ერნი პარაკვაიაში დასახლდა. გრან-ჩაკის ომში ის პარაკვაის ქვეითებს სარდლობდა და ხელს უწყობდა არმიაში რუსი დაქირავებულების ჩარიცხვას. ნიკოლაი ერნი 1972 წელს ასუნისონში გარდაიცვალა.

გრან-ჩაკის ომამდე უცხოელ დაქირავებულებს არასოდეს არსად შეუქრელებათ ვადაშწვევები როლი რომელიმე კონფლიქტის გადაწყვეტაში. ამ ომის შემდეგ კი უცხოელ დაქირავებულებს უკვე ყველგან იყენებდნენ. გრან-ჩაკის ომის გაანალიზებით განსაკუთრებით დაინტერესებული იყო ალილდე პიტლერი, რომელიც სამართლიანად

თელიდა, რომ პარაგვაის გამარჯვებას ხელი შეუწყო არა იმდენად არმიულმა დისციპლინამ, რამდენადაც ჯარების მაღალმა მობილურმა და კოორდინირებულმა მოქმედებებმა. მართლაც, იმ დროისათვის ბოლივიის მოსახლეობა 2 მილიონს აღემატებოდა, ხოლო პარაგვაისა — 800 ათასს ძლივს აღწევდა. ასეთ პირობებში კი პარაგვაის გამარჯვება ნამდვილად გასაოცარი იყო.

**გრან-ჩაკოს ომის
სამართაშორისო მძი:
მინათოვანის
საბაღისფარი შეცდომა**

გრან-ჩაკოს ომის დაწყებამ უდიდესი როლი შეასრულა იმ დროის საერთაშორისო საზოგადოებრიობასა და ორ უდიდეს ამერიკულ ნავთობკომპანია „შელ ოილისა“ და „სტანდარდ ოილის“ დაპირისპირებამ. საქმე ის იყო, რომ ამერიკელებმა გრან-ჩაკოს ბუნებრივი თავისებურებიდან გამომდინარე თერაუდეს, რომ იქ დიდი რაოდენობით უნდა ყოფილიყო მაღალი ხარისხის ნავთობი — ისეთი, როგორც საუფის

არაბეთში მოიპოვება. სინამდვილეში, ეს შეცდომა იყო, მაგრამ რატომღაც ამაში ეჭვიც არავის შეჰპარავია.

გრან-ჩაკოში ნავთობის საბადოების მოძებნის უფლებების მოსაპოვებლად ორმა უმსხვილესმა ამერიკულმა კომპანიამ დაიწყო ბრძოლა — „შელ ოილი“ პარაგვაის სოხვედა, შვეშა გრან-ჩაკოში და მოპოვებული ნავთობის გაყიდვით მიღებული შემოსავლის 50% ქვეყნის იქნებოდა, ხოლო „სტანდარდ ოილი“ იმვე პირობებს ლა-პასში აყენებდა. ორივე ამერიკული კომპანია მოითხოვდა, რომ კვლევა-ძიების ჩატარების უფლება მისცემოდა გრან-ჩაკოს მიუღ ტერიტორიაზე.

შესაბამისად, ბოლივიამაც და პარაგვაიმაც ამერიკულ მენეჯერებს გრან-ჩაკოში ნავთობის მოსაძიებელ სამუშაოთა ჩატარების ნება დართეს და ისინიც დაუყოვნებლივ შეუდგნენ საქმეს; ამასთან, „შელ ოილის“ მუშები გრან-ჩაკოს პარაგვაის ტერიტორიად მიიწვედნენ, „სტანდარდ ოილისა“ — ბოლივისად, ამიტომაც სამივე ჯგუფებს შორის შეტლა-შემოხლა ჩვეულებრივი ამბავი

იყო და ამ ვეღაფერში მესამდვილეობიც „დიდი ხალისით“ ერთგუოდნენ ხოლმე.

1935-1938 წლებში ბოლივია-პარაგვაის შორის მიმდინარე მოლაპარაკებას სწორედ აშშ შეამკობოდა. პარაღეღულად, მიუღ გრან-ჩაკოში ნავთობის საძიებო სამუშაოებს ნეიტრალური ნავთობკომპანიის მუშები აწარმოებდნენ, მაგრამ ვერაფერი ნახეს და ამან დააჩქარა კიდევ ზავის დაღება, — პარაგვაიმ ტერიტორია დაიმტკიცა, ბოლივიამ კი, რომ დარწმუნდა, გრან-ჩაკოში არც ნავთობი იყო და არც სხვა რამ საინტერესო წაიღსეღული, უარი თქვა უწინდელ პრეტენზიაზე.

ბოლივია-პარაგვაის უთანხმოება ჩვენს დროში, 2009 წლის 27 აპრილს მოგვარდა: ბოლივიის პრეზიდენტი ეფო მორალესი და მისი პარაგვაელი კოლეგა ფერნანდო ლუგო ერთმანეთს ბუენოს-აირესში შეტნენ და ხელი მოაწერეს შეთანხმებას „უნდობლობის გაქარწყლებისა და კეთილმეზობლობის განმტკიცების შესახებ“.

მიხეილ ლაბაამ

ბოლივიელი და პარაგვაელი ჯარისკაცები





აირსენალო



აირსენალო
სააეროცხროცხა



Avenger Air Defense System

არსენარი ვაგაზობთ ახარ რუბრიკას _ 500 საინჟინერო ფაქცი მეთომრების ისტორიიდან. იმეტი გვაქვს, მსოფლიო თმების ისტორიიდან რაინიონრაპ გამომცემური ფაქციები კიდე უფრო გააღრმავებს შევენს ცოფნას.


1 მეომრები ის აღდამიანები არიან, რომლებიც ომში იბრბეიან. მეომარი გაწერინილი შებრძოლია, რომელიც მამაცურად იბრბეის. დიდი მეომრების გმირობანი აღაფრთოუანებს კაცობრიობას. უძველესი დროიდან დღემდე მეომარია საბრძოლო ფიგინა მთელ მსოფლიოში გაისმის.

▼ მთელი ბერძნების გადმოცემით ძვ. წ. 1200 წელს ბერძნებსა და ტროელებს შორის ომი გაიმართა. ჰექტორმა, ტროელმა მეომარმა, ბერძენი გმირი, პატროკლე მოკლა.

საქართველოში
გენერალისადმი



2 ყველაზე ადრეული მეომრები პრეისტორიულ ხანაში ცხოვრობდნენ. არქეოლოგები პრეისტორიულ ხანას სამ ნაწილად ყოფენ. პირველია ქვის ხანა, როდესაც სამუშაო და საბრძოლო იარაღების დასამზადებლად ქვას იყენებდნენ. შემდეგ დადგა ბრინჯაოს ხანა, როდესაც პირველად გამოიყენეს ლითონი. მესამე, რკინის ხანაში, რკინამ ბრინჯაო შეცვალა.



▲ თავიდან ცულს კაჯის დიდი ნატეხებისგან თლიდნენ. მათ ძალიან ბასრი პირი ჰქონდათ.

3 პრეისტორიულ ხანაში ხალხი სხვადასხვა იარაღს იყენებდა. დღემდე უამრავი ცული, საშურდულე ქვა, ისარი, ხმალი და ხანჯალია შემონახული, მაგრამ ის იარაღები, რომელიც არამდგრადი მასლისგან, მაგალითად, ხისგან იყო გაკეთებული, დიდი ხნის წინ დაღუპა. იმ იარაღით, რაც გადარჩა, შეგვიძლია დაგვსკენათ, რომ პრეისტორიულ ხანაშიც ხშირი იყო ომები.

4 მეომარი ძალიან მამაცი უნდა ყოფილიყო. მამაკაცს უნდა დაემტკიცებინა, რომ არაფრის ეშინოდა. ამიტომ სხვადასხვა ცერემონიაზე ათასგვარი დაჯილდოების შესრულება უხდებოდა. მხოლოდ გამოცდის მერე გადაწყვეტდნენ, ღირსი იყო თუ არა მეომრის სახელი ეტარებინა.



◀ პრეისტორიული ხანის მეომრების იარაღი — შუბი, ცული და ხმალი.

ქვის შუბი

ბრინჯაოს ცული

რკინის ხმალი

პითხვები

1. რომელ სამ ნაწილად იყოფა პრეისტორიული პერიოდი?
2. რომელმა ლითონმა შეცვალა ბრინჯაო?
3. რამდენი ისრის ბუნიკი იპოვეს კრიკლი-ჰილში?

პასუხები:
1. ქვიშ, ბრინჯაო და რკინა
2. რკინა
3. 400-ზე მეტი

პრეისტორიული პერიოდი


პრეისტორიული პერიოდის სამ ხანად დაყოფა
 ეფუძნება თითოეული პერიოდის ტექნოლოგიებს.

1,000,000-8500 ძვ. წ.	8500-7000 ძვ. წ.	7000-2750 ძვ. წ.	2750-750 ძვ. წ.	750-50 ძვ. წ.
პალეოლითი ანუ ძველი ქვის ხანა	მეზოლითი ანუ შუა ქვის ხანა	ნეოლითი ანუ ახალი ქვის ხანა	ბრინჯაოს ხანა	რკინის ხანა

5 პრეისტორიულ ხანაში ბრძოლები სხვადასხვა მიზეზით იმართებოდა. ეს შეიძლებოდა ფოფილიყო ადამიანთა ჯგუფებს შორის დაუა მიწის ან სხვა საკუთრების გამო, ან ჯგუფში ლიდერობის მოსაპოვებლად. კონფლიქტის გადასაჭრელად ერთადერთი გზა ომი იყო.

6 პრეისტორიულ პერიოდში კრიკლი-პილში (გლოსტერშირში, ინგლისი) ისრებით ბრძოლა გამართულა. არქეოლოგებმა აქ აღმოჩენილ ნეოლითის ხანის (ახალი ქვის ხანა) საცხოვრის-ში ოთხასზე მეტი კაჟის ისრის ბუნიკი იპოვეს. სისხლისმღვრელი ბრძოლა აქ დაახლოებით 4500 წლის წინ გაიმართა.

► პრეისტორიულ ხანაში მშვილდ-ისრებითა და შუბებით ნადირობდნენ.



ბრიტანული ჯავშანბრძენიკა

გოგლეინი ჯავშანგზანსოგრიოგები და ჯავშანავგომოგილეი



FV603 Saracen: მასა — 10,17 ტ, ეკიპაჟი — 2 კაცი, ღესანტი — 9-10 კაცი, ჯავშანი — 8-16 მმ, კარბურატორიანი ძრავა 160-ცხ.ძალიანი, სიჩქარე — 72 კმ/სთ-ში, სელის მარაგი — 400 კმ, შეიარაღება — 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი

მეორე მსოფლიო ომმა ცხადყო ჯავშანტექნიკის ტიპების შემკირებისა და უნიფიცირებულ დაჯეშნულ საბრძოლო ტექნიკაზე გადასვლის აუცილებლობა.

1947 წლის დასაწყისში მომზადებული მრავალფუნქციური დანიშნულების შასის (6X6) ტექნიკური დაგლება მოითხოვდა — ხიდებს შორის თანაბარ დამორებას, წინა და საშუალო ხიდების მართვადობას, წინ და უკან შეუზღულეე მართვადობას, კრიტიკულ სიტუაციებში 5 ან 4 ბორბლით გადაადგილებას და სხე.

იმავე წელს პროექტირებას კომპანია Alvis-ი შეუდგა და 1948 წლისთვის საცდელი შასი FV600 გამოცადა და 1952

FV601 Saladin: მასა — 11,7 ტ, ეკიპაჟი — 3 კაცი, ჯავშანი — 8-32 მმ, კარბურატორიანი ძრავა 160-ცხ. ძალიანი, სიჩქარე — 72 კმ/სთ-ში, სელის მარაგი — 400 კმ, შეიარაღება — 76 მმ-იანი ქვემეხი და ორი 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი

წლის დეკემბრიდან ბორბლებიანი ჯავშანტრანსპორტიორ FV603 Saracen-ის სერიული წარმოება დაიწყო.

ტიპური საავტომობილო კომპონირებით აწყობილი „სარაციის“ კორპუსის

წინა ნაწილში ძრავა, შუაში — მართვის ორგანოები და ბოლოში კი სადესანტო განყოფილება განთავსდა.

ფილადის ჯეშანკორპუსი ბორტებისა და შუბლის ოპტიმალური დახრის კუთხის გათვალისწინებით დამზადდა.

ნახლდია-გადმოსხლდისთვის კიჩოს ბოლოში ორსაგდულიანი კარი იყო ჩაყენებული, ხოლო ბორტებში გამოჭილი სამ-სამი და კიჩოს კარში დატყეებული ერთი ამბრახურა საცეცხლე შემოქმედების დანიშნულებას ასრულებდა. ამბრახურები ჯეშანფართით იყო დატყული.

„სარაციის“ საფეხველზე აწყობდნენ ჯეშანტრანსპორტიორებს კომპარაში 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევით (FV603A) ან ორი ტყვიამფრქვევით (FV603B), სანიტარულს (FV602), სამტაბოსა (FV604) და სხვა მანქანებს.

1972 წელს „სარაციის“ წარმოება შექრდა, როცა გამოიშვებული ჯეშანტრანსპორტიორების რაოდენობამ 1838-ს მიაღწია.

კარგი გამძლეობისა და მაღალი სიჩქარის გათვალისწინებით 1950-52 წლებში კომპანია Crossley-მ FV600-ის ბაზაზე ჯეშანავტომობილი FV601 Saladin-ი დააპროექტა.

ტანკის კლასიკური კომპონირების



(მართვის ორგანოები-საბრძოლო განყოფილება-ძრავა) მქონე „სალადინი“ ექსტრემალურ პირობებში მოქმედებაზე იყო გათვლილი.

1954-55 წლებში „კროსლიმ“ 6 საცდელი მანქანა ააწყო, გამოცდა და სერიული წარმოება კომპანია „ელვის“ გადაულოცა.

„სალადინი“ შეიარაღებით (76 მმ-იანი ქვემეტი, 1-2 ტყვიამფრეკვეი და ვეშპარსატყორცი) პრაქტიკულად ბორბლებიანი ტანკი იყო, ოღონდ უფრო სწრაფი და მანევრული.

ფოლადის ჯავშანკორპუსი ეკიპაჟსა და დესანტს მსუბუქი ცეცხლსასროლი იარაღის ტყვიებისგან იცავდა.

წელის დაბრკოლებათა დასაძლევად „სალადინის“ კორპუსზე ლურჯად ეკრანები მაგრდებოდა და საბურავების ბრუნვის ხარჯზე დაცურავდა. საიმედო კონსტრუქციამ, ძლიერმა შეიარაღებამ და დაბალმა ღირებულებამ „სალადინს“ დიდი პოპულარობა განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში მოუტანა.

1956 წელს შეიქმნა FV601C Saladin MKII, რომელსაც საბაზო მოდელისგან განსხვავებით 7,62 მმ-იანი სახენიტო ტყვიამფრეკვეი მზრუნავ ტურელში ჰქონდა.

ჯავშანავტომობილის სერიული წარმოება 1972 წელს I177 მანქანის აგებით დასრულდა და ხანდაზმული ასაკის მიუხედავად, „სალადინები“ სამსახურის ბოლო დრომდე შრი-ლანკისა და პინდურასის არმიაში განაგრძობდნენ.

ომის შემდგომი ბორბლებიანი ჯავშანტანსპორტიორთა პირველი თაობის კიდევ ერთი წარმომადგენელი კომპანია Humber-ის FV1609-ია, რომელსაც სპეციფიკური დაგრძელებული ფორმის კაპოტისა და რადიატორის შუღლის ბრტყელი საფრის გამო სამხედროებმა შეესჯელად Pig-ის შეარქვეს.

1952 წლის „პამბერი“ სამხედრო დანიშნულების I-ტონიანი სატვირთო, ლითონის კაბინისა და მოქლე ძარით, ავტომობილი FV1601A (4x4) ააწყო. შემდგომში ამ ავტომობილმა კომპანისის სამხედრო პროდუქციაში შესაძენი ადგილი დაიკავა და ნაცერად დაჯავშნული ავტომობილების (FV1609) ბაზა გახდა.

ბრიტული იარაღის ხანაში ბრუნების ტენტით დაფარული თავიანდაკე ჯავშნული კაბინა და სატვირთო პლატფორმა მოქმედებული იყო, ამიტომაც მალე დაგდა მილიანად დაჯავშნის საჭიროება.

Pig MKII-ის დახურული ჯავშანკორპუსი ჰქონდა და ეკიპაჟს შუღლის მხრიდან წვერიკალიბრისანი ჯავშანმკორტო



FV701 Ferret MkI: სრული მასა — 6 ტ, ეკიპაჟი — 3 კაცი, კარბურატორიანი ძრავა 116-ც.ბალიანი, სიჩქარე — 93 კმ/თ-ში, სელის მარაგი — 300 კმ, შეიარაღება — 7,62 მმ-იანი ტყვიამფრეკვეი

ტყვიებისგან, ხოლო ბორტებიდან კი ჩვეულებრივი ტყვიებისა და ჭურვების ნამსხვრევებისგან იცავდა.

მანქანის საჭიროება 1960-იანი წლების ბოლოს განდა, როცა ჩრ. ორლანდის სამხედროებმა შეიარაღებულ დაბრისპირებაზე შეიქმნა. მათში Pig-ები გაიხსენეს და ინგლისელი სამხედროები ოლსტერის ქუჩებში დაჯავშნული ორნიანი ავტომობილებით პატრულირდნენ.

„პამბერი“ ასევე ამახდებდა სამთაურს, საინტარულ, საბრძოლო მასალების გადაშხიდვ, სარემონტო-საეკუპაციო, ტექნიკისაზრუნვისა და სხვა სახის მანქანებს.

1962-63 წლებში შეიქმნა ავიატრანსპორტირებადი დაჯავშნული მანქანა FV1620 Hornet-ი, რომელიც Malkara-ს ტანის ტანკსაწინააღმდეგო მართიად ირი რაკეტით იყო აღჭურვილი.

ბრიტანეთის არმიამ ტრადიციულად ყოველივეს დიდი ადგილი ეკუთვნის სადახურეო მსუბუქედ დაჯავშნულ ავტომობილებს ბორბლების ფირმულით 4X4-ზე.

1946 წელს თავდაცვის სამინისტრომ ომის მონაწილე ამგარი მანქანების შესაცვლელად ტექნიკური მოთხოვნები მოაწადა და დაეღება კომპანია Daimler-მა მიიღო.

პირველი საცდელი ჯავშანავტომობილი FV701 Ferret-ი 1949 წელს აიკო. გამოცდა-სრულყოფის შემდგ, 1952 წლიდან სერიული წარმოება დაიწყო, ხოლო 1953 წლიდან კი არმიის შეიარაღებაში შევიდა.

„ფერეტს“ სხვა ჯავშანმანქანებისგან ფართომართიანი საბურავები, დიდი მრავალი ფრები და მარცხედ დამარტული თვისყოფად მზრუნავი სათადარიგო საბურავი განასხვავებდა.

საბაზო მოდელიან (Ferret MkI) ერთად გამოიღოდა MkII (მოლიანად დაჯავშნული კორპუსითა და 7,62 მმ-იანი ტყვიამფრეკვეით კომპურაში) და MkIII (გამდიარებული ჯავშანდაცვით).

„ფერეტები“ ომისწინა პერიოდის ჯავშანავტომობილებისგან ბერად არ განსხვავებდნენ და ამის მიუხედავად,



FV721 Fox:
სრული მასა — 6,12 ტ, კეიპაიტი — 3 კაცი, კარბურატორიანი ძრავა 195-ც.ბ.მალანი, სიჩქარე — 100 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 330 კმ, შეიარაღება — 30 მმ-იანი ქვემუხტი და 7,62 მმ-იანი ტყვიამურქვევი

1971 წელს, როცა სერიული წარმოება შეწყდა, კონვეიერდან ჩამოსული მანქანების რაოდენობამ 4409-ს მიაღწია.

1984 წელს „ელვისმა“ დიზელის-ძრავიანი მოდერნიზებული Ferret 80-ის ვერსია მოამზადა. ცვლილებები საიმედოობის ამაღლებას, სარეზინოებო ვარგისიანობის გაუმჯობესებას და საცეცხლე ძალის გაძლიერებას შეეხო.

შეიარაღებიდან გამოშინებარე, კორპუსზე ზევიდან კინჩებით სხვადასხვა ფორმის ალუმინის შენადნობის ჯავშანფურცლები მაგრდებოდა და ბორტებს 7,62 მმ-იანი, ხოლო შუბლის მხარეს კი 14,5 მმ-იანი ტყვიებისგან იცავდა.

დიანტრეკტულ ქვეშეებს „ელვისი“ მანქანის რამდენიმე ვერსიას სიაჯობდა, მაგრამ მორალურად მოძველებული კონცეფციის „ფერეტებმა“ ინტრეჩის არ გამოიწვიო.

როცა „ფერეტების“ შეცვლის საკითხი დადგა, „დაიძლერმა“ საბრძოლო-სადანაშრეო მანქანა FV721 Fox-ის წარმოადგინა და საცეცხლე 15 მანქანაც ააგო, თუმცა გამოცდების დასრულების შემდეგ სერიული წარმოების უფლება ქვედაქალიდის სახელმწიფო სატანკო ქარხანამ მიიღო.

„ფოქსის“ ჯავშანკორპუსი ალუმინის შენადნობისგან არის დამზადებული და მისი წინა ნაწილი მძღოლს დაკომო, ხოლო შუაში ორადგილიანი საბრძოლო კომპურა (30 მმ-იანი ქვემუხტი და 7,62 მმ-იანი ტყვიამურქვევი) და კიბოში ძრავა მოთავსებული. ერთ მეტრზე მეტი სიღრმის წყლის დაბრკოლებათა გადა-

საკურად „ფოქს“ კორპუსის მიულ პერიმეტრზე წყალასაქცივი ფარები უკეთდება, ხოლო ნაკლები სიღრმის წყალს წინასწარი მომზადების გარეშე სძლევი. წყალში მანქანა ბორბლების ტრიალის ხაჯვზე დაკურავს.

მანქანა ავიატრანსპორტირებადი და C-130 ტიპის სატვირთო თვითმფრინავს ავიორდროშზე დაჯდომის გზით 3, ხოლო ქვეშეების და სატვირთო პარამუტების გამოყენებით 2 მანქანის დასაწირება შეუძლია.

ერაყისა და აფანეთის სამშვიდობო ოპერაციებში წინ წამოიწია ისეთმა ამოცანებმა, როგორცაა დახვეწრა, სწრაფი რეაგირება და ეფექტური საცეცხლე მხარდაჭერა, რაც თავის მხრე ჯავშანავტომობილებისგან მობილურობას, მანევრირების კარგ უნარსა და გამძლეობას მოითხოვს.

შეიცავლა მოწინააღმდეგე ძალების ტაქტიკაც. მაგალითად, აფანეთში მოკავალები მთავარ სატრანსპორტო მაგისტრალზე ხშირად სხვადასხვა ფორქებადი მოწყობილობით ნაღმიქნ, რაც სამშვიდობო ძალებს დიდ დანაკარგს აყენებს.

იმეფროლოდ შედარებით უსაფრთხოა შემოვლითი გზები, მაგრამ მასზე გადაადგილება მხოლოდ კარგი გამკვლობის ჯავშანტექნიკას თუ შეუძლია.

აფანეთის ომის ამ თავისებურებამ ბრიტანულ კომპანია Supacat-ს საინტერესო კონსტრუქციის ჯავშანავტომობილ Jackal-ის (4X4) შექმნის იდეა უკარნახა.

„ჯექელის“ ზედა ნაწილი დიაა, ხო-

ლო ქვედა დაჯავშნული კი — ფეიქებად მოწყობილობათა შედეგების მაქსიმალურ შესუსტებაზე გათვლილი.

პირველი „ჯექელები“ აფანეთში 2008 წელს გაიგზავნა და რამდენიმე მათგანი ნაღმიქც აფეთქდა. დაცვის მაღალი ხარისხის მიუხედავად, კეიპაიტებში მსხვერპლი მაინც იყო.

აფანეთი გაკვეთილები და მისი შედეგები Supacat-ის საცივლობისტებს მომდევნო მოდელში Jackal 2/2A-ში გაითვალისწინეს, რომელსაც კორპუსის მოდერნიზაციით შეიარაღება-დაჯავშნა გაუძლიერდა და მეტი სიმძლავრის ძრავით აღიჭურვა.

ბრიტანული სამხედროები აფანეთში Supacat-ის ორიგინალური კონსტრუქციის ბორბლებიან პლავტორმა (6X6 All Terrain-საც იყენებენ.

ფართობრივლიანი საბურავების ხარჯზე მანქანას გრუნტზე დაბალი დაწოლა აქვს, რაც დასერილ რელიეფსა და ჭორომიც კი 8 სამხედროთი თვისუფლად სვლის საშუალებას აძლევს.

თანამედროვე ჯავშანტექნიკის წარმოებაში ბრიტანეთი სხვა კონსტრუქციის კოორდინაციასაც მიმართავს. 2003 წლის ივლისში თვდაცვის სამინისტრომ სამეთაურო-სამტოლო და კავშირის დანიშნულებებისთვის კომპანია BAE Systems-ის ჯავშანავტომობილი Panther command CLV (4x4) მითინა.

„პანტერა“ იტალიური კომპანია Iveco Defence Vehicles-ის ბაზაზეა დამზადებული. იტალიურ შსის ინგლისში უკეთდება საბურავი, უკანა ნაწილის ჯავშანაბრული, ჯავშანდაცვა, დისტან-

ციურად მართვადი მოდული Enforcer-ი, აგრეთვე კავშირის ციფრული, ეკიპაჟის ფიზიკური მდგომარეობის შემოწმებელი და ხანძრის ამოქონა-ჩაქრობის სისტემები, მგოლის ხედვის ხელსაწყოები და სხვ.

მანქანა მობილურობითა და დაცვის მაღალი ხარისხით გამოირჩევა. აქვს მოდულური შეიარაღება და ჯგუფანი.

სამშვიდობო ოპერაციებზე გათვლილი „პანტერები“ ISAF-ის ოპერაციაში მონაწილე ბრიტანული კონტინგენტის შეიარაღებაში შედის.

თავდაცვის სამინისტრომ ამერიკული კომპანია Force Protection-ისგან იყიდა 282 ჯგუფანავითობილი Cougar-ი (6X6), რომელსაც ბრიტანულმა კომპანია NP Aerospace-მა მოდერნიზაცია ჩაუტარა.

ინგლისურ Mastiff-ებს (ასეთი სახელი მიიღო ამერიკულმა მანქანამ) აქვს გაუმჯობესებული წამყვანი ხილები გაძლიერებული დაკიდების სისტემითა და მატებითი დაჯგუფება, ავთვისების ტალღის მოქმედების შესასუსტებული სპეციალური საჯდომები და სხვ.

იმეუ ამერიკული კომპანიისგან ნაყიდი ორხიდიანი Cougar-ები (ბრიტანული სახელი Ridgback-ი) გამოცდის შემდეგ 2009 წლის მთვე ნახევარში აღიარებულნი გაიგზავნა.

Mastiff-ები ქალაქების გარეუბნებსა და სოფლებში, ხოლო უფრო მოკლე Ridgback-ები ქუჩებში პატრულირებისთვის გამოიყენება.

ორვე დაჯგუფებულ ავტომობილს უნიფიკაციის მაღალი ხარისხი აქვს, რაც საუელ პირობებში რემონტსა და მომსახურებას ბევრად აიოლებს.

Jackal: მასა — 6,65 ტ, ეკიპაჟი — 3 კაცი, სელის მარაგი — 800 კმ, შეიარაღება — 7,62 მმ-იანი ტყვიამფრეკვე



1960-იანი წლების ბოლოს კომპანია GKN Sankey-მ ერთი იდეის ხორცშესხმა სცადა და საბრძოლო მოქმედებათა რაიონამდე პირადი შემადგენლობისა თუ ტვირთის უსაფრთხო ტრანსპორტირებისთვის იაფი დაჯგუფებული სატვირთო ავტომობილი დააპროექტა.

სატვირთო Bedford-ის შასიზე აგებული დაჯგუფებული მანქანების AT-100-სა (4X2) და AT-104-ის (4X4) დემონსტრირება 1972 წელს შედგა და ინტერესიც გამოიწვია.

მომდევნი მოდელი AT-105 Saxon-ი (4X4) კი ბევრად წარმატებული გამოდგა. სამხედროებისთვის შექმნილი „საქსონით“ უშინროების ძალების ოფიცრე-

ბი დანტერესდნენ — ჩრ. ირლანდიაში, ოლსტერში დაწვეული გამოსვლების შექერება სპეციალურ ჯგუფანტექნიკის საჭიროებადა.

„საქსონი“ კი არეულობათა ყველა საფრთხის (მტრულად განწყობილი მოსახლეობა, ტერიორიები, სნაიპერები, ნაღები, თეირანაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობები და სხვ) გათვალისწინებით იყო აგებული.

გაუმჯობესებულ ჯგუფანკორპუსს V-ები ფსკერი და ზევიდან სადამკვირვებლო გუბათი ან ტყვიამფრეკვეიანი კომპუნაქსონდა, ხოლო შვიდნი მთვე სამხედროების აუცილებლობის შემთხვევაში კორპუსის ბორტებსა და კიჩში გამოჭრილი ამბრაზურებდან ცეცხლის გახსნა შეეძლოა.

ირლანდიის უშინროების ძალებისთვის შექმნილი მანქანის ვერსიას Patrol-ი დაარქვეს და მისი საშუალებით სამხედროები ოლსტერის ქუჩებში პატრულირებდნენ.

იდეა, რისთვისაც „საქსონი“ შეიქმნა, დავსრუტავს არ მისცემდა და GKN-მა 1980 წელს სამხედროებს გამოსადგულად სამი მანქანა გადასცა, ხოლო 1983 წლიდან ჯგუფანტრანსპორტიორი „საქსონი“ არმიის შეიარაღებაში შევიდა.

Panther: მასა — 6,65 ტ, ეკიპაჟი — 3 კაცი, დინჯელის ძრავა 185-ცხ.ძალიანი, სელის მარაგი — 800 კმ, შეიარაღება — 7,62 მმ-იანი ან 12,7 მმ-იანი ტყვიამფრეკვე, 40 მმ-იანი ყუმბარსატორცი





AT-105 Saxon: მასა — 11,6 ტ, ეკიპაჟი — 2 კაცი, დენანტი — 8 კაცი, დიზელის ძრავა 160-ცხ.ძალიანი, სიჩქარე — 96 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 510 კმ, შეიარაღება — 7,62 მმ-იანი, ან 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევი, ან საეცსაშუალებები

ძირითად მიდევლიან ერთად „საქსონის“ ბაზაზე აწეობდნენ: სამეცნიერო, სანიტარულ, სარეკონტროლ-საეკუკაციო, მხეგრავ, საცეცხლე მხარდაჭერის, ფეოტეხბადსაშიში საგნების საეკუკაციო, თვითმავალ ნაღმსატყორცნ და სხვა მანქანებს.

1988 წელს GNK Sankey-მ ძარვების კომპანია Glover Webb-თან ერთობლივად სამხედრო-საპოლიციო დანიშნულების დაჯგუფებული ავტომობილი Tactica 4x4 გამოქმევა.

„ტაქტიკის“ საფუძველზე აწეობდნენ უკაპოტო 10-კაციან და კაპოტიან 14

კაცზე გათვლილ სხვადასხვა კაბარის ტყვიამფრქვევებით აღჭურვილ ჯგუფსანტრანსპორტორს, სამტაბო, სანიტარულ და სახანრო მანქანებს. ყველა მათგანზე კვალისაინააღმდეგო ფილტრირანი კონდიციონერები იყო დაყენებული.

დაახლოებით ამგვარია ბრიტანულ თანამედროვე ბორბლებიანი ჯგუფსანტექნიკა. მისი მაღალი საბრძოლო-საექსპლუატაციო მახასიათებლების მიუხედავად, კომპანიები მის დასახვეწად კვლევ მუშაობენ.

თეზურ ჩანახშიძე

რედაქციისგან: ამ სტატიით გამოვრებით სხვადასხვა ქვეყნის ჯგუფსანტანკო მრეწველობის მიერ გამოშვებული ტექნიკის მიმოხილვას. წერილების ეს სერია 2010 წელს დაიწყო და „არსენალის“ 61 ნომერში შედეგებისდაგვარად შედეცადეთ შეთხველისთვის მიგვეწოდებთან საინტერესო ინფორმაცია როგორც ძველი, ასევე თანამედროვე ნიმუშების შესახებ. სამომავლოდ ჩვენ ასევე გავაგრძელებთ ჯგუფსანტანკო ტექნიკისთან დაკავშირებული ყველა ამ საინტერესო თემის განხილვას, რომლის გაშუქებაც ამა თუ იმ მსუხუზის გამო ვერ მოუხერხეთ.



ყველა თაობის საყვარელი გავითი 1934 წლიდან





თავდასხმა მეჭრანის

სამხედრო-საჰაერო ბაზაზე

მაკისტანელი სამხედროები დაღუპულ
თანამებრძოლებს პატვს შიავებენ

დასასრული. დასაწყისი იხ.
„არსენალი“ N12, 2012

სწრაფი რეაგირება

ფლოტის საგანგებო სამსახურის ჯგუფმა ტერიტორია თავდასხმის შესახებ ცნობის მიღებისთანავე რეაგირება მისიერად მოახდინა.

მოულოდნო განვითარების ადგილზე პირველი 16-კაციანი სწრაფი რეაგირების მორიგე ქვედანაყოფი მთვია, რომელიც პაკისტანის ფლოტის იკაბლის ბაზაზე მორიგეობდა. პირველი გასროლიდან თავდასხმის ადგილამდე მისვლას სპეცრაზმმა მხოლოდ 15 წუთი მოახდინა.

ჯგუფის მეთაურმა პოზიცია შენობის წინ მოედანზე დაიკავა და მას შემდეგ, რაც მებრძოლებმა შენობაში შეაღწიეს, მეთაურც მით მიჰყვა.

შენობის სახურაზე ჩასაფრებულმა ბოეკოა სწრაფი რეაგირების მთვითონის მოულოდნელად ცეცხლი გასხნა. იგი დამის ხედვის აპარატურის დახმარებით კარგად ირწვედა მიზანს და სამი გასროლიანი სამი სპეცრაზმელი მოკლა. თუცა სპეცრაზმის სწრაფობა იგი მალე აღმოაჩინეს და ტყვია თუბში მოახვედრეს, ხოლო მისი გვამი ავტოპლექსის სახურავიდან ჩამოვარდა და ქვაფენილს დასაკლა.

ერთი თვითმფრინავისა და მისი ეკიპაჟისაკენ იყო მიმართული.

ეკიპაჟი საფრენი აპარატის გადარჩენასა და ცეცხლის ხაზიდან გაყვანას ცდილობდა. ფლოტის საგანგებო სამსახურის ჯგუფის მებრძოლებმა მფრინავებს ცეცხლით მხარი დაუჭირეს და მათაც, როგორც იქნა, თვითმფრინავის უსაფრთხო ადგილამდე მივარება მოახერხეს.

მორიგე სპეცრაზმ SSG (N)-ის ბრძოლებში ჩაბმოდან 25 წუთის შემდეგ, ტერაქტის ადგილზე სპეცრაზმელთა გაძლიერებულ 60-კაციანი ჯგუფი მთვია, რომელმაც პოზიცია სამხედრო ბაზის გარეპერიმეტრზე დაიკავა.

მოგვიანებით მთი საარმოდ საგანგებო სამსახურის ჯგუფი დაემატა. ისინი შხად იყვნენ ოპერაციაში მონაწილეობისთვის, მაგრამ უშუალოდ ოპერაციის ჩატარება ფლოტის სპეცრაზმს ჰქონდა დაუკლებული, რადგან ბრძოლაში ყველაზე ადრე ჩაებნენ.

რამდენიმე ხნის შემდეგ შენობიდან გარე პერიმეტრის დაცვა 150 მ რადიუსში არმიულ რეინჯერებს დაევალია.

ბაზის გათავისუფლების ოპერაცია

პაკისტანის პრემიერ-მინისტრი გოლანი ოპერაციის მსვლელობას პირად

რად აღკონტროლებდა. შტაბის უფროსთა გაერთიანებული კომპეტეციის თაემჯდომარე, ფლოტის შტაბისა და სახმელეთო ჯარების სარდლობა მას პირადად მოახსენებდნენ ოპერაციის პერიპეტეციებს.

ფლოტის სპეცრაზმის ქვედანაყოფის მეთაურმა ბრძანება მიიღო, რომ ცეცხლის ხაზიდან პირველ რიგში გამოეყვანა და გადაეჩინა სამხედრო მძრეველები, ხოლო შემდეგ კი ტერიტორია დატყვევება-განადგურების ოპერაცია დაეწყო.

მოქალაქე მსგავსი მოვლენების თავიდან ასაცილებლად და გამოძიების ჩასატარებლად სპეცრაზმელებს ტერიტორიაში ამოცნობა დაევალია. ბრძანების შესრულებისთვის სპეცრაზმელებს ტერიტორიაში მინიმალური დაზიანებებით უნდა განადგურებინათ, რათა გვაშების იდენტიფიკაცია არ განუდებულყო.

ოპერაცია ტერიტორიების თავდასხმიდან ექვსი საათის შემდეგ, დილის ხუთ საათზე დაიწყო.

SSG (N)-ის რაზმებმა ტერიტორია პოზიციას შეუტყვის და შენობიდან გამოეყვანეს, მთი აეროპორტის მახლობლად საცხოვრებელი კომპლექსის ერთ-ერთ შენობას შეგარეს ოაზი. სპეცრაზმელებმა შენობა ალყაში მოაქციეს,

შეგრანის სამხედრო-საპირობაზა თვდასხმის შემდეგ



სროლა შეწყვიტეს და დანებების შანსი მისცეს, მაგრამ უარი მიიღეს. ამის შემდეგ ფლოტის სამი სპეცრაზმელი და ორი მებლავური შენობაში მთავარი შესასვლელიდან შესვლას შეეცადნენ, მაგრამ ტერორისტებმა მათ ინტენსიური ცეცხლი გაუხსნეს.

გაიდა დრო და სპეცრაზმელებმა შენობაში შეღწევა მაინც შეძლეს. ისინი ოთახიდან ოთახში გადადიოდნენ და ყველა კუთხე-კუთხუღს ჩრგოვდნენ. ერთ ოთახში კალაშნიკოვის ავტომატებითა და ხელკუმბარებით შეიარაღებული ორი ტერორისტი აღმოჩნეს. ერთი მათგანი იმ დროს მოკლეს, როცა ხელკუმბარით თავის აფეთქებას შეეცადა, ხოლო მეორე კი დაჭრეს. ოუქცა მან თავის აფეთქება მაინც მოასწრო.

კომპლექსს, სადაც უცხოელი სამხედრო მრჩეველები ცხოვრობდნენ, ქონდა ეკიპაჟების ფრენისთვის მოსაზრადებელი დარბაზი, სასტუმრო ოთახი, მორიგე ეკიპაჟების დასასვენებელი ოთახი და მცირე ზომის საოფისე სერვერები.

სწრაფი რეაგირების რაზმი, რომელსაც ლეიტენანტი აბასი შეთაურობდა, კომპლექსის პირველ სართულზე შეიჭრა, სადაც 17 უცხოელი სამხედრო მრჩეველი გაათავისუფლა და სასწრაფოდ უსაფრთხო ადგილზე გადაიყვანა.

სპეცრაზმელებმა წარმატებით შეძლეს ჩინოხის სახაზო-განმათავისუფლებელი არმიის თორმეტი სამხედრო ტექნიკის სპეციალისტისა და შეერთ-

ბული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების ექვსი სამხედრო მრჩეველის უსაფრთხო ევაკუაცია.

მათვე უზრუნველვეს დაუზიანებელი საფრენი აპარატების გადარჩენა. უცხოელი სპეციალისტების გამოყვანა კომპლექსის სათადარიგო კარიდან მიმდინარეობდა, მაგრამ ისინი შეუღუმურებით უსაფრთხო ადგილზე გადაიყვანეს.

გათავისუფლებულ მძევალთა შორის იყვნენ პაკისტანის სამხედრო-საზღვაო ძალების ოფიცრები და ერთი კონტრაბანდი. ოპერაციის მსვლელობისას არც ერთი მათგანი არ დაშავებულა.

პირველი ამოცანის შესრულების შემდეგ SSG (N)-ის მებრძოლებმა პირველ სართულზე გამაგრებულ ოთხ ტერორისტს შეუტყეს და თხუთმეტწუთიანი ბრძოლის შემდეგ ოთხვე განიარაღეს და დაატყვევეს.

7-00 სთ-ზე ბაზის ტერიტორია-

ზე დამატებით სპეცრაზმელთა 30-კაციანი რაზმი შემოვიდა და ობიექტის სიღრმისკენ წინ წაიწიეს, რასაც თან რაღაც ნახევარ საათში რვა მძლავრი აფეთქება მოჰყვა.

7-30 სთ-ზე ორგანიზაცია Tehrik-i-Taliban Pakistan-მა (TTP) აღიარა, რომ დევრისოვლი აქტი მან მოაწყო.

10-00 სთ-ზე ტერორისტებმა ხელში ჩაიგდეს ფრენების მართვის კოშკი, მაგრამ მძევლების ავენა ვერ შეძლეს, რადგან სროლის დაწყებისთანავე ავიადისპეტრებმა უსაფრთხო ადგილზე გასვლა შეძლეს.

ფლოტის სპეცრაზმის მებრძოლებმა მოწინააღმდეგის ინტენსიური ცეცხლის მიუხედავად, კოშკთან მახლობლად შიგ შეჭრა მაინც მოახერხეს. ორსაათიანი ბრძოლით სპეცრაზმელებმა კოშკი თანდათან დაიკავეს და ხუთი დაჭრილი ტერორისტიც დააკავეს.

10-00 სთ-ზე ფლოტის პრესსამსახურმა გამოაცხადა, რომ სახელმწიფო ძალების მებრძოლთა დანაკარგი იმ დროისთვის ფლოტის 11 სამხედრო მოსამსახურესა და არმიის ერთ რეინჯერს შეადგენდა.

ოპერაცია ოფიციალურად 13-00 სთ-ზე დასრულდა. ბაზის გათავისუფლებისა და ტერორისტთა გაუქმებუბას 16 საათი დასჭირდა.

რეაგირების უმდებარი

ოპერაციის მსვლელობისას ფლოტის 11 ოფიცერი, 1 მებრძოლი, SSG (N)-ის 4 სპეცრაზმელი, 1 მებლავური და არმიის 2 რეინჯერი დაიღუპა, ხოლო სამხედრო-საზღვაო ძალების 16 სამხედრო მოსამსახურე დაიჭრა.

მილიანიად განადგურდა საზღვაო ავიაციის 2 მზვერავი თვითმფრინავი P3 C Orion-ი.

თავდასხმელთა მხრიდან 6 ტერორისტი მოკლულა, 5 დაიჭრა, 4 ტყვედ ჩაურდა და ორმა მძიმედა შეძლო. ექსპერტებმა საზღვაო სპეცრაზმის

„ლიგა“
სამკურნალო ბაპროთიანება
სემსოკათოლოგია

- ერეკციის ხარისხის გაუმჯობესება
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
- ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
- სექსუალური წარუმატებლობის მილოდინის შიშის მოხსნა

ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე
 მის: თბაკაშვილის №19ა ☎ 890 32-21-21; 32-21-21, 72-59-39
www.league.ge

მუშაობა დადებითად შეაფასეს მიუხედავად იმისა, რომ ოპერაციის დასაწყისში სნაიპერის ტყვიებით ერთბაშად 3 მებრძოლი და ერთი მძვინკვებით დაიღუპა. სამაგიეროდ, არც ერთი მძველი არ დაზარალდა.

არმიის სპეცრაზმის შივრ 2009 წელს ჩატარებულ სპეცოპერაციასთან შედარებით, როცა ტერორისტები პაკისტანის სამხედრო ძალების გენერალურ შტაბს დაესხნენ თავს, უკანასკნელ შემთხვევაში სპეცოპერაცია პროფესიონალურად ბევრად მაღალ დონეზე ჩატარდა. 2009 წელს რვა ტერორისტის წინააღმდეგ ოცსაათიანი ბრძოლაში 25 სამხედრო მოსამსახურე, მათ შორის ორი უფროსი ოფიცერი დაიღუპა.

ოპერაციის გამომავალი

ოპერაციის დამთავრებისთანავე შეიქმნა ფლოტის მებრძოლის ბაზაზე თავდასხმის გამომძიებელი გაერთიანებული კომისია. კომისიას ხელმძღვანელობდა კონტრადმირალი ტუბსინულა ხანბა.

კომისიამ დაადგინა, რომ ტერორისტები ბაზაზე თავდასხმისას იყენებდნენ ღამის ზღვის აპარატურას, რამაც მათ სიზნულში ორიენტაციის, მიზნის აღმოჩენისა და მაღალი სიზუსტითი მისი განადგურების საშუალება მისცა.

გამომიხატა ვერ მოახერხა დაზოცილ ტერორისტთა იფენტიფიკაცია, რადგან დაქტილოსკოპიურმა ანალიზმა ნაყოფი არ გამოიღო.

პოლიციის ინფორმაციით, თავდასხმისთანავე ოთხს თვითმკვლელების სარტყელი და სხვა ასაფეთქებელი საშუალებები ჰქონდა.

23 მაისს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გამოაცხადეს, რომ ფლოტის დაზვერვის აზრით, თავდასხმა ასეთი ეფექტური არ იქნებოდა, ტერორისტები ბაზის პერსონალში მიკავშირე და ინფორმაციით რომ არ ჰყოლიდათ.

25 მაისს სამხედრო დაზვერვა ბაზის დაცვის ცუდი ორგანიზაციის მიზეზების გამოიხატა შეუდგა, რის შედეგადაც დაცვის უფროსი რაჯა ტახარი ჯერ თანამდებობიდან გადააყენეს, ხოლო შემდეგ კი სამხედრო ფლოტში სამსახური აუკრძალეს.

ჯერ კიდევ 2011 წლის თებერვალში თალიბებთან კავშირის გამო დაპატიმრებული ფლოტის ოთხი მაღალი რანგის ოფიცერი განაჩენს ცენტრალურ სამხედრო ციხეში ელის. მათ კი სასიკ-

ბოლო დრომდე აშშ-ები პაკისტანის მნიშვნელოვან სამხედრო დახმარებას უწყევდა, ამიტომაც ტერორისტთა სამიზნე ამერიკელი სამხედრო მრჩეველები იყვნენ



ვილი განაჩენი ან 25 წლით პატიმრობა მიეცა.

ზოგიერთი მაღალჩინოსანი თვლის, რომ ტერაქტის უკან „ალ-ქაიდას“ ერთ-ერთი ლიდერი, საიფ-ულ-დიდი დაგას სხეები კი თავდასხმის გეგმის შემუშავებაში ერთ-ერთი უცხო სახელმწიფოს საიდუმლო სამსახურების კვალს ზედავენ.

დატყვევებული ტერორისტებმა განაცხადეს, რომ ერთ-ერთი მათი თანამებრძოლი, ალბათ, მეთაური, ურდუს ენაზე ლაპარაკობდა. ურდუს ენა კიდევ ორ-სამმა ტერორისტმა თუ იცოდა.

თავდასხმაში ეჭვმიტანილთა შორის ზოგიერთი ბელუჯების ტომის წარმომადგენელი იყო. ამიტომ გამოიციხული არ იყო ვერსია, რომ უცხოურმა სპეცსამსახურებმა ბელუჯების შივარადებული ჯგუფები გამოიყენეს.

ჩანს, რომ ეს აქცია მოაზრდა და დადგინანსა ერთმა ან ორმა უცხოურმა სპეცსამსახურებმა. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ პაკისტანის წინააღმდეგ „ალ-ქაიდასთან“ ერთად მოქმედებს ჯიჰადის ისლამური კავშირი (Islamic Jihad Union - IJU), უხბეკეთის ისლამური მოძრაობა (Islamic Movement of Uzbekistan - IMU), თურქესტანის ისლამური მოძრაობა (Turkistan Islamic Movement - TIP) და ა.შ.

გამომიხატა განსაკუთრებით აღნიშნა შვედრევი თვითმფრინავების, ორიონების“ მიზანმიმართული განადგურების ფაქტი, რომელმაც პრაქტიკულად დააბრმავა პაკისტანის სამხედრო-სა-

ღაო ფლოტი არაბეთის ზღვაში.

არსებულმა მდგომარეობამ შეაშფოთა არა მარტო პაკისტანის, არამედ მუშობელი ინდოეთის, ჩინეთის, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის ხელისუფალინი.

როგორც ზემოთ ვთქვით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თავდასხმელებს საკმაოდ გამოკეცილი და განსაზღვრული ამოცანები ჰქონდათ პირველი — სადაზვერუო თვითმფრინავების განადგურება და მეთორ — უცხოელი სამხედრო მრჩეველებისა და ტექნიკური სპეციალისტების მძველებად აყვანა.

ტერორისტებმა პირველი ამოცანა შეასრულეს, ხოლო მძველებს მასკამალური რაოდენობით აყვანა კი ვერ შეძლეს.

მებრძოლის სამხედრო ბაზაზე თავდასხმა თავისი არხით ნიშანდობლივი და გამორჩეულია, რადგან ისლამური ტერორიზმის იმ ახალი აქტვობის დასაწყისად გვევლინება, რომელიც შესაძლებელია სამხედრო ობიექტებისა-კენ იყოს მიმართული.

მებრძოლის ინციდენტი ტერორისტულ აქტის შთაბეჭდილებას არ ტოვებს, რადგან თავდასხმელებს არავითარი მოთხოვნა არ წამოუყენებიათ მას შეიძლება უფრო დიფერსიული აქტი უწოდოთ, რომელიც პაკისტანის სახელმწიფოს მტრებმა ისლამისტი მებრძოლების გამოყენებით მოაწყვეს. გამორიცხული არც ის არის, რომ თავდასხმელებს პროფესიონალი სპეცრაზმელები ხელმძღვანელობდნენ.



„ოპი ქამელეონით იცვლის ფორმას
ყოველ ცალკეულ შემთხვევაში“.

გენერალ-მაიორი,
სამხედრო თეორეტიკოსი კარლ ფილიპ ვოტ-
ფრიდ ფონ კლაუზეფცი (1780-1831 წწ.)

ინდოეთ-ჩინეთი 1962 წლის სასაზღვრო კონფლიქტი

ადმოსავლეთის ამ ორი გიგანტი სახელმწიფოს დაპირისპირებამ მნიშვნელოვნად შეცვალა ძალთა თანაფარდობა მსოფლიოს ამ რეგიონში. ჩინეთ-პაკისტანის მხარედი სამხედრო თანამშრომლობის გამო ინდოეთმა ბირთვული იარაღის შექმნის ეროვნული პროგრამა განაახლა. ამ კონფლიქტისთვის დამახასიათებელი იყო ბრძოლები უმძიმეს რელიეფსა და კლიმატურ პირობებში, ზღვის დონიდან დაახლოებით 4300 მ სიმაღლეზე, რაც ორივე მხარეს სოციალური უზრუნველყოფაში ურთულეს პრობლემებს უქმნიდა.

სამხედრო დაპირისპირების წინა პირობა

ინდოეთსა და ჩინეთს შორის ტერიტორიული პრობლემები განპირობებულია მათ შორის საზღვრის გეგლების ტექნიკური სირთულით, რომელიც მთავა სისტემების — მიმალისა და ვარაყორუმზე გადის.

3500 კმ სიგრძის ეს საზღვარი პირობითად დასვლეთის (სასაზღვრო პირობითი ხაზს პრეტანელი დიპლომატიის პატრესაცემად „აკარტნის ხაზს“ უწოდებენ), ცენტრალური და აღმოსავლეთის (ე. წ. მაკ-მაონის ხაზი ქილდა ჩინეთ-ტიბეტ-ბრტანულ მოლაპარაკებაზე პრეტანეთის წარმომადგენლის პატრესაცემად) სამ მონაკვეთად იყოფა.

ინდოეთსა და ტიბეტს შორის საზღვარი ოფიციალურად 1914 წელს დდგინდა, თუმცა მას შემდეგ, რაც ჩინეთმა ტიბეტის ანექსია მოახდინა, საზღვრის დემარკაციაში შეტევა აქტუალურება შეიძინა. ამის მიზეზი ტიბეტში განლაგე-

ბული ჩინური სამხედრო ბაზების გარნიზონების მომარაგების აუცილებლობა გახდა და პრობლემის გადასაწყვეტად ჩინელმა სამხედრო მშენებლებმა საგანგებოდ გაიყვანეს გზა, რომელიც მაღალმთიანი რელიეფზე, ორი ქვეყნის

სადგო მიჯნაზე გადიოდა. ასევე, საკამათო იყო საზღვრის მონაკვეთი ჩრდილოეთ ბირძის მიმართულებითაც.

1959 წელს ჩინეთის ხელისუფლებამ ტიბეტელთა გამოხვედები ჩაახშო და დალაი-ლამამ 6 ათას მომხრესთან ერთად თავი ინდოეთს შეაფარა. ეს ჩინეთმა „მტრულ ნაბიჯად“ აღიქვა და ქვეყნებს შორის ვითარება უფრო დაიძაბა.

უთანხმოების მოსაგვარებლად 1960 წელს ინდოეთს ჩინეთის ოფიციალური დელეგაცია ეწვია. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ხელმძღვანელმა ჩჟოუ ენლაიამ ინდურ მხარეს შესთავაზა „ჩინეთის მხრდან

ინდოეთ-ჩინეთის სადავო ტერიტორიის გამყოფი ე. წ. მაკ-მაონის ხაზი



მაკ-მაპონის ხაზის აღიარება იმ დროისთვის მის მიერვე დაკავებული აქსაი-ჩინეს ტერიტორიის სანაცვლოდ, მაგრამ მოლაპარაკებაზე ნაყოფი არ გამოიღო.

პირველი გამაფრთხილებელი ზარი 1959 წლის აგვისტოში ლოკეუს რაიონში მომხდარი სასაზღვრო კონფლიქტი იყო. საბუნდევროდ, შეტაკება დიდხანს არ გაგრძელებულა და ორივე მხარემ პოზიციები შეინარჩუნა.

1955-დან 1962 წლამდე საზღვრის-პირა რაიონებში 30-ზე მეტი შეტაკება მოხდა.

1962 წლის სექტემბერსა და ოქტომბრის პირველ ნახევარში მხარეებმა ურთიერთბრალდებებს მოუხმბრეს, ამასთან, ომისთვის ემზადებოდნენ.

საბარძოლი მოქამედამაბის მსვლელობა

ვითარება უკიდურესად დაიძაბა მაკ-მაპონის ხაზის ჩრდილოეთით. ინდოეთის მე-4 ქვეითი დივიზიის ნაწილებმა გადაკვეთეს პირობითი ზღუდე, რომელსაც ინდოეთის მთავრობა ჩინეთის საზღვრად თვლიდა.

გაიძაბა ველაისან მთიწვებული მცირერიცხოვანი პორტუგალიური გარნიზონის „დღეუკოსილი“ დამარცხებით შეგულებული ინდოეთის შეიარაღებული ძალების სარდლობა ამ ქმედებას ჩრდილო-აღმოსავლეთ სასაზღვრო მოხაკეეთის უსაფრთხოების გაძლიერების აუცილებლობაში ამართლებდა.

მხარეთა ძალები:

ინდოეთი 10000-12000 კაცი,

ჩინეთი — 80000 კაცი

ეს პოლიტიკური შეცდომა ჩინეთმა სწრაფად გამოიყენა და მის ტერიტორიაზე ინდოეთის აგრესიად გამოაცხადა. კომუნისტურმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, მოგერიებინა აგრესორი და მსოფლიოში ჩამოყალიბებული ხელშეწყობი სამხედრო-პოლიტიკური გარემოების წყალობით (წამყვანი სახელმწიფოების კონფლიქტში ჩაურევლობა გარანტირებული იყო კუბის „სარაკტო კრიზისის“ პერიოდულობით) მჭიანჭირდღედივსებან ველა საკმაო ტერიტორია გაქმინდა და მათზე კონტროლი სრულად დაეკარგინა.

ამასთან, ტაივანის მიმართულებით დამპყრობლის ესკალაციის დაქვეითება ჩინეთს ინდოეთისკენ ძალების გადასროლის საშუალებას აძლევდა.

20 ოქტომბერს ჩინეთმა 10-ათასკაციანმა დამტკმელმა დაჯგუფებამ ინდოეთ-ჩინეთის საზღვრის აღმოსავლეთი მონაკვეთზე შეტევა წამოიწყო.

დარტემა თავის თავზე აიღეს ინდოეთის მე-7 ქვეითი ბრივადის ნაწილებმა, რომელთაც პოზიცია მდინარე ნუ-ამჯანგ-ჩუს გაყოლებით და ბუმ-ლას უღელტეხილზე ჰქონდათ დაკავებული. ამ მონაკვეთზე ინდოეთმა ძალები 6000 კაცს შეადგენდა.

იაპონიელებთან, ჩინელ ნაციონალისტებსა და კორეაში გაეროს ვარებთან ბრძოლაში გაიმბრმედდნენ ჩინელებმა შეძლეს ძალებისა და საცეცხლე საშუალებების ეფექტური მასირება მთავარ მიმართულებაზე, გამოიყენეს მოლოდინელობის ფაქტორი, ინიციატივას სწრაფად დაეუფლნენ და ბრძოლაში პირველივე დღეებიდანვე მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს.

ჩინელი სამხედროები წარმატებულად იყენებდნენ რელიეფის რთულად გასავლელ და ტყიან რაიონებს, ახორციელებდნენ ფართო შეპორობითი შეპორობებით მანევრებს, რაც მოწინააღმდეგის პოზიციების ფლანგებსა და ზურგში დარტემის საშუალებას აძლევდა.

ინდოეთმა მე-7 ქვეითი ბრივადის თავდაცვა დეზორგანიზებული შექმნა და ბატალიონებმა ერთმანეთის მყოფობით უკან დახევა დაიწყეს.

23 ოქტომბერს ჩინეთმა დანაყოფები ბუმ-ლასთან გაორდნენ და ბრძოლის შემდეგ მნიშვნელოვანი გასასვლელი მათ ხელში გადავიდა.

25 ოქტომბერს დაეცა მდინარე ტა-ვანგ-ჩუსზე ინდოეთის წინააღმდეგობის კანონი და ხუთდღიანი ბრძოლის შედეგად მე-7 ქვეითი ბრივად თითქმის მთლიანად განადგურდა, ხოლო მისი მეთაური ტყვედ ჩაურდა.

ჩინეთის სახალხო არმიის მებრძოლებმა შეტევა მიიტანეს აქსაი-ჩანას რაიონში განლაგებულ ინდოეთმა პოზიციებზეც. 20 ოქტომბერს, ხანგრძლივად საარტილერიო მოზაძებებს შემდეგ, სიანძიანის დაჯგუფებამ პუნ-შანტოუს რაიონში ინდოეთმა 114-ე ქვეითი ბრივადის განლაგებას შეუტია. უკვე 21 ოქტომბრის საღამოსთვის მათ ინდოელებს უკან დაახეციეს და 23 ოქტომბერს ჰეგინანის რაიონი დაიკავეს.

ჩინეთმა წინსვლას დიდი წინააღმდეგობა შეტევა ტბა პანგინის მხლობლობად, სადაც ბრძოლა 24 ოქტომბრამდე გაგრძელდა. მიუხედავად ამისა, მისი დამლევს შეძლეს სიანძიანის დაჯგუფებამ სამხრეთ მიმართულებით შეტევის განეითარებისთვის სათანადო პირობები შექმნა.

მარტო 20-დან 25 ოქტომბრამდე

ჩინელი სამხედროები სადავო ტერიტორიის მახლობლად სწვლებებზე



ინდოეთმა დანაკარგმა 2500 კაცი შეადგინა.

27 ოქტომბერს პიმალაის მთიანეთში ურთულესი გადასვლით ჩინეთმა ქვედანაყოფებმა ალყაში მოაქციეს და ორი დღის შემდეგ დაატყვევეს ამ რაიონში განლაგებული ინდოეთმა ნაწილები.

შეიარაღებული ძალების შთამბეჭდვით წარმატების პარალელურად ჩინეთის ხელმძღვანელობა ბრწყინვალე მანევრებს ახორციელებდა დამოკიდებული ფრონტზეც.

24 ოქტომბერს ჩინეთის მთავრობამ სასაზღვრო კონფლიქტის შეწყვეტიანი დარეგულირების ინიციატივით გამოიხდა. სამშვიდობო გეგმა გულისხმობდა შემდეგ ღონისძიებებს: ჩინეთი უარს ამბობდა საზღვრის აღმოსავლეთ მონაკვეთზე აქსაი-ჩანზე ჩინეთის უფლებების აღიარების სანაცვლოდ და ორივე მხარეს შეტების ზაზინად ძალები უკან უნდა დაეჭია.

დიპლომატიური შეთავაზების გასამყარებლად ჩინეთმა ორკვირიანი ცეცხლის შეწყვეტაზე მზადყოფნა გამოთქვა.

მასტანბ ძაპანამძი ბრივადის გენერალი, გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი

დასასრული შემდეგ ნომერო



ედუარდ მეფე - „შავი პრინცი“

1330-1376

ასრლიანი ომის ერთ-ერთი გამოჩენილი მხედართმთავარი იყო, რომელსაც, საგარეოდ, XVI საუკუნეში ფრანგებმა უწოდეს „შავი პრინცი“, რადგან ბრძოლაში მავ აბჯარს აგარებდა.

აღიარება

„შავი პრინცი“ ედუარდ III-ის უფროსი ვაჟი იყო. შვიდი წლისას კორნუოლის პერტოვობა უბოძეს, თანაც პირველი ადამიანი იყო, რომელსაც ეს ტიტული ინგლისში მიენიჭა. 1343 წელს უელსის პრინცი გახდა. 1346 წლიდან საფრანგეთში მამამისის ლაშქრობებს შეუერთდა. თექვსმეტი წლისამ კრესის ბრძოლაში სიმამრით გაითქვა სახელი.

ამ ბრძოლაში ათი ათასმა ინგლისელმა შეიმარბა ფრანგთა სამოცათასიანი არმია დაამარცხა.

ტუზ. როგორც ამბობენ, მაღლიერ პედროსი ედუარდისთვის ვიღღოდ ლალის თვალი მუცია, რომელიც ბრიტანეთის იმპერიის სამეფო გვირგვინს ამწყვენებს. ედუარდს ესპანეთის ცხელმა კლიმატმა და ლაშქრობამ ფანძირილობა შეურყია, ხაზინაც დაუკარგებდა და აკვიტანიაში დიდი გადასახადები დააწესა. 1368 წელს კარის დიდებულებმა საფრანგეთის მეფე შარლ V-სთან იხველეს. საპასუხო ბრძოლაში აკვიტანის უმეტესობა მის წინააღმდეგ გამოვიდა. „შავი პრინცი“ მოღალატეთა დახმარებით იბრძოდა, თუმცა, მათთვის ქრთამის მიცემა უკვე აღარ შე-



ხმალი, რომელიც გამოცემის მიხედვით „შავ პრინცი“ ეკუთვნოდა

ქრონოლოგია

- * 1330 — დაიბადა 15 თვისს ვუდსტოკოში, ოქსფორდშირის საგრაფოში.
- * 1333 — გახდა ჩესტერის გრაფი.
- * 1343 — გახდა უელსის პრინცი.
- * 1346 — მონაწილეობდა კრესის ბრძოლაში.
- * 1356 — პუატეის ბრძოლაში ფრანგებს სძლია.
- * 1362 — გახდა აკვიტანიის პრინცი.
- * 1367 — ნახურასთან ბრძოლა მოიგო.
- * 1371 — ინგლისში სწული დაბრუნდა.
- * 1376 — გარდაიცვალა 8 თვისს, უესტმინსტერის სასახლეში.

მეფის შიშობა

1355 წელს აკვიტანიაში დამოუკიდებლად ილაშქრა. 19 სექტემბერს პუატეისთან ბრძოლაში გაიმარჯვა და საფრანგეთის მეფე ჟან II კეთილი შეიპყრო. გარდა იმისა, რომ საფრანგეთის მეფეს გამოსასყიდის, 300 ათასი კრონის გადახდამ მოუწია, აკვიტანიის დაიბრუნებაც მოუხდა ინგლისისთვის. 1362 წელს ედუარდი აკვიტანიის მმართველი გახდა და მეუღლესთან, ჯოან კინტლიან ერთად ბორდოში დიდებული სამეფო კარიც შექმნა. 1367 წელს ტახტიდან ჩამოგდებული კასტილიის მეფე პედრო I მრისხანეს დასახმარებლად გაემართა და 3 აპრილს ნახურის ბრძოლაში გამარჯვებით დროებით აღადგინა კიდევ ტახ-

ელი. ამბოხების ჩახშობა ვერ მოახერხეს, მაგრამ „შავი პრინცი“ ბრძანებით 1370 წელს, ქალაქი ლიბოკო აიღეს და გადაწვეს. მოქალაქეები კი ამოხოცეს. 1372 წელს სწული ედუარდი იძულებული გახდა, საფრანგეთის მიწები დაეთმო. მან უმცროს ძმას, ჯონ გონტს დაეყვალა მათი შენარჩუნება, რაც იმხანად შუაუწყობელი დეაულება იყო. ასაკში შესული მამამისი, ედუარდ III, შეიღისთვის გვირგვინის გადაცემაზე ფიქრობდა, მაგრამ რაკ „შავი პრინცი“ ტახტს დადბანს ვერ დაიკავებდა შერეული ფანძირილობის გამო, ამიტომ კლერიკალური პარტია ჯონის საწინააღმდეგოდ მიმართა, რითაც შევილიშვილს (შემდგომში რინარდ II-ის), „შავი პრინცი“


ცის“ შეიღეს, მეფის ტახტი გაუნაღდა. ამ მხნის მისაღწევად მან მხარი დაუჭირა ე.წ. კარგ პარლამენტს, რომელიც 1376 წელს დაუპირისპირდა ჯონ გონტს და ედუარდ III-ის ფეორიტ ქალს ელის პეერსს და სამეფო კარიდან გააძევა. ამ ამბებიდან მცირე ხანში „შუი პრინცი“ გარდაიცვალა.

კვატივის ბრძოლა

● კრესის ბრძოლაში 1346 წელს ედუარდ III-მ, რომელიც ჯარს ბორცვიდან სარდლობდა, თავისი ვაჟი ედუარდი, „შუი პრინცი“, წინა ხაზზე დააყენა. როდესაც ვაჟმა მამუელი ვარი სთხოვა მამას, ედუარდ III-მ უარი შეუთვალა და იმედი გამოთქვა, რომ მის ვაჟს სხვა რაინდთა დაუხმარებლად უნდა შესძლებოდა სახელის მოხვეჭა და რაინდის წოდების მოპოვება. „შუმა პრინცმა“ სახელიც გაითქვა და საფრანგეთის მეფის მხარეზე შებრძოლი ბოჰემიის მეფეს სირაკლემისბუმუელიანი ქუდიც აართვა. მისი დევიზი იყო: „მე მამაცობას ვეძახებოვარ“. „შუე პრინცს“ კრესის ომის გამარის წოდება მიანიჭეს.

● 1355 წელს „შუი პრინცი“ საფრანგეთში სამოცათასიანი ჯარით შეიჭრა. მდიდარი ქალაქები დალაშქრა და დიდიხალი ნადგული იგდო ხელთ, მაგრამ იმდენი შებრძოლი დააკარგვინა აუადმყოფოებამ, რომ პუტეისთან ათათასკაცანი ჯარით შუმა ფრანგულ 45-ათასიან არმიას. 1356 წლის 14 სექტემბრის დილას ბრძოლა დაიწყო. ფრანგთა შეტევებს ინგლისელები რამდენიმე საათს უძლებდნენ. გადამწყვეტი როლი ისევ ინგლისელმა მშვილდოსნებმა შეასრულეს. ისინი წუთში ოთრმეტ ისარს ტყორცნიდნენ, ანუ ორჯერ მეტს, ვიდრე ფრანგი მოისარეები. მერე

ინტორიის საიღუმლოვაგით მოსული ყველაზე საინფარსო უაჭავი!
თვაზი ერთხალ „ჯირის პალიტრასთან“ ერთად



ნინფაზის ახალი სერია
10 მოვალ

გაიგე, რის შესახებ დუშს ინტორი!
მსოლდ ის, რას ბალბს შეპიტხვას...

25 ინფინილმე
2 ილნილმე

ნინფაზის
საპილურარი უაჭი
9 ლარი
გაუთითონ ურთილ
19 ლარი

შეზვხ ნინფაზი:
● ჰეპიპის პირამილუპი;
● ფარულთა საიღუმლოვაგანი



შეისნავლე ქასოტრიოგის ინტორიის ულილსი საიღუმლოვაგანი!

„შუი პრინცი“
სარკოფაგი



ინგლისელი მხედრები ბრძოლის წინა ხაზზე ერთი მხრიდან შეიჭრნენ, მეორე მხრიდან კი „შუმა პრინცმა“ შეუტია. ამ უეცარმა გადაადგილებამ ფრანგთა რიგებში არეულობა შეიტანა. უმეტესობამ გაქცევით უშველა თავს. ათასობით ფრანგი ტყვედ ჩაურდა, მათ შორის — საფრანგეთის მეფე ჟან II კვილი, უმცროსი ვაჟთან, ფილიპთან ერთად. პუტეიში სატრეუშვი ალღუმზე მეფეს თორ ცხენზე ამხედრებულს დართეს გავლის ნება, მის უკან კი პონიზე გადამჯდარი „შუი პრინცი“ მიდიდა. ამის მერე იგი ლონდონის გზას გაუყენეს, სადაც გამოსახყდის მძღობამელ დატყუეს.

მაშადა
ლმხან ინსარკმე



ГРҮ-ს სპეცდანიუზების ბრიგადა ლაგოდეხიდან

**30 წლის განმავლობაში ლაგოდეხში მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე
ბრძოლისუნარიანი სამხედრო ნაწილი იყო ღისლოშიჩაგული**

კახელების დღევანდელ თაობას არ ეხსოვება, მაგრამ გასული საუკუნის 70-80-იან წლებში ლაგოდეხისა და თულაის რაიონების ტყეებსა თუ ვენახებში ადგილობრივი გლეხები არაერთხელ წასწვდომიან ჩამოხეულტან-საცმლიან, გაუპარსე უცხო პირებს, რომლებიც ვრიდებოდნენ მოსახლეობასთან შეზღუდვას და მაშინვე თვალს ეფარებოდნენ.

ესენი არც ბომბები იყვნენ და არც საზამთროსა თუ ყურძნის ქურდები (თუცა, არც მათ ჭამაზე ამბობდნენ უარს), ისინი იმ დროისთვის მსოფლიოში ერთ-ერთი ბრძოლისუნარიანი სამხედრო ნაწილის — საბჭოთა კავშირის გენშტაბის მთავარი სადაზვერუო სამმართველო ГРҮ-ს მე-12 ცალკეული სპეცდანიუზების ბრიგადის მებრძოლები იყვნენ, რომლებიც ლაგოდეხში

იყვნენ განთავსებული. ლაგოდეხისა და თულაის ტყეებში კი ისინი საეცემოზადებას — მიწინააღმდეგის ზურგში სადაზვერუო-დევერსიული ოპერაციების ჩატარება — გადიოდნენ და კვირაობით ტყე-ღრეში ხეტიალისას მართლაც ბომბებს ემსგავებოდნენ, იღონდ ძალიან საშიშ „ბომბებს“.

საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ კი ლაგოდეხში, საიდუმლო სპეც-



დანიშნულების ბრიგადის შექმნის შესახებ გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალურმა შტაბმა 1962 წელს მიიღო.

საბჭოთა ГРУ-მ პირველი ცალკეული სპეცდანიშნულების დანაყოფების შექმნა ჯერ კიდევ 1950 წელს დაიწყო 46 სპეცდანიშნულების ასეულის ჩამოყალიბებით.

თითოეულ ცალკეულ სპეცდანიშნულების ასეულში სამი სადაზვერუო ოცეული (მათგან ერთი სასწავლო) და ერთი სპეციალური კავშირგაბმულობის ოცეული შედიოდა. ასეულის ძლიანნი შემადგენლობა 120 კაცს აღწევდა. 8-10-კაციან ჯგუფებს ყვავებოდა მონინააღმდგის ზურგში სადაზვერუო-დღვერსიული ოპერაციების ჩატარება.




თელავის აეროდრომზე განთავსებული უზარმაზარი Ми-6-ები ლაგოდელ მედსანტეთა თურქეთში გადასროლაზე იყენენ განკუთვნილიანი ლაგოდელ სპეცრაზმელების მთავარ ამოცანას თურქეთში PMP-19 „იუპიტერის“ ტიპის ბირთვულქობინიანი ბალისტიკური რაკეტების სასტრატო მოედნების განადგურება წარმოადგენდა

1957 წელს ГРУ-ს „სპეცნაზის“ საერთო რაოდენობამ 5520 კაცს მიაღწია, თუმცა არც ერთი ასეთი სპეცდანიშნულების ასეული მაშინ საქართველოში არ შეუქმნიათ განსხვავებით მჭობელი რუსუბლიკებისგან, სადაც ერევანსა და ბაქოში თითო-თითო ცალკეული სპეცდანიშნულების ასეული იყო დისლოცირებული.

1957 წლის 9 აგვისტოს მაშინდელი საბჭოთა გენშტაბის უფროსის ბრძანებით მანგლისში დაიწყო ГРУ-ს 43-ე ცალკეული სპეცდანიშნულების ბატალიონის ჩამოყალიბება, რაშიც დაზმარება ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის — ЗаКВО-ს 85-ე (მე-4 არმია, შტაბი ბაქოში) და 86-ე (მე-7 გვარდიული არმია, შტაბი ერევანში) ცალკეული სპეცდანიშნულების ასეულებს უნდა გაეწიათ.

მანგლისში განთავსებული 43-ე ცალკეული სპეცდანიშნულების ბატალიონის სამტატო შემადგენლობა 360 კაცს შეადგენდა. ბატალიონი სტრუქტურულად შედგებოდა სამი სპეცდა-



ლაგოლებიდან, მუსლიმანი სამხედროებისგან დაკომპლექტებული 173-ე სპეცდანიშნულების რაზმი აფანეთში 1984 წლის ბოლოს გაიგზავნა



ნიშნულების ასეულისგან, სპეციალური კომბატანტების ასეულისგან, სპეცდანიშნულების სასწრაფო ოცეულისგან, მომარაგებისა და მომსახურების დანაყოფისგან, ასევე სხვადასხვა ოცეულისგან.

ბატალიონის თითოეულ ასეულში 112 მებრძოლი ირიცხებოდა და მათ შეიარაღებაში იყო AK-47 ტიპის ავტომატიები (მათ შორის ნაწილს მაყუჩებით) და „მკარაიის“ პისტოლეტები. მოკვანიებით მათ მოდერნიზებული AKM-ები და AKMC-ები მიიღეს.

მანქანის სპეცდანიშნულების ბატალიონის არსებობას დიდი დღე არ ეწერა, რადგან მოსკოვში გადამწყვიტეს გაეზარდათ GPY-ს სპეცდანიშნულების დანაყოფების საბრძოლო შესაძლებლობები, რის გამოც ბატალიონების ბრძავის დონეზე გაზრდა დაიწყო.

1962 წელს დაიწყო 10 კადრირებული ცალკეული სპეცდანიშნულების ბრძავის ჩამოყალიბება საბჭოთა კავშირის მიერ ტერიტორიაზე.

GPY-ს ხელმძღვანელობის გადამწყვეტილებით, სამხრეთ კავკასიაში ერთადერთი ცალკეული სპეცდანიშნულების ბრძავის ჩამოყალიბება დაიწყო, რომელიც მანგლისის 43-ე ცალკეული სპეცდანიშნულების ბატალიონის ბაზაზე უნდა შექმნილიყო. თუმცა, 3აკВО-ს სარდლობას ხელს არ ამოუწვია მანგლისი, როგორც მომავალი ბრძავის დისლოკაციის ადგილი და ამიტომაც ახალი განთავსების ადგილად ლაგოლები შეირჩა.

რატომ მანქანამანც ლაგოლები? ამის დამამტკიცებელი საბუთი არ გვაქვია, მაგრამ თუკი ლოგიკური ანალიზით ვიხეშმძღვანელებთ, ლაგოლების არჩევა გამომკვეული იყო თვალის ახლოს სამკველმძღვანელო აუროდრომის არსებობით.

საქმე ის არის, რომ საბჭოთა არმიის მეთაურობამ 60-იანი წლების დასაწყისში GPY-ს სპეცნაზის ასეულების ჯერ ბატალიონებად, შემდეგ კი ბრიგადებად გამსხვილება გადაწყვიტა. იმ პერიოდში NATO-ს წევრმა ქვეყნებმა და პირველ რიგში აშშ-მა აქტიურად დაიწყო საბჭოთა კავშირისა და ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების საზღვრების ახლოს ტაქტიკური და ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების სარაკტრო კომპლექსების განთავსება, რომლებიც ბირთვული ქობინებით იყვნენ აღჭურვილი.

ტყეში დამალულ ასეთ მობილურ სარაკტრო დანადგარს ბირთვულქობინანი რაკეტის გაშვება სრულიად მულოდნელად შეეძლო. ამის გამო GPY-ს მიერ ჩამოყალიბებულ სპეცდანიშნულების ბრძავების - პატარ-პატარა (10-12 კაცი) სადაზვერულო დიფერისულ ჯგუფებს ვვალეობდათ მოწინააღმდეგის ზურგში დესანტირება, მისი ბირთვულქობინანი სარაკტრო დანადგარების აღმოჩენა და განადგურება.

თუკი სარაკტრო დანადგარის აფეთქება შეუძლებელი იყო (მაგალითად, მრავალიც ხოვანი და კარგად ორგანიზებული დაცვის გამო), მაშინ სადაზვერულო-დიფერისული ჯგუფის რადისტი გასადიშნოებელი რადიოკავშირით ცენტრს გადასცემდა მოწინააღმდეგის სარაკტრო დანადგარის ზუსტ კოორდინატებს, ხოლო თავად ჯგუფი სწრაფად ტოვებდა იმ ადგილს, რადგან მას საბჭოთა ავიაცია და სარაკტრო დანაყოფები გამანადგურებელ დარტყმას მიაყენებდნენ. შეიძლება ტაქტიკური ბირთვული შეიარაღების გამოყენებამაც კი.

15 საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკიდან მხოლოდ საქართველო და სომხეთი ესაზღვრებოდა უშუალოდ NATO-ს ბლოკს, კერძოდ კი, მის წევრ თურქეთს.


1961 წელს აშშ-მა თურქეთის ტერიტორიაზე, იზმირთან განთავსა PMG-19 „აუბიტერის“ ტიპის საშუალო რადიუსის მქონე 15 ბალისტიკური რაკეტა. ამ რაკეტების მოქმედების რადიუსი 2410 კმ იყო, რაც სრულიად საქმარისი გახლდათ, რომ მათ თურქეთიდან მოსკოვამდე მიეღწიათ.

„აუბიტერი“ აღჭურვილი იყო 1,44 მეგატონა ტროტილის ეკვივალენტ ბირთვული ქობინით, რომლის საპაირო აფეთქება (მისიდან რამდენიმე ასეულ მეტრზე) მრავალმილიონან ქალაქსაც კი კატასტროფულ შედეგს მოუტანდა.

სწორედ ეს გარემოება გაზნა იმის მიზეზი, რომ GPY-ს ერთ-ერთი სპეცდანიშნულების ბრძავად სწორედ თურქეთის მოსაზღვრე საქართველოში, კერძოდ კი, ლაგოლებში განთავსდა, საიდანაც ამ ბრძავის დიფერსტებს

ლაგოლებიდან გაგზავნილი GPY-ს სპეცნაზელები აფანეთში ძირითადად მოჯავებების ქარაგებზე ნადირობდნენ





აღიწილი მოჯაპეებისგან ამოღებული შვიარაღება

თურქეთამდე თელავის აეროდრომზე განთავსებული შვეულმფრენებით უნდა ჩაეღწიათ.

1963 წლიდან თელავში დისლოცირებული 793-ე სატრანსპორტო-საბრძოლო სამშველმფრენო პოლკის (თელავის შვეულმფრენების პოლკის ისტორიას ცოტა ხნის წინ „არსენალმა“ დიდი სტატია მიუძღვნა) შვიარაღებაში გამიწინა მსოფლიოში იმ დროისთვის უდიდესი სატრანსპორტო შვეულმფრენები Ми-6, რომლებსაც 90 სრულად აღჭურვილი მებრძოლი 1000-1400 კმ სიღრმეზე შეუძლით გადაესვით.

განგაშის შემთხვევაში თელავიდან აფრინილი Ми-6-ების ესკადრიალად ჯდებათ ლაგოლების აეროდრომზე, იტირებოდნენ საეცრაზმელებთან და შვიარაღებით და გეჭს თურქეთისკენ იტყებოდა. ფრენა დაბალ სიმაღლეზე იყო რეკომენდებული, რათა თურქეთისა და აშშ-ის რადიოლოკატორებს ეს უზარმაზარი შვეულმფრენები დროზე აღერე აღმოეჩინათ. მოწინააღმდეგის ტერიტორიის სიღრმეში კი Ми-6-ების ეკიპაჟები სპეცრაზმელების 10-12-კაციან ჯგუფებს სხვადასხვა ადგილას გადასაზმენენ იმ რაიონში, სადაც დაზვერვას ამერიკული ბირთვულქობინიანი რაკეტები ეგულებოდა.

საბედნიეროდ, ეს საშინელება, რასაც შეიძლება შესაძლო მსოფლიო ომის დაწყება დარქვოდნენ, არ მოხდა, თუმცა, ლაგოლებში დისლოცირებული საბჭოთა ГРУ-ს მე-12 ცალკეული სპეცდანიშნულების ბრიგადის მებრძოლები უსაქმოდ მაინც არ დარჩენილან.

70-იანი წლების მიწურულს კადრირებული ცალკეული სპეცდანიშნულების ბრიგადები (და მათ შორის ლაგოლებსაც) 60-80%-ით დაკომპლექტდა პირადი შემადგენლობით და თუ მანამდე კადრირებული შტატით ბრიგადამი მხოლოდ 200-300 კაცი თუ იყო, მათი

რაოდენობა 1500-1700-მდე გაიზარდა. იმ დროისთვის საბჭოთა ГРУ-ს შემადგენლობაში სპეცდანიშნულების 23 შტაბი და დანაყოფი ირიცხებოდა, 8039 კაცის საერთო რაოდენობით. საომარ დროს კი ГРУ 66 შტაბისა და დანაყოფს აკომპლექტებდა 4485 კაცის შემადგენლობით, რაც ფაქტობრივად მსოფლიოში ყველაზე მრავალრიცხოვანი და კარგად მომზადებული სპეცდანიშნულების მთელი არმიის ეკვივალენტს გახლდათ.

სანამ საბჭოთა კავშირი და აშშ შეიარაღებული დაპირისპირებისთვის ემზადებოდნენ, ავღანეთში 1979 წლიდან პარტიზანული ომი დაიწყო, სადაც საბჭოთა ბირთვულქობინიანი ბალისტიკური რაკეტები თუ ატომური წყალქვეშა ნაგები თამაშგარე რჩებოდნენ და ომის მთელი დატვირთვა საბჭოთა ქვეითებზე, განსაკუთრებით კი სპეცრაზმის მებრძოლებს მხრებზე გადავიდა.

ავღანეთში საბჭოთა სოკუკაციო ძალების შესვლიდან (1979 წლის დე-

კემბრის ბოლო) ცოტა ხანში 1980-იანი წლის გაზაფხულზე, ლაგოების მე-12 ცალკეული სპეცდანიშნულების ბრიგადის შემადგენლობაში შეიქმნა 173-ე ცალკეული სპეცდანიშნულების რაზმი. ის სპეციალურად დაკომპლექტდა შუა აზიიდან ჯარში გაწვეული მუსლიმანებით და ლაგოების მიდამოებში, ასევე ყარაიზების პოლიგონზე (დუიეთგარეჯის რაიონში) ინტენსიურ სპეციალურ მომზადებას გადიოდა ავღანეთში გადასროლის წინ.

სპეცდანიშნულების სხვა დანაყოფებისგან განსხვავებით 173-ე რაზმის აღჭურვა და შეიარაღება მნიშვნელოვნად გაძლიერებული იყო. რაზმის შემადგენლობაში ექვსი ასეული, ასევე საზენიტო-სარტყლელით ჯგუფი შედიოდა. თითოეულ ასეულში სპეცდანიშნულების სამი ჯგუფი იყო, მეთოთხე კი ავტომატური ვუმბრასტყორცნებით შეიარაღეს. გარდა ცეცხლსასროლი იარაღისა, 173-ე რაზმის არხანალო თეთიშაული საზენიტო დანადგარი „შოლომი“, ქვეითთა საბრძოლო მანქანა БМП-1-ები, მფედსანტია საბრძოლო მანქანა БМД-1-ები და სადაზვერვო БРМ-1-ებიც იყო.

1984 წლის 12 დეკემბერს 173-ე ცალკეული სპეცდანიშნულების რაზმი ავღანეთის ტერიტორიაზე შევიდა და სამხრეთ-აღმოსავლეთით ყანდაარის მიდამოებში განთავსდა. საიდუმლოების დაცვის მიზნით ლაგოებიდან ავღანეთში გაგზავნილი ГРУ-ს სპეცდანიშნულების რაზმი მე-3 ცალკეულ შიტომსროლელ ბატალიონად იწოდებოდა.

173-ე რაზმს ავღანეთში ბრძოლამ 1988 წლამდე მოუწია. ძირითადად მოჯაპეების იმ ქარავნებზე ნადირობ-



ჩენების ორივე ომში ლაგოების ყოფილმა ГРУ-ს ბრიგადამ 32 მებრძოლი დაკარგა



2009 წელს
ГРУ-ს მე-12
ცალკეული
სპეცდანიშნულების
ბრიგადა გაუქმდა

დნენ, რომლებსაც იარაღი და „სტინ-გერტი“ გადაქონდათ პაკისტანის დან ავღანეთში. ამ სპეცოპერაციების დროს რაზმის მებრძოლებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს და დიდი გამოცდილება შეიძინეს.

სხვათა შორის, ლაგოლებიდან ავღანეთში გაგზავნილ ГРУ-ს რაზმს ჰილმენდის პროვინციის იმ რაიონებშიც მოუწია სპეცოპერაციების ჩატარებას, სადაც დღეს ქართული ბრიგადებიდან გაგზავნილი ჩვენი ბიჭები იმობენ ამერიკელებთან ერთად. ისე, დღეს ავღანეთში ISAF-ის კონფლიქტის თავსატეხად იფიქრებოდა რჩება, რაც საბჭოთა მე-40 არმიის მეთაურო-

ბას ქონდა 30 წლის წინ, — როგორ შეაჩეროს იარაღის შეტანა და თალიბების აჯანყების შესვლა პაკისტანის დან ავღანეთში.

173-ე ცალკეული სპეცდანიშნულების რაზმი ავღანეთში სტრუქტურულად შეუერთდა 22-ე ცალკეულ სპეცდანიშნულების ბრიგადას და ამინიციზა ლაგოლების მე-12 სპეცდანიშნულების ბრიგადის სიდან.

თავად ბრიგადა ლაგოლებში 1992 წლის გაზაფხულამდე დარჩა და მოასწრო მონაწილეობა აზერბაიჯან-სომხეთის შეიარაღებულ დაპირისპირებაში, 9 აპრილის ტრაგიკულ მოვლენებში (9-დან 24 აპრილის ჩათვლით თბილისის ქუჩებში პარტულიზირდნენ),

ასევე ცხინვალის პირველ ომში 1991-92 წლებში.

ამ სტატიის ავტორს ახსოვს ლაგოლების სპეცდანიშნულების მებრძოლები 1992 წლის ზაფხულში ცხინვალში, სამშვიდობო ძალების შეყვანისას, როდესაც ისინი იმ დროისთვის გასაიდუმლოებული **Винторез**-ის ტიპის მაყუჩიანი სპეციალური სნაიპერული შაშხანებით დადიოდნენ. ბუკისთვის შეიძლება უცნობი იყოს, რომ აფხაზეთის ომის დროს ქართული გვარდიის რამდენიმე ათეული ოფიცერი და ჯარისკაცი ლაგოლების **Летучие Мыши**-ად ცნობილმა სპეცრაზმელებმა გაზიანა და დააპაშადეს.

1992 წლის ზაფხულში ბრიგადა ლაგოლებიდან რუსეთში, ურალის სამხედრო ოლქში, ქ. ასბეტში გადაიყვანეს, თუმცა მანამდე ამ ბრიგადის სპეცშეიარაღების ნაწილი (მათ შორის მაყუჩიანი **АКМС**-ები, **Винторез**-ები, უხმაური პისტოლეტები **ПБ** და **АПБ**-ები) თვდაცვის სამინისტროს კონტრაზვერვის სამმართველოს უფროსმა, მომავალში კი უშიშროების მინისტრმა ივანე გიორგაძემ დაიტოვა. სხვათა შორის, 1993 წელს დასჯელი საქართველოში სამოქალაქო ომის დროს ზვიადისტებმა სამთავრობო ჯარების ერთი ახალი **БТР-80** ტიპის ჯგუფანტრანსპორტიორი ჩაიგდეს ხელში (მისი ეკიპაჟი სამეგრელოს ერთ-ერთ სოფელში ნაცნობთან შექურდა სადილად), რომელმაც ლაგოლების ბრიგადიდან გადმოცემული სპეციარალეტი იყო.

1995 წელს ასბეტში დისლოცირებული მე-12 ბრიგადის 33-ე ცალკეული სპეცდანიშნულების რაზმი ჩეჩნეთის პირველ ომში მონაწილეობდა. 1999 წლიდან ამავე რაზმმა ჩეჩნეთის მეორე ომში განაგრძო ბრძოლა.

ჩეჩნეთის ორვე ომში მე-12 ბრიგადამ არანაკლებ 32 მებრძოლი დაკარგა.

2009 წელს რუსეთის შეიარაღებული ძალების გენშტაბმა გასცა ბრძანება ასბეტში დისლოცირებული მე-12 ცალკეული სპეცდანიშნულების ბრიგადის დაშლის შესახებ.

ასე დასრულდა ამ სპეცდანიშნულების ბრიგადის 47-წლიანი ისტორია, რომლის უდიდესი ნაწილი — 30 წელი მან საქართველოს ტერიტორიაზე, ლაგოლებში გაატარა, საიდანაც მისი მებრძოლები მოსკოვის ბრძანებით შესამე მსოფლიო ომის დაწყების ინიციატივებიც კი შეიძლება გამხდარიყვნენ.

ირაკლი ალაგაშვილი



პარაშუტები ტექნიკის დასანტირება

გაგრძელება. დასაწყისი იხ.
„არსენალი“ №8-11, 2012

პირველი მცდელობები

პარაშუტების გამოყენებასთან ერთად დღის წესრიგში პარაშუტისტების შესაბამისი ტექნიკით აღჭურვის საკითხიც დადგა, რადგან დესანტირების შემდგომ ისინი მხოლოდ შაშხანებისა და ზელის ტყვიამურქვევების იმეღზე იყვნენ.

პარაშუტისტების მსგეისი შეიარაღებით აღჭურვილ მძინარეებთან ერთად მხელი არ იყო, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მოპირდაპირე მხარე ჯეშანტეკნიკასა და მით უმეტეს, არ-

წარმატების შემთხვევაშიც კი, ძნელი წარმოსადგენია როგორ უნდა მომზადდეს ტანკების წყალზე დესანტირების მეთოდის გამოყენება იქ, სადაც წყალი ფიზიკურად არ იქნებოდა



წყალზე დესანტირების სამივე მცდელობა T-37-ის ტიპის ტანკისთვის, წარმატებულად დასრულდა




ტილერისა გამოიყენებდა, მანძის საქმე ბევრად რთულდებოდა. სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა „მწვანე ეშმაკების“ დიდი დანაკარგი კუნძულ კრეტის ოკუპირებისას.

ამ მიმართულებით მუშაობა პირველად სსრკ-ში დაიწყო და გვემბოც ამ ბიციური დაისახა, — პარაშუტისტების დასახმარებლად პაეროდან ქვემეჭების, მსუბუქი ავტომობილებისა და ტანკების დესანტირება იყო დაგეგმილი. საპაერო სტრანსპორტო საშუალებად კი TB-1-ის ტიპის მძიმე ბომბდამშენი შეიკრა.

1932 წელს საციცალურა საპარაშუტო სისტემა შეიქმნა და პირველი ექ-

პლანერ GAL.49 და ტანკ „ტეტრარქსი“ ტანდემი კარგი იდეა იყო. თუმცა საბრძოლო მოქმედებებში გამოყენებამდე საქმე არ მივიდა



საერომენტო 76 მმ-იან საშიშო ქვემეხზე ჩატარდა. ქვემეხი სპეციალური საიდრით თვითმფრინავის ფიუნელაქვის ქვეშ იყო ჩამოკიდებული, ხოლო მისი გათვლა კი იმავე თვითმფრინავიდან პარაშუტებით ხდებოდა.

მომდევნო ეტაპზე საქმე ჯერ მტოლოციკლეტებამდე და შემდეგ კი TAZ-A-ს ტიპის ავტომობილამდე მივიდა, რომლის ძარაზეც დინამორეაქტიული ქვემეხი კუსტარულად იყო დამონტაჟებული.

წონიდან გამომდინარე, ავტომობილს ორგუმბათიანი პარაშუტი დასჭირდა. თუმცა, ეს უფრო იმპროვიზაცია იყო, ვიდრე საბრძოლო ტექნიკის შექმნის მცდელობა, ამიტომაც 1933 წელს სადენსანტო ტექნიკას ტანკებზე შეემატა.

საპარაშუტო დესანტარებისთვის პირველად ინგლისური Carden Loyd Mk.IV-ის ბაზაზე შექმნილი საბჭოური T-27 მოისინჯა. ტანკების საბრძოლო მასა — 2,5-2,7 ტონა შესაძლებლობებს აღემატებოდა და წონის შემსუბუქება გახდა საჭირო. მოიხსნა ყველაფერი, რასი მოხსნაც შეიძლებოდა და საქმე იქამდე მივიდა, რომ ეკიპაჟის საბრძოლო კომპლექტის ჩალაგება და საწვავის ჩასხმა უკვე მიწაზე, დესანტარების შემდეგ უნდებოდა. ასეთ სქემაში სისტემის მობილურობასა და მოქნილობაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო.

სრულიად განსხვავებული გამოდგა საპარაშუტო სისტემა, რომელსაც 3 ტონაზე ნებისმიერი სახის ტვირთისა და მათ შორის D-12-ის ტიპის ჯავშანმანქანის დესანტარება შეეძლო.

თუმცა, მას ერთი თავისებურება ჰქონდა, — დიდი სიმაღლეებიდან გად-

მოვდებული ტვირთი დიდ ფართობზე იფანტებოდა და შემდგომ მოძიება-მოკროება საკმაოდ რთული საქმე იყო. დაჯდომითი დესანტარება კი აეროდრომს ან სწორ ადგილს საჭიროებდა, რაც გადმოტვირთვის ხანგრძლივობასა და თვითმფრინავის დაზიანება-განადგურების ალბათობას ზრდიდა. მაშინ სამხედროებს ტვირთის ძალიან დაბალი სიმაღლეებიდან დესანტარების იდეა დაებადათ აზრი კარგი იყო და აპირდნენ ტვირთის მერე მსგავს სქემას აქორციელებდნენ ვიეტნამში ხშირად მიმართავდნენ.

1930-იანი წლების ტექნოლოგიები ამის საშუალებას არ იძლეოდა და არც მასზე მორგებული საპარაშუტო სისტემები არსებობდა. შეიქმნა პარაშუტების გარეშე დესანტარების სქემა, მაგრამ მაღალი პირინონტალური სიჩქარე და მიწის მკვრივი ზედაპირი ტანკებს გადარჩენის შანსს არ უტოლებდა.

ალტერნატივის სახით, წყალზე დესანტარების ზერხიც განიხილებოდა და 1936 წელს მოსკოვის მახლობლად ტბის ზედაპირზე T-37-ის ტიპის მცურავი ტანკების უპარაშუტო დესანტარების სისტემა გამოიცადა.

სპეციალური საკიდრებით T5-მის ფიუნელაქვზე ქვევით ჩამოკიდებული ტანკების ჩამოვარდების ოპერაცია 5-6 მ სიმაღლიდან რამდენჯერმე ჩატარდა.

საწყისი აჩქარების გამო წყლის ზედაპირზე ტანკები რამდენიმე ნახტომს ასრულებდა და 20-25 მ-ის შემდეგ ჩერდებოდა.

პირველი გამოცდისას წყლიდან შეჯავებით წარმოქმნილმა ძლიერმა დარტყმამ T-37-ის ფსკერი შეჭვივლიტა და მოქონების ნაწილი მოგლიჯა. ტანკები წყლის ზედაპირზე კიდევ 20 წონ-

განერდა და შემდეგ ჩაიძვრა. ტანკები და შესაძლებელია ტანკების კორპუსში შპარები გაჩნდა და ჩაძირვა კიდევ უფრო სწრაფად მოხდა.

სამი ტანკის დაკარგვის შემდეგ სამხედროები იდგის უპერსპექტივობაში დარწმუნდნენ და პროექტიც დაიხურა.

ვიზანტური კლანერი

მეორე მსოფლიო ომში სსრკ-ში ყველაზე გავრცელებული პლანერი Me-311 იყო, რომელიც II მუდვანტის ოტვედა და მას პარტიზანების მოძარაგებისთვისაც იყენებდნენ. საჭიროების შემთხვევაში სალონი მომცრო ქვემეხს გაჭირვებით ოტვედა, მაგრამ ტანკებსა თუ სხვა ჯავშანტექნიკაზე არც ერთი საბჭოური პლანერი არ იყო გათვლილი.

გაცილებით დიდი წარმატება მოკავშირეებს ჰქონდათ დაბალი საბრძოლო თვისებების გამო დაწინურულ მუსუქ ტანკ „ტეტრარქსი“ ინგლისელები ვეროპაში შეჭრის წინ მიუბრუნდნენ და შედესანტარების მზადდასჭირად გამოიყენებდნენ. ამ მხნით სპეციალური პლანერი GAL.49 Hamilcar-ს შეიქმნა. პლანერი ერთ „ტეტრარქსს“ ან ორ ჯავშანტანსსორტირის ოტვედა, ხოლო ტექნიკის დეტვირთვა — გადმოტვირთვა ცხვირა ლიუკიდან ხდებოდა.

პლანერებისა და „ტეტრარქების“ საბრძოლო ნათლობა 1944 წლის 6 თვისის შედგა. მაშინ რვა ტანკიდან დაინშენულები ადგილამდე მხოლოდ შეიღმა მიაღწია, მაგრამ უშუალოდ ბრძოლებში არც ერთი არ მონაწილეობდა.

რეკონსტრუირება სტრანსპორტო-სადესანტო პლანერების შექმნაში გერმანელები თვებობიან. 1940 წლის დამდეგს გერმანიაში დიდი ტვირთამწობის სადესანტო პლანერის შექმნა ჩაიფიქრეს და გადასტანი ტექნიკის ნოთედატურაში შეიყვანეს 20 სრულიად ეკიპირებული ქვეითი ან საშუალო ტანკი, ან 88 მმ-იანი საზენიტო ქვემეხი, ან მეტულუზა გამწვები და ა.შ.

1941 წლის ბოლოს „მესერსშიტის“ პლანერი Me-321 Gigant-ს პირველად აფრინდა. „გიგანტის“ II-მეტრის სალონი 20 ტვირთის ოტვედა და ამ მახასიათებლებით ანალიოვი არ მოეძებნებოდა. თუმცა, ექსპლუატაციის თავისი სირთულეები ახლდა, — ცარიელი პლანერის ბუქსირება მარტვო იყო, მაგრამ პრობლემას ტვირთი ქმნიდა.

მეორეული გამოცდისას „გიგანტის“ ბუქსირებისთვის სათანადო თვითმფრინავიც არ ჰყავდათ და ამ მხნით სამ განადაგურებელ BF-110-ს იყენებდნენ.

სატრანსპორტო Me-323-მა, ერვინ რომელის აფრიკის კორპუსის მომარაგებაში, დიდი როლი ითამაშა



საკმაოდ საზიფათო სქემას რამდენჯერმე ტრაგიკული ფინალი მოჰყვა და ერთ შემთხვევაში 120 მედესანტისა და 9 მფრინაუვის დაღუპვით დასრულდა, როცა სამივე მანუქსირებელი თვითმფრინავის შეჯახებამ თავად „გვიგანტის“ ჩამოვარდნა გამოიწვია.

მალე გერმანელებს პლანერზე ძრავების დაყენების იდეა მოუვიდათ და ექვსძრავიანი სატრანსპორტო თვითმფრინავი Me-323 შექმნეს.

თვითმფრინავი პირველად 1942 წელს აფრინდა და მისი სასარგებლო დატვირთვა „გვიგანტის“ შედარებით 12 ტ-მდე შემცირდა, ხოლო დატვირთვა-გადმოტვირთვის პროცესი ძველი დარჩა. მისი სერიული წარმოება 1944 წელს 201 თვითმფრინავის გამოშვებით დასრულდა. გერმანიის ავიაცია Me-323-ებს ომის ბოლომდე იყენებდა. აფრიკელი კამპანიის დროს ხუთ თვეში ეროპიდან ტუნისში „გვიგანტბ-

მა“ 1200 რეისს შეასრულეს და 15000 ტ ტვირთი გადაიტანეს. მათ შორის 96 თვითმავალი საარტილერიო დანადგარი და ჯავშანტრანსპორტიორი, 616 ქვეშები, 360 სატვირთო ავტომობილი იყო.

პარაშუტების გარეშე

60-იან წლებში უპარაშუტო დესანტირების თემამ აქტუალურობა ისევ დაიბრუნა, რადგან უაერიოდრომო რაიონებში ჯარების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა მხოლოდ საჰაერო ტრანსპორტს შეეძლო.

პრობლემის გადასაჭრელად ხანგრძლივი დროის განმელობაში უნაყოფო მუშაობა მიმდინარეობდა, არადა, სამხედროები ხედებოდნენ, რომ ოპერაციების წარმატების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა სატრანსპორტო ავიაციის უნარბიან და გამართული მხარდაჭერა იქნებოდა.

პრობლემის გადაჭრაზე ბერტრანდ შპეინერმა ამერიკელები და 1962 წელს დაბალსიმაღლიანი სადესანტო საშუალებების შექმნა დაიწყო. ორი წლის შემდეგ C-130-ის ტიპის თვითმფრინავისთვის ამგვარი სამი სისტემა არსებობდა.

პირველი სისტემა GPES (Ground Proximity Extraction Systems) სახმელეთო სამუხრუჭე სისტემის გამოყენებით ტვირთის უპარაშუტო დესანტირებაში მდგომარეობდა;

მეორე სისტემა LAPES (Low-Altitude Parachute Extraction Systems) ტვირთის უპარაშუტო დესანტირებას მხოლოდ გამოსაჭიმ პარაშუტს იყენებდა;

მესამე სისტემა PLADS (Parachute Low-Altitude Delivery Systems) ტვირთის ზღვრული დაბალი სიმაღლეებიდან დესანტირებაზე იყო გათვლილი;

მათი გამოყენებით ამერიკელებს 7700 კგ-მდე ტვირთის მიწის ზედაპირიდან (სისტემა GPES) და 4,5 მ (სისტემა LAPES) სიმაღლემდე დესანტირება შეეძლო.

მესამე ვარიანტიდან დესანტირების სიმაღლე 60 მ-ს უტოლდება და მისი გამოყენებისთვის პლანტფორმებისა და ტრადიციული საპარაშუტო სისტემებია საჭირო.

ტვირთების დესანტირების სამივე ვარიანტს ამერიკელები ვიეტნამში იყენებდნენ და ამისთვის საეციალური დანაყოფიც კი შექმნეს. მართო 1967 წლის სექტემბერ-ოქტომბერში მათ საბრძოლო მოქმედების ზონაში 2883 ტ ტვირთი გადაიტანეს.

კლემსანდრო ავაძიძე

გაგრძელება იხ. შემდეგ ნომერში

ტენკის უპარაშუტო დესანტირებას ამერიკელები ვიეტნამის ომში ხშირად იყენებდნენ



ბ.61/20



მალულად სატარებელი „მარტორქა“

ორიგინალური კონსტრუქციის იგალიური რევოლვერი Rhino 200DS-ი

Rhino-ს (ხეივებურად — მარტორქა) სახელით იტალიურმა კომპანია Armi Chiappa-მ 2009 წელს ორიგინალური კონსტრუქციის რევოლვერი იარაღის სამოქალაქო ბაზარზე გაიტანა და შედეგად 700-800 აშშ დოლარად შესთავაზა.

რევოლვერები პისტოლეტებთან შედარებით საქართველოში ნაკლებად პოპულარულია (ალბათ, იმიტომაც, რომ ჩვენს რეგიონში საუკუნის ტოლი „ნაგანის“ გარდა სხვა რევოლვერები არც გამოჩენილა), თორემ ევროპაში და განსაკუთრებით აშშ-ში ისინი დიდი

ჩვენი დონი: ორმაგი მოქმედების რევოლვერი Rhino 200DS-ი ვაზნების გარეშე 720 გ-ს იწონის. მისი სიგრძე 164 მმ-ია (ლულის სიგრძე 51 მმ), დოლურაში .357 Magnum-ის ტიპის 6 ვაზნა ჩადის.

Rhino 200DS-ი



პისტოლეტისა და რევოლვერის ვაზნაგადასაყვანი რუმელთა შორის .357 Magnum-ის ვაზნა მარცხნიდან მესამეა



დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორ გაანეიტრალდება უკუცემის ძალას. ამ ტიპის ვაზნა 10,74 გ-ს იწონის. ტყეყვის კალიბრი 9,17 მმ-ია, პილზის სიგრძე — 32,7 მმ. გასროლისას ტყეყვის საწყისი სიჩქარე 370-380 მ/წმ-ია, ხოლო ტყეყვის საწყისი ენერჯია კი 730 ჯოულამდე.

„მარტორქას“ ნ-მუხტანი დილუგრა აქვს, იღონდ არა ტრადიციულად

ნისშით, ანუ იარაღის ჩახმახის შეყენება სასხლეტის გამოწვევითაც შეიძლება. თაყად ჩახმახი ჩამალულია რევოლვერის ტარში და არ ჩანს, თუკი მსრო-

მითზონით სარგებლობენ. ორმა იტალიელმა კონსტრუქტორმა, ანტონიო კუდაციო და ემილიო გიზონი, მიზნად დაისახეს მათი ახალი რევოლვერი რაც შეიძლება კომპაქტური გამოსუღიყო, რათა მისი მალულად ტარება შესძლებოდათ მათ ვინც თაყდაცვაზე ფიქრობს. ამასთან, ახალი რევოლვერით უნდა გადავიღებუღიყო დამინებითი სწრაფსროლა, რისთვისაც გასროლის უკუცემის ძალა უნდა შემცირებუღიყო. კომპაქტური რევოლვერის დამზადება არ წარმოადგენდა ისეთ რთულ ამოცანას, როგორც გასროლისას წარმოქმნილი უკუცემის ძალის შემცირება, რომელიც მსროლელის ხელს ზემოთ „აგდებს“ და ხელახალი დამინებითი სროლისთვის დროა საჭირო.

კონსტრუქტორებმა ორიგინალურ გადაწყვეტილებას მიადგეს, რევოლვერის ღულა შედარებით დაბლა განათავსეს ისე, რომ ღულას ვაზნა რევოლვერის დილუგრის არა ზედა, არამედ ქვედა სათაყსიდან მიეწოდება. შესაბამისად, გასროლის დროს წარმოქმნილი უკუცემის ძალა მიმართულია პირდაპირ მსროლელის ხელისგულზე და არა მის ზემოთ, როგორც ტრადიციული კონსტრუქციის რევოლვერებში.

იტალიური „მარტორქა“ გათუღილდა საკმომოდ ძლიერი — .357 Magnum (9X33 მმ) კალიბრის რევოლვერის ვაზნებზე და მსროლელისთვის



ღელს სურს წინასწარ შეაყენოს ჩახმახი, უნდა დააწყეს ფაღმ-ჩახმახის იარაღის ტარის ზემოთ, რომელიც თაყის მხრე შეეყენებს ნამდვილ ჩახმახს. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ართულებს იარაღის კონსტრუქციას.

იტალიური „მარტორქა“ იწარმოება სხვადასხვა სიგრძის ღულებით. მათგან ყველაზე მოკლე სიგრძე მხოლოდ 51 მმ-ია, შემდეგ მოდის მოდიფიკაციები 101, 127 და 152 მმ სიგრძის ღულებით, შესაბამისად, განსხვავებულია მოდიფიკაციების ნუმერაციაც.

ყველაზე კომპაქტური ვარიანტი Rhino 200DS-ს აშშ-ის იარაღის მაღაზიებში 800 დოლარამდე ღირს და უკვე პოპულარობით სარგებლობს იმ შეიღველებში, ვისაც თაყდაცვის მისნით კომპაქტური იარაღის მალულად ტარება სურს.

ორბაღი ალადაზშილი

იტალიური „მარტორქას“ რთული საცემ-სასხლეტი მექანიზმი იარაღის ტარშია ჩამონტაჟებული

მრგვალი, იგი ექვსკუთხედს წააგავს დამრგვალებული ბოლოებით, რაც რევოლვერს განსაკუთრებულ მომხიფეღლობას ანიჭებს. დიღურა მარცხნივ იხსნება და ექსტრაქტორის ღერძზე ხელის დაჭრით დიღურიდან გადმთიყურება პილზებით.

რევოლვერი აღჭურვილია ორმაგი მოქმედების საცემ-სასხლეტი მექა-

RHINO 200D

F1557
2012



18238 MAT